ქართველობის გადასარჩენად

გაზეთი გამოდის 1999 წლიდან

ილორი

E-mail: r.jalagania@mail.ru

№180 (239) 24-31 ივლისი 2012 სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ორგანო 30 თეთრი

ხმა სიბნელიდან, არაფერისმთქმელი, ყურისწამღები...

თავდება ცხელი ივლისი, მაგრამ ჯერ კიდევ მაგრად ცხელა – განსაკუთრებით პოლიტიკურ სივრცეში. წინასაარჩევნო ბრძოლა ახალ სტადიაში შევიდა. ალბათ უფრო მართებული იქნებოდა გვეხმარა ფრაზა **“წინასაარჩევნო კამპანია”**, მაგრამ კამპანიას ნამდვილად ვერ დაარქმევ იმ უზნეო ძალადობას, რაც სააკაშვილის სომხურმა ხელისუფლებამ მოახვია თავს ქართველ ხალხს!

დიახ, სააკაშვილმა და მისმა დამქაშებმა დაუნდობელი ომი გამოუცხადეს სრულიად საქართველოს!

ამ მოძალადეების სურვილია ინფორმაციულ ვაკუუმსა და პოლიტიკურ სიბნელეში ამყოფონ ქართველი ხალხი, ყოველნაირად მოუსპონ მათ ობიექტური ინფორმაციის მიღების საშუალება, მაქსიმალურად ჩამოაშორონ ხალხი აქტიურ საარჩევნო პროცესებს, რაც მათ გაუადვილებს არჩევნების შედეგების თავხედურად გაყალბების შესაძლებლობას!

ისეთი გააფთრებით ებრძვიან საქართველოში სატელიტური ანტენების შემოტანას, რომ ირანელი ჟანდარმებიც კი უკან ჩამოიტოვეს, რომლებიც ხალხში რეალური ინფორმაციის გატანის შიშით ატანილები ოჯახებში უვარდებიან უბრალო ირანელებს და სატელიტურ ანტენებს უხსნიან.

სააკაშვილი და მისი დამქაშები ქართველ ხალხს უკვე სატელიტური ანტენების დაყენებასაც აღარ აცლიან, პირდაპირ საბაჟოში აყადაღებენ.

სიმართლისა მხოლოდ ბნელ ძალებს ეშინიათ!

ყოველგვარი კანონის უგულვებელყოფით, უხეში ძალის გამოყენებით ართმევენ ქონებას მის კანონიერ მფლობელებს, რაც არ ხდება აფრიკის ველურ ტომებშიც კი.

ძალაუფლების შესანარჩუნებლად მზად არიან რომ მათ მიერვე შუაში გახლეჩილი საზოგადოება ფიზიკურად დაუპირისპირონ ერთმანეთს. ხალხთან დაპირისპირებას კი არცერთი დიქტატურისათვის არ მოუტანია სიკეთე და თუ მოთმინებადაკარგული ხალხი აღშფოთდა და ქუჩაში გამოვიდა, ამათაც შეიძლება მუამარ კადაფივით უკანალში ხიშტგარჭობილებმა დაასრულონ არა მხოლოდ პოლიტიკური კარიერა...

სოფლებში მოსახლეობასთან გასაუბრებისათვის ჩასულ ოპოზიციური ძალების წარმოადგენლებს ნაციონალ ზონდერთა ბრიგადებს ახვედრებენ შეხვედრების ჩასაშლელად, მათთან ფიზიკური დაპირისპირება კი ხშირად ხდება უდანაშაულო ადამიანების ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების მიზეზი.

ასე მოხდა ქართლის სოფლებში მერეთში, ხაშურში, ქვემო ქართლში, კარალეთში, სადაც ნაცთა ზონდერებმა ქვები დაუშინეს კახი კალაძეს...

შე, კეთილმინგრეულო! კახი კალაძეს ქვას როგორ ესვრი, როცა მისი ფეხის ერთი მოქნევის ფასი არაფერი გაგიკეთებია შენი ქვეყნისათვის. ასე რომ, **“დავითაღმაშენებლობას”** დახარბებული სააკაშვილი **“ქვასროლიას”** სახელით შემორჩება ისტორიას, ქვებს კი, მოგეხსენებათ, გიუები ისვრიან!

დიქტატორობის ხურუშს ატანილ სააკაშვილს უკანალის ქვეშ აქვს ამოდებული პროკურატურა, სასამართლო და **“სახელმწიფო აუდიტად”** სახელდებული კონტროლის პალატა, რომლებსაც საკუთარ ჭკუაზე **“აჟღურტულებს”**...

“ჟურნალისტებად” წოდებული ქოსმენებივით ჩასუქებულ-ჩაკურატებული ბიჭები და წიკვინა უტიფარი კაბიანი არსებები შეუსიეს ოპოზიციური ტელეარხების ჟურნალისტებს და უზრდელური კითხვების დასმით უშლიან მათ ხელს პროფესიული მოვალეობის შესრულებაში, რასაც, რატომღაც ვერ (უფრო მართებული იქნება ვთქვათ – **არ**) ხედავს ჩვენი **“სახელოვანი”** პოლიცია...

და ესენი ამტკიცებენ ურცხვად – რეფორმები წარმატებით გავატარეთ და სანიმუშო დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენეთო!

უბედურებაა ისაა, რომ სომეხი სააკაშვილი, მისი დამქაში **“გაქართველებული”** (გვარით, და არა სულით) სომეხი რეაქციონერები ყოველგვარ უკანონობას სჩადიან მათ მიერვე მანქურთებად ქცეული იმ ვაი-ქართველების ხელით, რომლებიც მზად არიან ფულის, თანამდებობის, ან თუნდაც მცირეოდენი სალაფავის ფასად იკადრონ უკადრისი საქმე და უხეშად დაარღვიონ კანონი.

“მიუტევე უფალო, რამეთუ არა იციან, რასა იქმნენ”, თორემ ერთხელ მაინც რომ ჩაუფიქრდნენ საკუთარ საქციელს, წამსვე დარწმუნდებიან, რომ მათი სამშობლოს დაუძინებელ მტრად ქცეული სააკაშვილების, ბოკერიების, ადეიშვილების, კუბლაშვილების, გაბაშვილების და სხვა ნაციონალ-სიბოროტის პირმშოთა ხელშეწყობით ისინი ნებსით თუ უნებლიედ აჩაქარებენ საქართველოს საბოლოოდ დაღუპვის პროცესს!

სწორედ ეს არის ჩვენი უბედურება, თორემ არაქართველი ადამიანი რომ საქართველოს მტრობდეს ეს სრულიადაც არ არის გასაკვირი.

სწორედ ამგვარი ადამიანების უმოქმედობით თუ დანაშაულებრივი ხელშეწყობით გათამამებულ ნაცთა ნამოქმედარია ის, რომ საერთაშორისო დამკვირვებელი ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად საქართველოს პირველი ადგილი უკავია არშემდგარ სახელმწიფოთა შორის. და ეს ნაცების რვაწლიანი მოღვაწეობის შემდეგ, რომელიც აშენებას და დამშვენებას გვპირდებოდნენ...

მართლაც რომ დიდი სირცხვილი და თავისმოჭრაა, როცა მრავალსაუკუნოვანი ცივილიზაციისა და კულტურის მქონე ხალხი სახელმწიფოს აშენებას ვერ ახერხებს!

ეს რომ არ გაიგოს ხალხმა, ამიტომაც ებრძვიან სატელიტური ანტენების დაყენებას შუასაუკუნეობრივი სიბნელიდან ამოზრდილ იეზუიტთა მონდომებით!

და ეს მაშინ, როცა არავინ იცის როდის დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრიობა – ყოველი შემთხვევისათვის იგი მაშინ დაიწყო, როცა მსოფლიოს ხალხებს ელემენტარული წარმოდგენაც კი არ გააჩნდათ იმაზე, თუ რა იყო სახელმწიფო. ახლა კი, ბოლო ადგილზე ვართ.

სასოწარკვეთის პირასაა მისული სოციალური და ყოფითი პრობლემებით გაწამებული ქართველი ხალხი, შიმშილი და სიღატაკე მათი ცხოვრების ჩვეულ ნორმადაა ქცეული, ქვეყანას ხერხემალს უხრავენ ელიტური კოპუფციის სახელისუფლებო ზვიგენები და მათგან შეგულიანებული მონოპოლისტები.

აი, ეს გახლავთ სააკაშვილისა და მისი დამქაში ნაცების მუხლჩაუხრელი **“შრომის”** შედეგი. ახლა, ნებისმიერ ძუნძგლიან ძაღლს შეუძლია წამოუსვას კბილი შუა გზაზე დაგდებულ **“არშემდგარ”** საქართველოს, რაც ალბათ მოხდება კიდეც, თუ ეს ქვეყნის გამყიდველები თავიდან არ მოვიშორეთ!

განა სწორედ საქართველოს დამცრობა-დასუსტება და საბოლოო განადგურება არ გახლავთ სომეხ რეაქციონერთა მრავალსაუკუნოვანი ოცნება?

განა სწორედ სომეხ რეაქციონერთა ინტერესებს არ ატარებს მიხეილ სააკაშვილი მის მიერ აწეწილ-დაწეწილ საქართველოში?

რომელ სახელმწიფოებრიობაზე შეიძლება საუბარი იმ ქვეყანაში, სადაც სააკაშვილმა მინისტრად დანიშნა ერთი უნიჭო მომღერალი გოგა ხაჩიძე, მხოლოდ იმიტომ, რომ მან მლიქვნელურად უძღვნა სააკაშვილს სრულიად უგემოვნო სიმღერა **“მიშა-მაგარია”**!

ასე სატაშფანდუროდ და მასაჟისტად წოდებული მეძავების სანავარდოდ აქცია ამ ჭკუასუსტმა ადამიანმა ერთ დროს ძლიერი და ბრძენი საქართველო!

კარგად გაიხსენეთ ამ პირწავარდნილი **“დაშნაკცუტიუნელის”** დამოკიდებულება ქართული ეკლესიისადმი, ქართული საზოგადოებისადმი, ქართული კულტურისადმი, ქართული სოფლის მეურნეობისადმი, ქართული ინტელიგენციისადმი, ერთის სიტყვით, ყოველგვარი ქართულისადმი... სწორედ ქართული ეკლესიისა და მისი საჭეთმპყრობელისადმი სრული უპატივცემულობა გახლავთ (ისევე, როგორც სომხური გრიგორიანული მონოფიზიტური ეკლესიის დამოკიდებულებაა ქართული მართლმადიდებლობის მიმართ) თვალშისაცემი მიხეილ სააკაშვილის მხრიდან, რაც აშკარად გამოვლინდა საქართველოში სომხეთის კათალიკოს-პატრიარქის გარეგინ მეორის ვიზიტისას, როცა მონოფიზიტი გარეგინის მოთხოვნით დაჩქარებული წესით დაამტკიცა კანონი რელიგიური გაერთიანებების შესახებ, რითაც სხვადასხვა კონფესიები და სექტები იურიდიული სტატუსით ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას გაუთანაბრა. აღარაფერს ვამბობთ თბილისში, მახათას მთაზე, ტაძრის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიალზე, სადაც ალკოჰოლით თუ ნარკოტიკებით სასტიკად გაბრუებული სააკაშვილი მანამდე ჩაენარცხა მოწყვეტილად პატრიარქის გვერდითა სავარძელში, ვიდრე მისი უწმინდესობა ილია მეორე დაბრძანებას ინებებდა.

მე არ ვიცი, რა ვუწოდო ამგვარ საქციელს!

ან როგორ შეიძლება სერიოზული შეფასება მისცე პირწავარდნილი მექალთანის, ტრაბახა ლოთის ან ნარკომანის საქციელს!

სააკაშვილმა და მისმა ამფსონმა **“ნაცებმა”** თავიანთი დაგეშილი აქტივისტები ცოფიანი ძაღლებივით მიუსიეს ბიძინა ივანიშვილს, ალექსანდრე ჭაჭიას, სხვა ღირსეულ მამულიშვილებს, რათა მათ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობის მიღების საშუალება არ მისცენ...

ივანიშვილსა და ჭაჭიას აბრალებენ საქართველოში რუსული რეაქციული წრეების ინტერესის გატარებას, თითქოს სწორედ მათ არ გაეხლიჩოთ შუაში საქართველო, იურიდიულად არ გაეფორმებინოთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევა, არ ჩამოეთესლოთ ქართველებისაგან დაცლილ საქართველოში უცხო ჯურის ათიათასობით წარმომადგენელი, თითქოს მათ არ გაესხვისებინოთ, თუნდაც იგივე რუსებზე, ქვეყნის მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტები...

ახლა კი პირზე დუჟმომდგარები გვარწმუნებენ – ამერიკაა ჩვენი მეგობარი, თორემ რუსები ჩვენი დაუძინებელი მტერები არიანო!

პოლიტიკურად გაშიშვლებული და გაღატაკებული **“ნაცები”** ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ მეგობრობის ძაფები არ გაიბას აფხაზებსა და ქართველებს, ოსებსა და ქართველს შორის და ცდილობენ ასე შუაზე გაპობილად აარსებონ საქართველო.

ვის აძლევს ხელს ამგვარი **“სტატუსკვო”**, თუ არა საქართველოს დაუძინებელ მტერს?

საკუთარ ტყავში ძვრებიან, რომ საქართველოს ხელისუფლებაში თავიანთი უბადრუკი ყოფა გაიხანგრძლივონ, რათა, რაც შეიძლება მეტი თანხები მიითვისონ და თან თავიდან აიცილონ დამსახურებული სასჯელი მათ მიერ ჩადენილი უამრავი უკეთურობისათვის. ახლა ხალხს სექტემბრიდან პენსიების გაზრდას დაჰპირდნენ, მაგრამ უკვე ივლისის პირველ ნახევარში გააძვირეს პური ათი თეთრით, რათა ჩვენივე ჯიბიდან ამოცანცლული თანხა დაგვიბრუნონ უკან პენსიის დანამატის სახით!

არა და, **“ბოროტი ენები”** ამბობენ, რომ ქვეყანაში ხორბლისა პურის ფქვილის შემოტანის მონოპოლია სწორედ ვანო მერაბიშვილს აქვსო ხელში ჩაგდებული.

ახლა კი, ეს სახელდახელოდ **“გაპრემიერებული”** მერაბიშვილი გვპირდება, რომ მილიარდებს დაახარჯავს ჩვენს კეთილდღეობას, და თუ გავითვალისწინებთ ჩვენი ბიუჯეტის სავალალო მდგომარეობას, სავსებით გასაგებია, რომ **“ნაცები”** და მათი თავკაცები **“ჩვენს საკეთილდღეოდ და გასაბედნიერებლად”** გამიზნულ მილიარდებს კვლავ ჩვენი ჯიბეებიდან ამოიღებენ!

რა, არ არის ეს ნამდვილი **“სომხური შტუკა”**?

ღორი ღორობას ვერ მოიშლის – მევახშე კი მევალეების გატყავებისა და სარგებლისადმი მუდმივად ლტოლვას!

სწორედ რომ **“მევალეებად”** მივაჩნიავართ ნაცებს მთელი ქართველობა, რადგან ასეთი **“ბედნიერება”** გვიბოძეს. შევარდნაძისაგან განთავისუფლება ნამდვილად დიდი ბედნიერება იყო. მაგრამ, რას ვიფიქრებდით, რომ უარესი კაცთმოძულეები მოვიდოდნენ ხელისუფლებაში!

ამათი იდეალი (ისევე, როგორც შევარდნაძის) დიდი ფულის შოვნაა და ამისათვის არავითარ საძრახის საქმეს არ ერიდებიან.

არაკაცობით და ქვეყნის ყვლეფით ნაშოვნ ფულს ხომ არ ამოიღებენ მუთაქებიდან, არჩევნებში დასახარჯად – აგერ არ არის, მათ მიერ დაბრიყვებულ-გაბრიყვებული და დაძროხებული ქართველი ხალხი?

რა უნდა უწოდო ამის შემდეგ იმ ადამიანებს, რომლებიც ამის შემდეგაც ბრმად დაუჭერენ მხარს სააკაშვილს და ნაციონალებს? სხვების არ ვიცი, მაგრამ მე მათ მორალურად, ზნეობრივად და ინტელექტუალურად ეროზირებულ ბრბოს დავარქმევდი!

ნაციონალთა ხელისუფლებაში მოსვლით რომ საქართველოში პოლიტიკურად მკვდარი ბავშვი დაიბადა, ეს სამწუხაროდ, საკმაოდ გვიან გავიგეთ!

ბევრს დღესაც ვერ გაუგია!

სააკაშვილისა და **“ნაცების”** ხელისუფლებაში დატოვება იმას ნიშნავს, მელოგინე ქალს მოსამშობიარებლად მესაფლავე რომ მიუყვანო!

ეჭვსგარეშეა, რომ კიდევ ერთი მკვდარი ბავშვი დაიბადება – ამჯერად, ალბათ უკანასკნელად.

ფრთხილად უნდა ვიყოთ ქართველები, რადგან ძალაუფლების დაკარგვის შიშით ატანილი ხელისუფლება კიდევ უფრო მეტ დარღვევებზე წავა და არც სისხლისღვრას მოერიდება...

ამიტომ, დროულად მოვეგოთ გონს ყველანი და ღირსეული არჩევანი გავაკეთოთ!

მალე გავისტუმროთ ნაცები მოუსავლეთში!

რედაქციისაგან – მავანზე უკითხავთ: სიგარეტს რატომ არ ეწევაო?

– ხის თავი აქვს და ეშინია, თავზე ცეცხლი არ წაეკიდოსო!

ნუ მოწევთ სიგარეტს, ნაციონალთა მხარდამჭერებო!

სიგარეტი კლავს, თქვენნაირებს კი – თავზე ხანძარს გაუჩენს!

ყოველკვირეული ამბები აფხაზეთიდან

“საქართველოსა და აფხაზეთის მომავალ ურთიერთობათა შესახებ”

(აფხაზი პოლიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის ბესლან კობახიას სტატიაში ზოგიერთი რამ შეიძლება მიუღებლად მოეჩვენოს გაზეთის მკითხველს, მაგრამ ის ფაქტი, რომ აფხაზები ფიქრობენ საქართველოსთან ურთიერთობის დარეგულირებაზე, მისასალმებელია, რადგან ნიშნავს, რომ აფხაზებმა საბოლოოდ არ შეგვაქციეს ზურგი და ჩვენს ერთადერთ მონათესავე ერად რჩებიან. ეს კი იმის იმედს გვაძლევს, რომ მომავალში ჩვენ და აფხაზები კვლავ ერთად ვიქნებით. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რას ფიქრობენ ჩვენზე აფხაზი ძმები, ხოლო მათ უნდა იცოდნენ ჩვენი განაზრახი. მხოლოდ ასე, ერთიანი ძალისხმევით თუ შევძლებთ ჩვენს შორის არსებული პრობლემების გადაჭრას).

ბესლან კობახია: ***მე იმედის თვალით შევცქერი მომავალს. მე მიმაჩნია, რომ ჩვენი ხალხები ყველა საკითხის გადაწყვეტას შესძლებენ. საჭიროა მხოლოდ, რომ ამ პროცესებს ახალი იმპულსი მიეცეს. და მაშინ მოვლენები ელვის სისწრაფით განვითარდებიან.***

ახლახან მე საკმაოდ ვრცელი წერილი გამოვაქვეყნე, რომელშიც შევეცადე გამეანალიზებინა ადიგეებისა და აფხაზების ურთიერთდამოკიდებულების ზოგიერთი ასპექტი. წერილში წამოწეული გახლდათ ის საკითხები, რომელსაც ჩვენი ძმები ზოგიერთ ჩერქეზულ საიტზე განათავსებენ. და რადგან ასეთ საიტთა რიცხვმა უკანასკნელ პერიოდში იმატა, შევეცადე გამეანალიზებინა შექმნილი მდგომარეობა. წერილს მოჰყვა რუსლან კეშისა და ექსპერტთა კლუბის რეაქცია, რომლის სახელითაც გამოვიდა ლევან კიკნაძე. დაიწყო პოლემიკა ჩემს მიერ დაყენებულ საკითხებზე, რაც თავისთავად ნორმალურ მოვლენად მიმაჩნია. ადამიანები გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებებს, ცდილობენ სიტუაციის გაანალიზებას, განსაზღვრავენ მომავალს. სწორედ ეს გახლავთ საქმისადმი კონსტრუქციული მიდგომა. თუმცა, სამწუხაროდ, ზოგიერთი გამოხმაურებიდან გამოსჭვივოდა არა კონსტრუქტივიზმი, არამედ პირადი წყენა და ა.შ.

მე არ შევუდგები ჩემს წერილზე რუსლან კეშის გამოხმაურების კომენტირებას, და არა იმიტომ, რომ არაფერი მაქვს სათქმელი. ვფიქრობ, რომ საკითხები, რომელიც უკანასკნელ ჟამს გაჩნდნენ ადიგებსა და აფხაზებს შორი, გადაჭრადია და, უპირველესად, საჭიროა მოეწყოს მათი ერთობლივი განხილვა. მეორეც, ჩემს პუბლიკაციებში მე მუდამ ვეძებ არ ორი ხალხის გაერთიანების და არა მათი გათიშვის გზებს, იმიტომ, რომ ისტორიულად ჩვენი ხალხები ერთ ძალას წარმოადგენდნენ და როცა ერთს უჭირდა, მეორე ყოველთვის მოდიოდა მის დასახმარებლად. ამიტომ, კიდევ ერთხელ მინდა მოვიწვიო რუსლან კეში აფხაზეთში, რათა იგი გაესაუბროს ჩვენს ხალხს, რათა დარწმუნდეს, რომ ჩვენი მოქალაქეების ძმობასა და მეგობრობას წინ ვერაფერი დაუდგება.

მაგრამ მე ფრიად გამაოცა ექსპერტთა კლუბისა და მისი წარმომადგენლის ლევან კიკნაძის დამოკიდებულებამ ჩემი წერილისადმი, რომლის პასუხში აშკარად იგრძნობა ნერვიულობა. ყველაზე უცნაური კი ის არის, რომ წერილის ავტორს თავის პასუხში ერთხელაც კი არ უხსენებია საქართველო. არ მინდა ყველა იმ თამამ აზრებს ვუპასუხო, რომელიც თავის წერილში მოჰყავს ავტორს, მაგრამ იგრძნობა, რომ მას არა მხოლოდ აფხაზებისა და ადიგეების ურთიერთობა აწუხებს, არამედ უფრო მეტად შეწუხებულია აფხაზებისა და ქართველების მომავალი ურთიერთობებით, რომელსაც დღეს, სამწუხაროდ, საუკეთესოდ ვერ მივიჩნევთ.

სინამდვილეში კი, მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს ხალხებს შორის ნორმალური ურთიერთობა მალე აღსდგება. აფხაზ და ქართველ ხალხს ურთიერთობის ხანგრძლივი ისტორია გააჩნიათ, თუმცა, წარსული ყოველთვის არ იყო ერთმნიშვნელოვანი. იყო პერიოდი (და არაერთხელ), როცა საქართველო და აფხაზეთი ერთ სახელმწიფოს წარმოადგენდნენ და იყო ის პერიოდიც, როცა ისინი ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად არსებობდნენ. ჩვენი ახლო მეზობლობის გამო, მთელი ისტორიული ურთიერთობის განმავლობაში ჩვენი ხალხები ურთიერთზემოქმედებდნენ. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ გაგვაჩნია უამრავი შერეული ოჯახი და საერთო ნათესავი. აღსანიშნავია ისიც, რომ ძალიან ბევრი აფხაზი და ქართველი მეგობრობს ერთმანეთთან, რისი გაწყვეტაც თვით ჩვენს თავებზე დატრიალებულმა ტრაგიკულმა მოვლენებმაც კი ვერ შესძლო. სწორედ ეს მაძლევს უფლებას, რომ ოპტიმისტურად ვუყურო ჩვენი ხალხების სამომავლო ურთიერთობებს.

ახლახან მე მომიწია, რომ, ამ საკითხზე, ინტერნეტით გამეცა პასუხი ქართული აუდიტორიისათვის. ნება მიბოძეთ, იგი გავიმეორო:

უპირველესად, მწუხარება მინდა გამოვთქვა იმ ადამიანებზე, რომლებიც დაიღუპნენ განვლილ წლებში. ის, რაც ჩვენ დაგვემართა, ჩემის აზრით, გახლდათ 1992 წლის აგვისტოში ჩადენილი მძიმე დანაშაული.

გოეთე ამბობდა: **“ჩვენ თავისუფალნი ვართ პირველი ნაბიჯის არჩევაში, მაგრამ ყოველთვის ვრჩებით მეორე ნაბიჯის მონებად”.**

1992 წელს აფხაზეთში ქართული ჯარების შემოყვანას მე ვაფასებ როგორც ჩვენი ხალხების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულს, რომელმაც დიდი რაოდენობის ადამიანები იმსხვერპლა ორივე მხრიდან და შექმნა იმის წინაპირობა, როცა ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია. სწორედ ამან გადააქცია ერთმანეთს ნათესაური კავშირებით გადაჯაჭვული ორი მოძმე ერი დაუძინებელ მტრებად.

იმ ახალგაზრდებს, რომლებიც არ იყვნენ ოცი წლის წინანდელი კონფლიქტის მონაწილეები, მინდა შევახსენო, თუ რა მოვლენები უძღოდა წინ საქართველოს ჯარების აფხაზეთში შემოყვანას.

როგორც ვიცით, პუტჩის შედეგად მაშინ საქართველოს სათავეში მოვიდნენ კრიმინალური წარსულის მქონე პირები, რომელთაც იარაღის ძალით დაამხეს ზვიად გამსახურდიას კანონიერი ხელისუფლება. ამას უამრავი ხალხი შეეწირა, თითქმის მთლიანად დაიწვა ქალაქის ცენტრი. ამავე ხალხმა ჩამოაყალიბა არალეგიტიმური ორგანო – საქართველოს სახელმწიფო საბჭო. რათა მისთვის ოდნავ მაინც მიეცათ კანონიერი სახე, თავმჯდომარედ მოიწვიეს ედუარდ შევარდნაძე. იგი შეეცადა საკუთარ ხელში აეღო სახელმწიფოს მართვა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო პირწავარდნილი კრიმინალების ჯაბა იოსელიანისა და თენგიზ კიტოვანის მოთოკვა. მაშინ თვით საქართველოს სამოქალაქო საზოგადოებაც შუაში აღმოჩნდა გახეთქილი – **“ზვიადისტებად”** და **“შევარდნაძისტებად”**. უნდა აღვნიშნო, რომ აფხაზეთში მცხოვრები ქართველები ძირითადად გამსახურდიას უჭერდნენ მხარს. ასევე არ დაუჭირა მხარი საქართველოს ახალ **“ხელისუფლებას”** სრულიად სამეგრელომ. ამას მოჰყვა საქართველოს ხელისუფლების მიერ სადამსჯელო ოპერაციის ჩატარება სამეგრელოში, სადაც სამთავრობო ჯარებმა განსაკუთრებული სისასტიკით დაარბიეს მოსახლეობა. აფხაზეთი მაშინ სტაბილურობის კუნძულად რჩებოდა. რა თქმა უნდა, აფხაზეთშიც იყო ცალკეული წინააღმდეგობები, მაგრამ აფხაზეთის ხელისუფლებამ, არძინბას ხელმძღვანელობით, მაინც შეინარჩუნა სიმშვიდე. ყველა წარმოქმნილი პრობლემა წყდებოდა არაფორმალურ გაერთიანებათა ხელმძღვანელებთან მოლაპარაკებების გზით და ამიტომ სუფევდა შედარებითი სიმშვიდე. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა აფხაზეთში მცხოვრებმა ქართველებმა მიმართეს არძინბას გამსახურდიასათვის შეიარაღებული თანადგომის წინადადებით და მხოლოდ დიდი ძალისხმევით მოხერხდა ამ ხალხის დამშვიდება. ის, რომ იმ პერიოდში მშვიდობა სუფევდა საქართველოსა და აფხაზეთს შორის, მეტყველებდა დამსვენებლთა დიდი რაოდენობა აფხაზეთში და დამსვენებლებით გადავსებული სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები.

რა უნდა მოემოქმედა ასეთ შემთხვევაში საქართველოს ახალ ხელისუფლებას? მათ არ გააჩნდათ ლეგიტიმური ხელისუფლება, საზოგადოება ორ შეურიგებელ ბანაკად იყო გახლეჩილი, ქვეყანაში ძალადობდნენ **“გვარდიად”** და **“მხედრიონად”** წოდებული უკანონო შეიარაღებული ბანდფორმირებები, რომლებიც მხოლოდ თ. კიტოვანსა და ჯ. იოსელიანს ემორჩილებოდნენ. საჭირო იყო საზოგადოების კონსოლიდაციის გზების მოძებნა, ხელისუფლების ლეგიტიმაცია და თბილისში მომქმედი უკონტროლო შეიარაღებული ფორმირებების განიტრალება. ამისათვის სასწრაფოდ იყო საჭირო მტრის ხატის შექმნა. საქართველოს სჭირდებოდა გამარჯვებით დაგვირგვინებული პატარა ომი, რაც მის საზოგადოებას დაარწმუნებდა ქართული ჯარის უძლეველობაში. ვინაიდან სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში აღარ მიმდინარეობდა აქტიური საომარი მოქმედებები, აჭარა კი ამგვარ პლაცდარმად არ გამოდგებოდა, ასლან აბაშიძესა და ედუარდ შევარდნაძეს შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობის გამო, რჩებოდა მხოლოდ აფხაზეთი. ამდენად, აფხაზეთი განწირული იყო სამხედრო აგრესიისათვის.

ამრიგად, 1992 წლის აგვისტოში, საქართველოს აბსოლუტურად არალეგიტიმურმა სახელმწიფო საბჭომ მიიღო დანაშაულებრივი გადაწყვეტილება აფხაზეთის რესპუბლიკაში ჯარების შეყვანის თაობაზე. ჩვენ არ ვიცით სად და როგორ იქნა მიღებული ეს გადაწყვეტილება, მაგრამ აუცილებლად მიმაჩნია ამ გარემოებათა დაწვრილებითი გამოძიება და დეტალების დადგენა. ფაქტია, რომ სწორედ ამ სხდომაზე გადაწყდა ომის დაწყება, რასაც ადამიანების დიდი მსხვერპლი მოჰყვა ორივე მხრიდან, დაინგრა არსებული სამყარო.

აფხაზეთში არ არსებობს ოჯახი, რომელმაც ნათესავი არ დაჰკარგა ამ ომში. აფხაზეთის ყველა რაიონშია დღეს აღმართული იმ ადამიანთა ხსოვნის ძეგლები, რომელთაც სიცოცხლე გაიღეს სამშობლოსათვის, საკუთარი ოჯახისათვის, მშობლებისათვის, ქალებისათვის, ბავშვებისა და მოხუცებისათვის. დიდი დანაკლისი ჰქონდა ქართულ მხარესაც. ომის დროს ჩადენილი იქნა მრავალი ბოროტმოქმედება, რომლის დავიწყება არ შეიძლება და ჩვენს თაობას მარად ემახსოვრება ეს. მხოლოდ ჩემმა ერთ-ერთმა ნათესავმა ბატალ კობახიამ ლათის ტრაგედიაში, სადაც ჩამოგდებული იქნა ვერტმფრენი, დაჰკარგა ოჯახის თორმეტი უახლოესი წევრი, მათ შორის ქალები და ძუძუთა ბავშვები.

იმ ახალგაზრდებისათვის, რომელთაც თავს არ დასტყდომიათ ამ ომის საშინელება, მოვუთხრობ ჩემი საუბრის თაობაზე ცნობილ მეცნიერ ლევ რეჰელსონთან:

“ერთხელ გაეროს ერთ-ერთმა ამერიკელმა დამკვირვებელმა (აფხაზეთში) მითხრა: ეს ომი კი არა, ეთნიკური კონფლიქტი იყო! მე მას ვუპასუხე: ჯონ, თქვენს სამშობლოს რომ მოსახლეობის სამი პროცენტი დაღუპვოდა (ძირითადად – ახალგაზრდობა), **ორჯერ მეტი კი რომ დასახიჩრებულიყო, მაშინაც ილაპარაკებდი “კონფლიქტზე”? ჯონი შეწუხდა, რადგან ეს ციფრი ნიშნავდა ამერიკაში 7,5 მილიონ დაღუპულს – ჩვენ ხომ მთელი ომების მანძილზე არ დაგვიკარგავს ამდენი ხალხი. იგი ჩაფიქრებული დამშორდა...”.**

დავუმატებ იმასაც, რომ აფხაზეთში რუსული ჯარების შემოსვლის შემდეგ აფხაზეთის თითქმის ამავე რაოდენობის მოქალაქე დაიღუპა ენგურზე. ამგვარი დანაკარგი კი საქართველოსათვისაც საგრძნობი იქნებოდა. მე ბოდიშს ვიხდი ციფრებით მანიპულირებისათვის, მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ თუ რა მოხდა აფხაზეთში. ასეთი დანაკარგები ხომ კატასტროფულია მცირე ერებისათვის.

დღეს, როცა XXI საუკუნე დგას, ომიდან ოცი წლის შემდეგაც კი, როცა ახალი თაობა გაიზარდა, ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით ჩვენი ურიერთობიდან მეოცე საუკუნის ტრაგიკული მოვლენების აღმოფხვრა. ალბათ მოვიდა დრო, რომ აფხაზებმა და ქართველებმა ურთიერთობები ახალი რეალიების გათვალისწინებით ავაგოთ. იმისათვის, რომ ომის საშინელებები უკან მოვიპოვოთ, არსებობს მხოლოდ ერთი გზა. და ეს ნაბიჯი, ჩემია აზრით, ქართულმა მხარემ უნდა გადადგას.

ომისშემდგომი 20-წლიანი პერიოდის განმავლობაში შეიქმნა ჩვენი დაახლოების რამდენიმე პროექტი, მათ შორის ე.წ. **“ბოდენის გეგმაც”**, მაგრამ მათი რეალიზაცია ვერ მოხერხდა სავსებით გასაგები მიზეზების გამო, რადგან ასეთ შემთხვევაში კიდევ უფრო დიდი უბედურებები დაგვატყდებოდა თავს მასში ჩადებული ფარული **“ნაღმების”** გამო. 20 წლის შემდეგ კი ნათელია, რომ თუ დიალოგი არ აიგო ურთიერთთანაბარი მუშაობის პრინციპში, სასურველი შედეგი არ დადგება.

თავს უფლებას მივცემ წარმოვადგინო ჩემს მიერ შემუშავებული ექსპუნქტიანი გეგმა და რომელსაც არ სჭირდება დიდი ფინანსური დანახარჯები, სწრაფად შეიძლება მისი რეალიზება და სასურველ ეფექტსაც მოგვიტანს.

აი, რა უნდა გააკეთოს, ჩემის აზრით, საქართველომ:

აღიაროს ქართველი და აფხაზი ხალხის წინაშე ჩადენილ დანაშაულად ომის დაწყება;

აღძრას სისხლის სამართლის საქმე ყველა იმ პირების წინააღმდეგ, ვინც საქართველოს სახელმწიფო საბჭოს სხდომაზე მხარი დაუჭირეს აფხაზეთში ომის დაწყებას 1992 წლის აგვისტოში;

ყველა ამ საქმეებზე მოაწყოს ღია სასამართლო მოსმენა;

აღიაროს აფხაზეთის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა;

დაამყაროს აფხაზეთთან დიპლომატიური ურთიერთობა;

გააფორმოს ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის ხელშეკრულება.

რა თქმა უნდა, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება წამიერად ვერ აღმოფხვრის ყველა პრობლემას. მაგრამ მას შეუძლია გადაჭრას მთავარი საკითხი – გახდნენ თანაბარუფლებიანი პატრნიორები და მოლაპარაკებები აწარმოონ როგორც პარტნიორებმა. მოლაპარაკებებს ხომ მხოლოდ თანაბარი მხარეები აწარმოებენ. კერძოდ, მხოლოდ ამ საკითხებში იჩქმალება პრობლემათა არსი.

მე მგონია, რომ ძველი ხელმძღვანელობის წასვლასთან ერთად საქართველო განთავისუფლდა წარსული ეპოქისაგან – ორმაგი სტანდარტების ეპოქისაგან, სადაც ჭარბობდა სიცრუე, მოტყუება, კორუფცია და სხვა მანკიერებები, რაც ღუპავდა ქართველ ხალხს (როგორც ჩანს, ამ წერილის ავტორი ღრმად არაა ჩახედული დღევანდელი საქართველოს ყოფაში, თორემ არ გამოიყენებდა ფრაზას **“განთავისუფლდა წარსული ეპოქისაგან”**, რადგან ყველა ეს მანკიერება დღეს ისე მძლავრობს საქართველოში, როგორც არასდროს! – **“ილორი”**). მაგრამ, პროცესი, სამწუხაროდ, დასრულებული არაა. არ შეცვლილა პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ, რაც მძიმე დარტყმას აყენებს ქართველი ხალხის თვითშეგნებას, ქმნის არასასურველ ილუზიებს, საშუალებას არ აძლევს ჩვენს ხალხებს დავიწყებას მისცენ ტრაგიკული, მწარე წარსული. ჩვენ პრაგმატიზმის ეპოქაში ვცხოვრობთ და უფრო ბრძნული იქნებოდა საკუთარი პოზიციების გადახედვა აფხაზეთის მიმართ. უნდა დამთავრდეს ომი აფხაზეთის წინააღმდეგ, რომელიც წარსულ საუკუნეში დაიწყო და სასურველი ნიადაგი შევქმნათ ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობებისათვის, რაც სწრაფად განავითარებს ეკონომიკას ორივე ქვეყანაში, ახალ ეტაპზე გადაიყვანს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობებს, გაზრდის ურთიერთნდობას. საამისოდ არსებობს მხოლოდ ერთი გზა – აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარება.

მას შემდეგ, რაც აღნიშნული საკითხები გადაწყდება, უამრავ პრობლემას მოეღება ბოლო და ისინი პოლიტიკური სიბრტყიდან ჰუმანიტარულ განზომილებაში გადაინაცვლებენ. და აფხაზეთი, რომელიც საერთაშორისო თანამგობრობის სრულუფლებიანი წევრი გახდება და, შესაბამისად, ვალდებული იქნება დაემორჩილოს საერთაშორისო კანონებს. მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ, ამ შემთხვევაში, საქართველო ვალდებული იქნება პასუხისმგებლობა აიღოს აფხაზეთის დანგრეულ ეკონომიკაზე, განადგურებულ სახცოვრებელ ფონდზე, შენობა-ნაგებობებზე, მოშლილ ინფრასტრუქტურაზე და სხვა. ამრიგად, მთავარია შევიდეთ საერთაშორისო სამართლებრივ სივრცეში, შევქმნათ შესაბამისი კომისიები, რომლებიც ჩამოაყალიბებენ კომპეტენტურ დასკვნებს, რაც დააკმაყოფილებდა ორივე მხარის მოთხოვნებს. სწორედ ეს გახლავთ საერთაშორისო პრაქტიკა, რისი დაწყებაც ჩვენთან, სამწუხაროდ, ყოვნდება. აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის სხვა გზა არ არსებობს – სხვა გზა კვლავ ომია!

მე იმედის თვალით შევცქერი მომავალს, რადგან ვფიქრობ, რომ ჩვენს ხალხებს შორის წამოჭრილი ყველა პრობლემა გადაჭრადია. საჭიროა მხოლოდ ამ პროცესებისადმი ახალი იმპულსის მიცემა.

მერწუმენთ, მაშინ პროცესები ელვისებურად განვითარდებიან!

ბესლან კობახია,
სოხუმი,

ჭეშმარიტების იგნორირებით სიკეთე მოგვივა?

ჩვენს ქვეყანაში (და არა მარტო ჩვენში) მიმდინარე პროცესები, პოლიტიკური ვითარება და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა აბსოლუტურად კანონზომიერადაა მისადაგებული თანამედროვე საზოგადოების სულიერ-ზნეობრივ დონესთან, რადგან შეუვალია მიზეზ-შედეგობრიობის კანონი და უმიზეზოდ არაფერი ხდება.

როცა უკმაყოფილებას გამოვთქვამდი ოფიციალური სამეცნიერო დაწესებულებების ხელმძღვანელების მიმართ, რადგან რეაგირების გარეშე ტოვებდნენ ჩემს გამოკვლევებს და უპასუხოდ ჩემს მიერ დასმულ კითხვებს, ზოგი სრულიად არაკომპეტენტური, ცრუ დოგმებზე აღზრდილი ტვინზომბირებული თანამედროვე, რომელიც ავტორიტეტად წარმოდგენილი პირისგან გაგონილ სიცრუეს ჭეშმარიტებად მიიჩნევდა და ამით ნასიამოვნები, ფშუტე თავთავივით ცხვირს მაღლა სწევდა, დაურიდებლად მეტყოდა ხოლმე: ნამდვილი მეცნიერები სერიოზულად არ მიიჩნევენ შენს ნაშრომებს და კითხვებს და ამიტომ არ რეაგირებენ, რომ ჩემი აღმოჩენებით ვანგრევ ცრუ დოგმებს და სიყალბეებს, რომლებსაც დღემდე ჯიუტად ასწავლიან სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში, ობიექტურმა მკითხველმა განსაჯოს. მე კიდევ, მრავალი ეპიზოდიდან წარმოვადგენ ერთ-ერთს, რომელიც გადამხდა ამ ბოლო ჟამს და ღვთის ნებით დადასტურებული საბუთიც მოვიპოვე.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის 2012 წლის 16 მარტის სამეცნიერო სხდომაზე აკადემიის პრეზიდენტმა – ბ-მა ალექსანდრე კუჭუხიძემ დამსწრეთ გააცნო სავარაუდო თემატიკა, რომელიც აქტუალურია დღევანდელ მსოფლიოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მოუწოდა მსურველებს დაახლოებით ამ თემატიკის ფარგლებში მოემზადებინათ მოხსენებები. მე არა ვარ ამ აკადემიის წევრი, ჩვენი მეგობრის მიერ მომზადებული მოხსენების მოსასმენად მივედი, მაგრამ რამოდენიმე სტატია მომზადებული მქონდა, რომლებიც ზუსტად შედიოდა ჩამოთვლილ თემატიკაში და შევეკითხე ბ-ნ ალექსანდრეს, მაქვს თუ არა უფლება, სხვა აკადემიის წევრს, თქვენთან გავაკეთო მოხსენება – მეთქი. – რა თქმა უნდა, გაქვთო, – მიპასუხა, – ოღონდ, წინასწარ წარმოადგინეთ მასალა, კომისიაზე განვიხილავთ და თუ ღირებული იქნება, აკადემიის წლიურ პროგრამაში ჩაგვსვამთო.

ორ კვირაში წარვადგინე ორი სტატია: **ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანი? და რა ენაზე დაიწერა დედანში ბიბლიური დაბადება?**

2012 წლის 20 აპრილის სამეცნიერო სხდომაზე უნდა მოგვესმინა მოხსენება (მომხს. – გოჩა კუჭუხიძე, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, აღნიშნული აკადემიის აკადემიკოსი) თემაზე: **ქართული მწერლობის დასაბამი და განვითარების ეტაპები**. ამის შესახებ მარტის სხდომიდან ვიყავით ინფორმირებული და დაახლოებით ვიცოდი, რა მიმართულებით განვითარდებოდა თემა, მაგრამ ვერ მოვითმინე და დავესწარი.

როგორც მოველოდი, მომხსენებელი მთლიანად დაეყრდნო ლეონტი მროველის **„ქართლის ცხოვრებაში“** აღწერილ მასალებს (იხ. გ-თი საქართველოს დედაქალაქი, 2012 წლის მაისი, №102), რომელსაც, როგორც დიდი ივანე ჯავახიშვილიც ფიქრობდა, ქართველი ერის ჭეშმარიტი ისტორიის შესაქმნელად არავითარი მეცნიერული ღირებულება არ გააჩნია, რადგან ამ თხზულებაში აბსოლუტურად იგნორირებულია მსოფლიო ისტორიაში ფართოდ ცნობილი იბერიის სახელმწიფოს არსებობა და სრულიად დაუმსახურებლად წამოწეულია სომეხი ერის როლი. იბერიის არსებობას და ისტორიას, განსაკუთრებით, უსვამენ ხაზს ცნობილი ქართველი მეცნიერები (ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ჯავახიშვილი, არნოლდ ჩიქობავა, შოთა ძიძიგური და სხვები), მაგრამ პატ-მა მომხსენებელმა, როგორც ბევრ თანამედროვე მეცნიერთ სჩვევიათ ხოლმე, შეგნებულად აუარა გვერდი, იმ ფაქტს, რომ იბერია უხსოვარი დროიდან არსებობდა, მაგრამ ძვ.წ. აღ-ით 550 წლიდან 331 წლამდე სპარსეთს აქვს დაპყრობილი, ხოლო მაკედონელის კავკასიაში შემოსვლის შემდეგ განთავისუფლდა სპარსეთის ბატონობისაგან და, რაღაც ფორმით, ჯერ ემორჩილებოდა საბერძნეთის იმპერიას, შემდგომ რომის იმპერიას, მაგრამ გარკვეულ წილად თავისუფალი იყო, ხოლო ახ.წ.აღ-ით 523 წლამდე ქართლი იბერიაში შედიოდა და არავითარი სახელმწიფოებრიობა, 899 წლამდე, ქართლს და ქართულ ენას არ ჰქონია., ამდენად, განსაკუთრებით, იმ ხანაში, ქვეშევრდომის ენის განვითარებაზე არავინ ზრუნავდა და, ბუნებრივია, იოანე პეტრიწის უკმაყოფილება ქართული ენის მდაბიურობის გამო, მაგრამ ჭეშმარიტება და ზემოთ აღნიშნულ ქართველ მეცნიერთა კვლევები მომხსენებლმა ისე უგულვებელყო, რომ, თითქოსდა, ამაზე არაფერი სმენოდეს და იბერიისა და იბერიული ენის იგნორირების ხარჯზე, ძალიან შორს გაუტია. სახელდობრ, სახელწოდებით ქართული მწერლობის დასაბამი ისე წარმოგვიდგინა, რომ იბერიული ენა და მწერლობა კი არა, იბერია, საერთოდ, არასოდეს არსებულა.

აქვე მინდა ავღნიშნოთ, რომ სანამ მომხსენებლს სიტყვას მისცემდა, აკადემიის პრეზიდენტმა – ბ-ნმა ალექსანდრე კუჭუხიძემ გააკეთა მოკლე მიმოხილვა აკადემიის საქმიანობაზე, აკადემიის წევრებს შორის პასუხისმგებლობის ამაღლების აუცილებლობაზე, დამსწრეთა ყურადღება გაამახვილა იმ აქტუალურ საკითხებზე, რომლებიც განიხილებოდა აკადემიის სამეცნიერო სხომებზე და ჩემი გვარი არ დაუსახელებია, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა მხოლოდ ჩემს მიერ წარდგენილ თემებზე და აუდიტორიას მიმართა: აბა რომელიმე თქვენგანმა თუ იცოდით, **ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანი?** თუ იცოდით რომელიმემ **ვინ დაწერა დედანში ბიბლიური დაბადება?** ასეთი საკითხები იხილება ჩვენთან და თითოეული ჩვენგანისაგან მეტი პასუხისმგებლობაა საჭიროო.

მოსხენების დამთავრების შემდეგ მომხსენებელს დავუსვი კითხვები, რომლებიც ადრე, სამი წლის წინათ დავუსვი ოფიციალურად ცნობილ ქართველ – მეცნიერებს, მაგრამ ვერცერთზე პასუხი, როგორც სხვა თანამედროვე მეცნიერ-აკადემიკოსებისაგან, ბუნებრივია, ვერც ბ-ნ გოჩა კუჭუხიძისგან მივიღე. უმძიმეს უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა ბატონი გოჩა, მაგრამ რა უნდა ექნა. როცა მეცნიერებას პოლიტიკა მართავს, ასეთი უხერხულობები გარდაუვალია.

ხოლო კითხვები, რომლებიც დავუსვი მომხსენებელს ასეთი იყო:

თუ ქართული ენა ფარნავაზის და უფრო ადრინდელი ეპოქიდან სახელმწიფო და სამწერლობო ენა იყო, რატომ ერქვა ამ ქვეყანას იბერია?

თუ პეტრე იბერის მშობლიური ენა ქართული იყო, რატომ გააყოლეს მას, 11 წლის ყრმას, ბიზნატიაში იოანე ლაზი, რომ მშობლიური ენა არ დავიწყებოდა?

თუ „წმინდა შუშანიკის მარტვილობა“ და სხვა წერილობითი ძეგლები დედანში, მე-5 საუკუნეში, ქართულ ენაზე დაწერილი ძეგლებია, რომლებშიც ძველი ქართული ენის არასპეციალისტისთვისაც გაუგებარი არაფერია, ხოლო უგანათლებულესი იოანე პეტრიწის (1050-1125) შრომები, რომლებიც ჩვენამდე დედანში მოღწეული ყველაზე უძველესი ძეგლია, რატომაა 50% გაუგებარი და თარგმნა მოითხოვა? იმის მაგივრად, რომ ქვეშევრდომობიდან თავდაღწევისა და სახელმწიფო ენის სტატუსის მიღების შემდეგ ქართული ენა განვითარებულიყო და დახვეწილიყო, რატომ გაუხეშდა და დამდაბლდა მდაბიოთა ენამდე პეტრიწის ეპოქისათვის?

თუ ქართულ ენას ფარნავაზის დროიდან სახელმწიფო და სამწერლობო ენის სტატუსი ჰქონდა, რატომ დარჩა, პეტრიწის ეპოქამდე, 14 საუკუნის განმავლობაში, მდაბიოთა ენად, რაზეც თავს იკლავდა იოანე პეტრიწი, როცა პეტრიწის ეპოქიდან რუსთაველის ეპოქამდე, ერთ საუკუნეში, ისეთი რეფორმის გატარება ყოფილა შესაძლებელი, რომ მდაბიოთა ენა კლასიკურ ენად ქცეულიყო?

შემდეგ სიტყვა ვითხოვე და ბ-ნმა ალექსანდრემ დამრთო ნება იმ პირობით, რომ სამ წუთში გამომეთქვა საკუთარი აზრი, მაგრამ როცა დავაპირე იმის მოტივირება, რატომ ვარ ასე აგრესიული სიყალბეების მიმართ, ბატონი ალექსანდრე ჩამერია და ორი წუთი წამართვა. დამრჩა შთაბეჭდილება, სიტყვა იმისთვის მომცა რომ შემდავებოდა და ჩემი შეხედულებების ჩამოყალიბება ვერ მაცალა, ისე შემაწყვეტინა სიტყვა, მითხრა: შენ თ. გამყრელიძესაც ედავები და, თუ ასე გააგრძელებ, შენი მოხსენებები არ განიხილებაო. ამით, თითქოსდა, თავი დაიზღვია, იმ საშიშროებისაგან, რომელიც ელოდა ჩემთვის ფართო აუდიტორიის წინაშე ზემოთ ჩამოთვლილი კითხვების დასმისთვის ასპარეზის მოცემისათვის. ყოველი შემთხვევისათვის მე ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა.

2012 წლის 12 მაისს დაუპატიჟებლად ვეწვიე ბ-ნ ალექსანდრეს რომ გამეგო ჩემი სტატიების ბედი. მითხრა: ორივე ძალიან მომეწონა, მაგრამ ეს მასალები სპეციალურად ფილოლოგებთან უნდა წაიკითხო და არა მრავალდარგოვან აკადემიაშიო და ჩემი მისამართით გამოსაგზავნად გამზადებული წერილი მომაწოდა, რომელსაც აქვე წარმოვადგენთ:


საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემია
Georgian akademy of business sciences

ქ. თბილისი – 0186, ალ. ყაზბეგის გამზირი 45, ტელ. 231 14 75, 231 18 50
Tbilisi - 0186, 45 Al. Kazbegi Av. Tel.231 14 75, 231 18 50

„—“ აპრილი, 2012 წელი

ბატონო კუკურო!

გიგზავნი თქვენს მიერ ჩვენს - საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ელერუმზე განსახილველად წარმოდგენილი ორი მოხსენების („რა ენაზე დაიწერა დედანში ბიბლიური დაბადება“ და „ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანი“) გეცნობა. ორივე ნაშრომი და ფრიად საყურადღებო მოხსენებებად მიმაჩნია.

უფრო უპრიანი თქვენთვის, უფრო შელეგიანი იქნება ერთიც და მეორეც მოხსენილი დ. ანსნილული იქნას არა მრავალდარგოვან, არამედ „სპეციალურ“ ეელლოლოგებისთვის ან „კეთილნილ სამეცნიერო დარბაზში.

საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის
პრეზიდენტი, ხუთ ორის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი,
მწერალი, ეკონომისტი, რეფორმატორი, ეკონომისტ
„ნოომნის“ მთავარი რედაქტორი: ალექსანდრე კუჭუხიძე

ამ დროისათვის იგი უკვე, ინფორმირებული იყო, რომ სპეციალისტები, უხერხულობაში ჩავარდნის შიშით, თავს მარიდებდნენ და ჩემთან დისკუსიას გაურბოდნენ, იცოდა, რომ სპეციალისტებისგან ჩემი კვლევების განხილვა აკრძალულიყო. მოკლედ, ტექნიკურად მითხრა უარი ჩემი მოხსენების აკადემიის სამეცნიერო სხდომაზე განხილვის თაობაზე. არადა, ბ-ნ ალექსანდრეს თავიდან გადაწყვეტილი ჰქონია წარდგენილი მასალების სამეცნიერო სხდომაზე განხილვა და გაზეთში გამოქვეყნება, რაშიც დავრწმუნდი, როცა ვთხოვე ეთხოვებინა ჩემთვის წარდგენილი მასალები (შემოსულ მასალებს უკან არ ვაბრუნებთო, – მითხრა), რომ ქსეროასლი გადამეღო. ჩემს სტატიაზე **ვინ შექმნა კაცობრიობის პირველი ანბანი?** ვიზა იყო დადებული, სადაც თანაშემწეს აძლევდა განკარგულებას: **„გურამ, ისეთი შრიფტით ააწყობინე, რომ ეს მასალა ჩვენი გაზეთის 4 გვერდზე დაეტიოს“**-ო. (იხ. ქსეროასლი აქვე წარმოდგენილი).


ვინ შექმნა კაცობრ
ადამიანს დასაბამიდან დღემდე არ
მნიშვნელობით ახლოს დაუდგება დამწ

დიდი პატრიოტი ვარო, – გაგრძნობინებდა ბ-ნი ალექსანდრეს გამოსვლები აკადემიაში და მეც შევეცადე ამით მესარგებლა: თავი მოვუყარე მასალებს, რის საფუძველზეც შევეკამათე ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორ – ბ-ნ გოჩა კუჭუხიძეს და 15 ივნისს, ისევ დაუპატიჟებლად, ვეწვიე ბ-ნ ალექსანდრეს. მოკრძალებით მოვახსენე: ვფიქრობ ეს მასალები ძალიან დაგაინტერესებთ და გთხოვთ, როცა თავისუფალი დრო გექნებათ, გაეცნოთ-მეთქი.

ცხადია, ადამიანებთან ურთიერთობის დახვეწილი მანერები და დიპლომატიური ხერხები არ მოუმადლებია ჩემთვის ღმერთს, თუმცა, თეორიულად ვიცი ეს თვისებები კარგია, მაგრამ, რამდენიც წამგებიანი არ იყოს ჩემთვის, ჩემში არსებული შინაგანი ძალები ყოველთვის მიბიძგებენ ვიყო პირდაპირი, ოღონდ მართალი ღვთისა და საკუთარი თავის წინაშე და, ალბათ, ვერ დავიმახსოვრე ბ-ნი ალექსანდრეს სიმპათია, რამეთუ ადრე თუ ტექნიკურად მომიშორა, აქ, უკვე, წონასწორობა დაკარგა და უხეშად მომახალა: რატომ უნდა დავინტერესდე, რატომ უნდა გავეცნო, დროს ნუ მართმევო და განგებ ვიღაცას მოუხმო.

მის კაბინეტში ვიყავი და სხვა რა გზა მქონდა, მეც წამოვედი, მაგრამ გარეთ გამოსული ისე ჩავიძირე ფიქრებში, რომ კინაღამ სწრაფად მოძრავ მანქანას ჩავუვარდი. ეტყობა, საკმაოდ მაგრად დაამუშავეს ბ-ნი ალექსანდრე. და აქ, შეუძლებელია, ნორმალურ ადამიანს არ გაუჩნდეს კითხვა: რატომ უკრძალავენ კუკური ფიფიას კომპეტენტურ სამეცნიერო წრეებში მოხსენებების გაკეთებას? უეჭველია ასეთი ადამიანები დამეთანხმებიან, რომ პატ. მეცნიერთა მიერ ჩემი შრომების ტაბუირების მიზეზი ნამდვილად არ არის ამ შრომების უმნიშვნელო ღირებულება, როგორც ამას მივრცელებენ ტიტულოვანი მეცნიერები.

შეუძლებელია, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი – გოჩა კუჭუხიძე ინფორმირებული არ იყოს ჩემს გამოკვლევებზე, რომლებსაც რეგულარულად ვაწვდიდი და იცნობდნენ თ. გამყრელიძედან მოყოლებული, ენათმეცნიერების ინსტიტუტის თანამშრომლები, თბილისისა და სოხუმის უნივერსიტეტის ენათმეცნიერები, მაგრამ ჩემი გამოკვლევები და ჩემს მიერ დასმული კითხვები ანგრევს მათს ცრუ დებულებებს და ჩემთან დისკუსიას და სიმართლის დადგენას, თვალის დახუჭვას და დუმილს არჩევენ, ხოლო ბატონი გოჩა არ ჩანს იმ დონის მეცნიერი, რომ დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდეს და ლეონტი მროველის (თუ არამიანცის) მოჭორილ სიცრუესაც კი გადააჭარბა, უფრო შორს გაუტია და **ქართული,** სახელდობრ, ასეთი სახელწოდებით, მწერლობის დასაბამი ფარნავაზამდე რამდენიმე საუკუნით წინ გადასწია. მოკლედ, მან აღნიშნულ მოხსენებაში ის სურვილი გამოხატა, როგორც სურს იყოს, თორემ, ღამაზად კია დაწერილი, მაგრამ ჭეშმარიტი საფუძველი არ გააჩნია და გამორიცხულია უსაფუძვლო მარჩიელობამ სიკეთე მოუტანოს ქვეყანას.

მრავალჯერ მითქვამს და ერთხელ კიდევ გავიმეორებ: მე ჩვენს საერთო სალიტერატურო ენას კი არ ვებრძვი, რომელიც ჩემთვის მშობლიური და საანრომენო ენაა, მიღებულია სვანურის, ქართლურის და თვით იბერიულის (ე.წ. მეგრულ-ლაზურის) ხელახლა კონსოლიდაციით და, ამდენად, ახალი იბერიული ენაა, მაგრამ ამ ენის სახელდებაა ჩემთვის მიუღებელი, რადგან, ჯერ ერთი, მისი არსისთვის ეს სახელდება მიუსადაგებელია (იხ. ღია წერილი ცნობილ ენათმეცნიერს – ბ-ნ ტ. ფუტკარაძეს, გაზეთი **“ილორი“**, 2012 წ. №175-176-177) და, მეორეც, ასეთი სახელწოდებით სახელმწიფო და ენა, გვიან შუა საუკუნეებამდე, გარე სამყაროს თვალსაწიერში არ ფიგურირებდა (იხ. ივ. ჯავახიშვილის, ენციკლოპედიური ლექსიკონი, აფხაზეთის განმარტება, 2000), ამიტომ აღნიშნული ჭეშმარიტებებითა და კაცობრიობის პირველი ცივილიზაციის შემქმნელი იბერიული ენის ჩვენს მიერვე იგნორირებით სარგებლობს გარე აგრესიული ძალა და ამ საღვთო მიწაწყლიდან გაძევებით გვემუქრება.

ნუთუ ამ ცოდვის შვილებს მართლაც სჯერათ, რომ საკუთარ სურვილებზე დაყრდნობით ხელოვნურად შეთხზული ყალბი მასალებით მეტ სიკეთეს მოუტანენ ქვეყანას, ვიდრე ეს სიმართლის აღიარებითა და ღვთიურ გზაზე შედგომითაა შესაძლებელი?

ნუთუ ეს ცოდვის შვილები ვერ ხვდებიან, რომ სიცრუეზე აღზრდილი შთამომავლობა ვერ უპატრონებს ქვეყანას და სხვისი მონა გახდება?

ნუთუ ეს ცოდვის შვილები ვერ ხვდებიან, რომ **„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“** – თვის დაყრდნობით შექმნილი ისტორია სომხებისთვისაა ხელსაყრელი, ქართველი ერისთვის კი დამღუპველი?

ნუთუ ამ ცოდვის შვილებს არასდროს უფიქრიათ რომ, თუ დავეყრდნობით ლეონტი მროველის **„ცხოვრება ქართველთა მეფეთას“** და, იბერიისა და იბერიული ენის იგნორირების ხარჯზე, ქართულ ენას ფარნავაზის დროიდან სახელმწიფო ენად ჩავთვლით, რა უფლებით უნდა უარვყოთ იგივე ლეონტი მროველის ცნობა, რომ ძვ.წ. აღ-ის მე-6 საუკუნემდე **„ქართლოსიანთა ენა სომხური იყო, ხოლო კავკასიის ნახევარი, უმჯობესი მიწები თარგამოსმა თავის უფროსს შვილს – ჰაოსს, სომეხთა ეთნარქს უბოძა“**, რის საფუძველზეც არის ოცნებაში წარმოდგენილი და შედგენილი საყოველთაოდ ცნობილი **„დიდი არმენიის“** რუქა და უკვე აშკარად აცხადებენ პრეტენზიას ე.წ. ქართულ მიწებზე, ხოლო ამ საკითხის მშვიდობიანად მოუგვარებლობის შემთხვევაში, ომითაც გვემუქრებიან? ნუთუ ქართველები – ძუკუები და ტეტიები ვართ ყველა, გლეხიან-მეცნიერებიანად?

ნუთუ ამ ცოდვის შვილებს არასოდეს მოსვლიათ, გონებაში მაინც, აქ დასმული კითხვები, ან ფიქრობენ, სხვას არავის მოუვა, ან კიდევ, ვერავინ გაბედავს ამ კითხვების დასმას?

ნუთუ ამ ცოდვის შვილებმა, მართლაც, არ იციან რომ ჭეშმარიტი ეროვნული იდეოლოგიის არ მქონე ერს ხანგრძლივი სიცოცხლე არ უწერია, ან იციან, მაგრამ სომხური ხელისუფლების ხელის მეცნიერებად ქცეულნი, ტეტიებად და ძუკუებად დაბადებულ ქართველთა მარტივი იდეოლოგიით კმაყოფილდებიან და **„ჩემს შემდეგ ქვა უთოვიას“** პრინციპით უნდათ დაასრულონ ცხოვრება...?

ნუთუ...? ნუთუ...? ნუთუ....?

კუკური ფიფია,
„ფაზისისა“ და „ია“
მეცნიერებათა აკადემიების წევრი



ბერია

XX საუკუნის საუკეთესო მენეჯერი

სეიბეი ხიემლიოვი

თარგმანი **როლანდ ჯალაღანიასი**

მაინც რა უცებ შეიცვალა ეს ყველაფერი? და, აი, სუსლოვის ენით რომ ვთქვათ, ხრუშჩოვი გაეცნო **"საშინელ ფაქტებს"** (ეს კი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ პოსპელოვის კომისიის მონაცემები), 1956 წლის 1 თებერვალს ჩეკისტური რეპრესიული ღონისძიებების მთავარ ორგანიზატორებს იაგოდასა და ეჟოვს იგი მოიხსენიებს **"სუფთა და წესიერ"** ადამიანებად... და უცებ, დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ, პოსპელოვის შემაჯამებელ მოხსენებაში ხვდება არა მხოლოდ ბერიას (რაც გამორიცხულია – ს.კ.), არამედ ეჟოვის თარგზე მოჭრილ სსრკ შინსახკომის მიერ ჩადენილი **"მხეცობები"**. და მოხსენების დიაპაზონიც შედარებით ვრცელია და მოიცავს არა მხოლოდ სკკპ XVII ყრილობაზე არჩეული სკკპ (ბ) ცეკას წევრებისა და კანდიდატების წინააღმდეგ გატარებული მასობრივი რეპრესიების შედეგებს.

საერთოდ, პოსპელოვის მოხსენების ამოსავალი წერტილი საკმაოდ უცნაურად გამოიყურება, თუ გავიხსენებთ, რომ სკკპ ცეკას პრეზიდიუმის შემადგენლობაში, რომლისთვისაც პოსპელოვს უნდა წარედგინა კომისიის დასკვნები, 1956 წელს შედიოდნენ მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, მიქოიანი, ესე იგი 1937 წლის თარგის პოლიტბიუროს წევრები (ხრუშჩოვი პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი გახდა 1938 წლის 14 იანვარს). სწორედ მათ იცოდნენ ყველაზე კარგად იმ დროის რეპრესიების მასშტაბები და მიზეზები, რადგან თავად იყვნენ ამ რეპრესიათა ორგანიზატორები.

დავასწრებ მოვლენებს და ვიტყვი, რომ სწორედ პოსპელოვის კომისიის დასკვნების საფუძველზე მოამზადეს პოსპელოვმა და არისტოვმა კომუნისტური პარტიის ცნობილ მეოცე ყრილობაზე ნიკიტა ხრუშჩოვის გამოსვლის ტექსტის პროექტი.

ძვირფასო მკითხველო! მე არ მაქვს საშუალება, რომ გავაანალიზო ორივე მოხსენება. მოვიყვან მხოლოდ რამდენიმე დეტალს, რაც ადასტურებს, რომ რეპრესიათა თემატიკასთან დაკავშირებული **"დოკუმენტები"**, სამწუხაროდ, ფალსიფიცირებული იყო.

აი, პოსპელოვის კომისიის მოხსენება... ზოგჯერ მასში მოთავსებული სიცრუე ზედაპირზე დევს, ზოგჯერ კი მის გამოსააშკარავებლად დიდი ძალისხმევაა საჭირო. ზოგჯერ, ამ სიცრუეთა კორიანტელში ჭეშმარიტებაც გაკრთება ხოლმე, რომელიც დიდად სასურველი არ გახლავთ **"რეაბილიტირებულთათვის"**. მაგალითად, კომისიის მოხსენებაში დევს 1938 წელს დაპატიმრებული მარშალ ბლიუხერის საქმესთან დაკავშირებული ცნობა, სადაც, ნაწილობრივ, აღნიშნულია:

"დაპატიმრების შემდეგ ბლიუხერს დაუნდობლად სცემდნენ პირადად ბერია და მისი თანამზრახველები.

სსრკ შინსახკომის ერთ-ერთმა ყოფილმა გამომძიებელმა, რომელიც დაიკითხა 1955 წელს (მაგარი ოპერატიულობაა – ს.კ.), აჩვენა, რომ, როცა პირველად დაინახა დაპატიმრებული ბლიუხერი, "მაშინვე მიაქცია ყურადღება მის დალურჯებულ სახეს, რომელიც საშინელი ცემისაგან ჰქონდა დასივებული".

(ბლიუხერის საქმე, ტომი I).

სწორედ მხეცურად ცემის შედეგად გარდაიცვალა ბლიუხერი დაპატიმრებიდან მეთვრამეტე დღეს – 1938 წლის 9 ნოემბერს. მერკულოვმა იმავე ღამეს წაიღო ბლიუხერის გვამი კრემაციისათვის".

ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, შთამბეჭდავია, მაგრამ, აი, ციტატა იგივე პოსპელოვის კომისიის მოხსენებიდან:

"გავრცელებული იყო პრაქტიკა, რომ როცა დაპატიმრებულისაგან აღიარებას ვერ მიიღებდნენ, მას კამერაში აგენტ-პროვოკატორს შეუგზავნიდნენ ხოლმე... ასე მაგალითად, ბლიუხერთან შეგზავნილ აგენტს კონიაკსაც კი აძლევდნენ, რადგან მთვრალი ადამიანი ბევრად უფრო გულახდილია ხოლმე".

მაშ ასე, სახეზეა ორი ერთმანეთის გამომრიცხავი ვერსია. მაშ რომელია აქ სიმართლე? სცემდნენ ლიუბიანკაზე ბლიუხერს თუ კონიაკით უმასპინძლდებოდნენ? შეგახსენებთ, რომ პოსპელოვის კომისიის მოხსენებაში ეს ორივე ვერსია სარწმუნოდაა წარმოდგენილი.

სსრკ წითელი არმიის შორეული აღმოსავლეთის განსაკუთრებული ჯგუფის სარდალი ბლიუხერი თანდათან გაიხრწნა და ალკოჰოლს მიეძალა. ამიტომ, როგორც ჩანს, კამერაში მარშალ ბლიუხერს იმიტომ ამარაგებდნენ კონიაკით, რომ მისგან სიმართლე შეეტყოთ. და ამ ფაქტის თაობაზე თავად პოსპელოველები მოგვითხობენ.

მაგრამ ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ ბლიუხერისაგან სასურველი აღიარება მიღებს მისი **"მხეცურად ცემის"** შედეგად. მაგრამ იმდენი ჭკუა არ ეყოთ, რომ იქვე არ დაეწყოთ მტკიცება: **"რასაც ფხიზელი ადამიანი ფიქრობს, სიმათვრალეში დააყრანტალებს ხოლმე".**

მოდით, ერთად გავიაზროთ ეს ყოველივე, ძვირფასო მკითხველო... რამდენად თავსებადია ერთმანეთთან ეს ორი ვერსია?

საერთო ჯამში, რა თქმა უნდა – კი. **"თაფლაკვერისა და მათრახის"** ტექნოლოგია კაცობრიობის დასაბამიდან იღებს სათავეს. მაგრამ რომელი რომელს ასწრებდა, თუ ამ ტექნოლოგიას მართლაც ჰქონდა ადგილი? შეიძლებოდა, რომ ბლიუხერი ჯერ კონიაკით დაეთროთ, შემდეგ კი გამეტებით ეცემათ?

სავსებით შესაძლებელია!

იქნებ ჯერ სცემდნენ და მერე ასმევდნენ კონიაკს?

ასეთი ვერსია კი ნაკლებად სავარაუდოა! უფრო სწორად – ასე არ მოხდებოდა! **"მათრახი"** მხოლოდ მაშინ ერთვება საქმეში, როცა **"თაფლაკვერი"** სასურველ შედეგს არ მოიტანს.

მაგრამ, იქნებ, გამოძიების დასაწყისში მართლაც სცემდნენ ბლიუხერს, რათა იგი ფსიქოლოგიურად დაეთრგუნათ? საერთო ჯამში ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო. მაგრამ, მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში – არა, რადგან ალკოჰოლი უფრო მეტად საიმედოა ადამიანის ფსიქოლოგიურად დასათრგუნად, ვიდრე მისი სასტიკად ცემა და წამება. დაპატიმრებისას კი ბლიუხერი უკვე ხელიდან წასული ლოთი იყო და ეს ყველამ კარგად იცოდა.

ის, რომ მარშალმა ციხეშიც გააგრძელა კონიაკის სმა, თავისთავად მეტყველებს იმაზე, რომ პატიმარს არავითარი ფსიქოლოგიური რეზერვი არ გააჩნდა, ისევე, როგორც ყველა ლოთს (პრინციპში, ასეთი ადამიანები ხომ ნარკომანებივით არიან). მას არც ის შეიძლებოდა არ სცოდნოდა, რომ კონიაკით უმასპინძლდებოდნენ არა მხოლოდ სტუმართმოყვარეობის პოზიციიდან გამომდინარე. მაგრამ იგი მაინც ხარივით სვამდა. რატომ უნდა გაეწამებინათ იგი, თუ უფრო იოლი მისი დათრობა და ამ გზით გამოტეხვა იქნებოდა? მით უმეტეს, თუ წამების გზით ადამიანი უფრო გაბოროტდებოდა (მაინც სამხედრო იყო, სამოქალაქო ომის გმირი), ეს გამოძიებას სასარგებლოს არაფერს მისცემდა.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ **"კონიაკის"** ვერსია სიმართლეა, **"წამების"** ვერსია კი – სიცრუე. რაც შეეხება ბლიუხერის სიკვდილს, ეს შეიძლებოდა განპირობებულიყო ლოთობისაგან სხეულის დასუსტებით, დაპატიმრებით გამოწვეული სტრესით და ა.შ.

სხვათა შორის, პოსპელოვის კომისიაში ონტონოვ-ოვსეენკო (შვილი) რომ შეეყვანათ, მთელი ეს ვერსია უფრო გამდიდრებული იქნებოდა კრიმინალური წიაღსვლებით – მაგალითად, ბერიამ საკუთარ კაბინეტში პირადად დახვრიტა ბლიუხერი და ა.შ.

სხვათა შორის, ნიკიტა ხრუშჩოვის ცენტრალურ აპარატში, ანტონოვ-ოვსეენკოს გარდა, სხვა ბევრი მუცლითმეზღაპრეც იყო.

1957 წელს სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომიტეტის ერთერთმა პარტიულმა გამომძიებელმა კრილოვმა, რომელიც 1955 წელს ბლიუხერის სარეაბილიტაციო დოკუმენტებს ამზადებდა, მარშლის ქვრივისაგან შემდეგ **"აღიარება"** მიიღო (ვახდენ 1991 წელს გამოცემულ **"ანტიბერიასეულ"** კრებულში შესული მასალის ციტირებას):

"ბლიუხერი იმ ადამიანს ჰგავდა, რომელსაც რამდენიმეჯერ გადაუარა (!!! – ს.კ.) ტრაქტორმა. გამომძიებლები მას სასტიკად აწამებდნენ. ბლიუხერმა ხელის გულზე დაიდო მათ მიერ ამოთხრილი თვალი და მწარედ ამოიკვნესა: "ამას რა მიკეთებთ?.."

პარანოიაა?

უეჭველად!

თანაც ძალიან წააგავს რუსეთის რეალობას მეოცე საუკუნის ბოლო ათწლეულიდან XXI საუკუნის პირველ ათწლეულამდე, ისიც სტალინის საწინააღმდეგოდ წარმართული პროპაგანდის ფონზე!

მე სამი მოსაზრების გამო შევაჩერე მკითხველის ყურადღება ბლიუხერზე: 1) მსურდა, რომ მკითხველისათვის გამეცნო ინფორმაციის გაანალიზების ჩემეული ტექნოლოგია; 2) დამერწმუნებინა მკითხველი, რომ არც თუ უსაფუძვლოდ მივიჩნევ უაზრობად და ცილისმწამებლურად პოსპელოვის კომისიის დასკვნას; 3) კიდევ ერთხელ დამერწმუნებინა მკითხველი, რომ ლავრენტი ბერიას **"დანაშაულობათა"** მხილების პარანოიდალურ ფანტაზიას საზღვრები არ გააჩნია.

და კიდევ ერთი უცნაური დეტალი... პოსპელოვის კომისიის მოხსენება ამოსავალ წერტილად იქცა 1956 წლის შემდეგ სტალინის დადანაშაულებაში. სწორედ აქედან იღებდნენ ციფრებს რეპრესირებულთა თაობაზე – 1937 წელს 353.074 **"დაპატიმრებული"** და 328.618 **"დახვრეტილი"** – 1938 წელს. მაგრამ, აი, საბჭდ მანქანაზე აკრეფილ ტექსტში, რომელიც ეყრდნობა კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებს (არც თუ იშვიათად მასში არაა მითითებული საქმის და გვერდის ნომრები) 1935-1940 წლებში დახვრეტილთა თაობაზე, ვიღაცის იდუმალი ხელით, აკურატულად, ფანქრითაა ჩასწორებული ეს ციფრები (რა თქმა უნდა, მონაცემთა გაზრდით). ამას უკვე ფონდ **"დემოკრატიის"** შემდგენელები იუწყებიან.

მაინც ვინ არის ეს **"მისტერ იქსი"**?

მოხსენებაში აღნიშნულია, რომ სიები იბეჭდებოდა სრული კონსპირაციის პირობებში. მას ოთხი ოფიციალური ავტორი ჰყავს: პოსპელოვი, არისტოვი, შვერნიკი და კომაროვი. ყველანი მაღალი თანამდებობის პირები იყვნენ და მათ ხელწერის გარჩევა დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ...

მაშ ვინ ჩაწერა ხელის ეს ციფრები? მდივანმა-მემანქანემ?

ძნელია წარმოიდგინო, რომ ასეთ დონეზე ხელაღებით, ლამის თავხედურად ყალბდებოდა მონაცემები... არ შეიძლება, ამ საქმეებში თავმოყრილმა კონკრეტიკამ ისედაც არ შეძრას თვით ქვის გულის მქონე ადამიანიც კი. მაგრამ არც ამ ნაწერების ნდობა შეიძლება, რადგან ხრუშჩოველ-პოსპელოველები **"გვარწმუნებენ"**, რომ 1937-1938 წლებში სტალინმა პრაქტიკულად გაანადგურა **"პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები".**

თუ ეს მართლაც ასე იყო, მაშინ რითი უნდა ავხსნათ იმ პერიოდში საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროს ტიტანური აღმასვლა?

მოხსენების ტექსტში ცალკეა გამოყოფილი ქვეთავი **"ათეულ ათასობით პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელთა რეპრესიების"** თაობაზე. ხოლო ქვეთავში **"სსრკ უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის თვითნებობის შესახებ"** მოთხრობილია სტალინისათვის გადაცემული **"დამნაშავეების" 383 სიის შესახებ, რომლებშიც ძირითადად ფიგურირებდნენ პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, სამხედრო და სამეურნეო დარგის ხელმძღვანელი მუშაკები".**

ათეულ ათასობით – ეს ძალიან ბევრია. მაგრამ ეს მაინც არ არის 1.980.635 დაპატიმრებული და 688.503 **"დახვრეტილი"** ადამიანი, ორი წლის განმავლობაში, როგორც ეს ვიღაცის **"იდუმალი"** ხელითაა მიწერილი პოსპელოვის კომისიის მოხსენებაში.

დიახ, მართალი გახლდათ **"პარტაიგენოსე"** გებელსი – ადამიანი მხოლოდ დაუჯერებელ სიცრუეს იჯერებს. მართლაც, პოსპელოვის კომისიის მოხსენებაში შეტანილი სიცრუე ნამდვილ ბავშვურ ანცობად მოგეჩვენებათ იმ მართლაც დაუჯერებელ სიცრუესთან შედარებით, რაც პარტიის მეოცე ყრილობაზე აფრქვიეს ხრუშჩოველებმა, სტალინის სახელთან დაკავშირებით. ჩვენ ამას კიდევ ვნახავთ!

მაშ ასე, ყრილობისათვის მზადება ჩვეულებრივი წესით მიმდინარეობდა. მზადდებოდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის საანგარიშო მოხსენება, მზადდებოდა XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლედისათვის, რომელიც მოიცავდა 1956-1960 წლებს. მზადდებოდა **"დახურული"** მოხსენებაც **"სტალინის პიროვნების კულტისა და მისი შედეგების შესახებ"**...

ხანდახან მას შემოგვასაღებენ ხოლმე როგორც ნიკიტა ხრუშჩოვის პირად ინიციატივას, სინამდვილეში კი მოხსენების პროექტი ხელმოწერილი იყო პოსპელოვისა და არისტოვის მიერ. ხოლო, თუ რომელმა **"იდუმალმა"** ავტორმა შეადგინა ამ მოხსენების ტექსტი, ამაზე დღეს მხოლოდ მკითხაობა თუ შეიძლება.

1956 წლის 9 თებერვალს სკკპ ცეკას პრეზიდიუმმა მიიღო დადგენილება, რომლის თანახმად ყრილობის მომხსენებლად დამტკიცდა ხრუშჩოვი. და მაშინვე ატყდა დავა იგივე თემებზე, რაც სადაო გახლდათ 1 თებერვალს (მე კვლავ დავიმოწმებ საოქმო ჩანაწერებს):

"ხრუშჩოვი, პერვუხინი, მიქოიანი.

სტალინი ვერ შედგა როგორც ბელადი. რა ბელადია, თუ ყველას ანადგურებდა...

(...)

ამხ. მოლოტოვი. – ჩვენ 30 წელი ვიცხოვრეთ სტალინის ხელმძღვანელობით – ინდუსტრიალიზაცია განვახორციელეთ. სტალინის შემდეგ უმძლავრესი პარტია გავხდით.

(...)

ამხ. ბულგანინი. – ხრუშჩოვის წინადადება მართებულად მიმაჩნია. პარტიის წევრები ხედავენ, რომ ჩვენ შევცვალეთ დამოკიდებულება სტალინისადმი... ჩვენ არ ვიცოდით იმის თაობაზე, რაც გაცხადდა...

(...)

ამხ. პერვუხინი. – ყრილობას უნდა მოვახსენოთ. ამ მოხსენებაში საჭირო არაა დადებით მომენტებზე საუბარი. სტალინის კულტმა დიდი ზიანი მიაყენა ქვეყანას... მოახდინა ხელისუფლების უზურპაცია, გაანადგურა ცეკა, პოლიტბიურო...

(...)

ამხ. საბუროვი. – მოლოტოვს, ვოროშილოვს, კაგანოვიჩს არასწორი პოზიცია უკავიათ, პირფერობენ, სიყალბეზე მიდიან... ბოლომდე უნდა ვთქვათ ყველაფერი სტალინის როლზე...

ამხ. ხრუშჩოვი. – (...) ჩვენ ყველანი ვმუშაობდით სტალინთან ერთად, მაგრამ ამან ხელები არ უნდა შეგვიკრას... როცა გამჟღავნდა ფაქტები (ისიც ხრუშჩოვისათვის? – ს.კ.), ყველაფერი უნდა ვთქვათ. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ სტალინის სიკვდილიდან სამი თვის შედეგ ბერია დავაპატიმრეთ. ამით გზა გავინთავისუფლეთ შემდეგი მოქმედებისათვის. ჩვენ ხმამაღლა უნდა ვთქვათ ყველაფერი.

ჩვენ არ გვრცხვენია..."

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲙᲕᲐᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲣᲑᲖᲐᲠ ᲙᲕᲐᲨᲘᲚᲐᲕᲐ,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

როგორც წინასწარმეტყველი დავითი ამბობს: **„ჩემს სამოსელს ინაწილებენ და წილს ყრიან ჩემს კვართზე“** (ბიბლია, ფსალმ. 21(22).19).

დავითის ეს ნაწინასწარმეტყველევი ფრაზა სახარებებში შემდეგნაირადაა გადმოცემული:

„და როცა ჯვარს აცვეს, წილი ყარეს და გაიყვეს მისი სამოსი რათა აღსრულდეს თქმული წინასწარმეტყველის მიერ, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთში, და ჩემს კვართზე იყარეს წილი“ (მათე 27.35).

„ჯვარს აცვეს იგი, და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი: ვის რა შეგვხვდებაო“ (მარკოზი 15.24).

„ხოლო იესო ამბობდა: მამაო, მიუტევე ამათ, რადგანაც არ იციან, რას სჩადიან. და წილისყრით გაიყვეს მისი სამოსი“ (ლუკა 23.34).

„ხოლო მეომრებმა, რომლებმაც ჯვარს აცვეს იესო, აიღეს მისი სამოსი და ოთხ ნაწილად გაყვეს, თვითეულ მეომარს ხვდა თავისი წილი, და აგრეთვე კვართი. ხოლო კვართი ნაკერი კი არ იყო, არამედ თავიდან ბოლომდე ნაქსოვი.

და უთხრეს ერთმანეთს: ნუ დავხევთ ამას, არამედ წილი ვიყაროთ მასზე, ვნახოთ, ვის შეხვდება; რათა აღსრულდეს წერილი, რომელიც ამბობს: გაიყვეს ჩემი სამოსი ერთმანეთს შორის, და ჩემს კვართზე იყარეს წილი. ასე მოიქცნენ მეომრები“ (იოანე 19.23-24).

საინტერესოა, გაირკვეს სიტყვა **„კვართი“**-ს ეტიმოლოგია. ლაზურში **„ო-კო-რთ-უ“** ნიშნავს **„გაყოფა“**-ს, რასაც შეესაბამება მეგრული **„გო-რთ-უ-ალ-ა“** (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 203). რადგანაც ქართველურში ცნობილია **„ო“**-ს გადასვლა **„ვა“**-ში, მაგალითად, მეგრ. **„ბოლა“ – „ბვალა“** მთა, მეგრ. **„თოლი“** – ქართ. **„თვალი“** და ა.შ., ამიტომ ლაზური სიტყვიდან შეიძლება მივიღოთ ო-კვა-რთ-უ. მსგავსი მეგრული სიტყვაა **„კვათ-უ-ა“**, რაც ნიშნავს **„კვეთა“**-ს, **„ჭრა“**-ს; ხოლო მეგრ. **„კვათილი“ – „კვეთილი“, „გაჭრილი“**. ასე, რომ შეიძლება ვიფიქროთ სიტყვა **„კვართი“** წმინდა კოლხური წარმომავლობისაა და რაც მთავარია ის თავის თავში შეიცავს ინფორმაციას მისი გაყოფა-განაწილების შესახებ. ეს ჩანს ბიბლიური ტექსტების ამონარიდებიდანაც, რომლებიც ზემოთ მოვიყვანეთ.

ცნობილია, რომ საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს გოლგოთის მისტერიასთან, თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ ჩვენი უფლისა და მარიამ ღვთისმშობლის კვართები საქართველოშია დავანებული. მოვიყვანოთ ამონარიდი დონ კრისტოფორო დე კასტელის (1976, 176) წიგნიდან: **„ხობის განთქმული ეკლესიის სურათი, რომლის შიგნით, ლამაზად მორთული თაღის ქვეშ, შემონახულია სათაყვანებელი რელიქვიები, ჩვენი უფლისა და ღვთის დედის, ქალწული მარიამის კვართები.**

ეს დიდი რელიქვიები შესაძლებელია ძველია, ამიტომ ღირსეულადაა შენახული ერთ მთაზე. ამ მხარეში ის დიდად პატივცემულია და უფრო სადიდებელი იქნებოდა უფლისათვის, რომ ის წაეღოთ ჭეშმარიტ ქრისტიანთა შორის. ამისთვის დრო კი მქონდა... მაგრამ ვერ შევასრულე იტალიაში ჩემი გამგზავრების გამო, ეს შესაძლებელია იმათთვის, ვინც იქ ახლად მივა“.

კასტელის მოსაზრებით, თუ ეს რელიქვიები ღირსეულადაა შენახული და დიდად პატივცემულია ამ მხარეში, მაშინ რაღა საჭირო იყო მისი წაღება **„ჭეშმარიტ“ ქრისტიანთა შორის, თუ მისიონერი ჭეშმარიტ ქრისტიანებად იმათ მიიჩნევს, რომელთაც თვალები გაურბით წმინდა რელიქვიების მისაკუთრებისაკენ“.**

როგორც ცნობილია, კასტელი მოღვაწეობდა საქართველოში XVII საუკუნეში და საინტერესოა, რატომ არ ექცევა სათანადო ყურადღება მის მიერ მოწოდებულ ამ უნიკალურ ინფორმაციას?

ირაკლი გუნია (2010, 127) თავის წიგნში წერს: **„XVII საუკუნის სომეხი ისტორიკოსი არაქელ დავრიჟეცი გვაწვდის ცნობას, რომ XVII საუკუნის I მეოთხედამდე ქრისტეს კვართის განსასვენებელი საქართველოში იყო. მისი თქმით, ამის შემდეგ სიწმინდე შაჰ-აბასის ნაალაფარში აღმოჩნდა“.** ამავე წიგნში მე-17 გვერდზე ვკითხულობთ. **„1625 წელს შაჰ აბასის დელეგაციამ, რომელსაც ქართველი ურუსან ბეგი მეთაურობდა რუსეთის მეფე მიხეილ თეოდორეს ძეს (1613-1645) მიართვა ძვირფასი თვლებით შემკობილი ოქროს ზარდახშა. XVI-XVII საუკუნეთა განმავლობაში რუსულ გარემოში საჩუქრის არცერთ გადაცემას არ მოჰყოლია ისეთი რეზონანსი, როგორიც შაჰ-აბასის ამ ჟესტს. ეს არ იყო შემთხვევითი, რადგან კიდობანში გადმოცემით ინახებოდა, საქართველოდან გატაცებული, საქრისტიანოს უდიდესი სიმწინდე – ქრისტეს კვართი“.**

მაშინ, საინტერესოა, როგორღა აღნიშნავდა კასტელი, რომელიც მოღვაწეობდა საქართველოში 1628-1654 წლებში, ამ რელიქვიის არსებობას ხობის მონასტერში?

ერთი რამ შეიძლება მხოლოდ აღინიშნოს, რომ გვიან შუასაუკუნეებში დასავლეთ საქართველოში, კვართის არსებობა უფრო უსაფრთხო იქნებოდა, რადგან ამ რეგიონში საუკუნეების განმავლობაში იყო ერთმორწმუნე ბიზანტიის გავლენა, ვიდრე აღმოსავლეთში, სადაც იყო ძლიერი ზეწოლა მუსულმანური ირანისა.

მოვიყვანოთ ნიკო მარრის (Марр 1897, 78-81) სტატიიდან ვრცელი ამონარიდი (მისი ჩვენეული ქართული თარგმანი): **„შემთხვევით არაა ნახსენები ლონგინოზ სახელი ლეგენდაში კვართის შესახებ; თუმცა ის წარმოდგენელია, როგორც ქართველი ებრაელი კარსნელი, მასში ჩვენ სავარაუდოდ ვხედავთ იმ ლონგინს, რომელიც ქრისტიანული გადმოცემით თამაშობდა ცნობილ როლს მაცხოვრის ჯვაცმისას“.**

ბერძნულ ენაზე ჩვენთვის ცნობილია ასისთავ ლონგინის ორი ცხოვრება. პირველი, რომელიც მიეკუთვნება იერუსალიმელ პრესბიტერ ჰეზიხიოსს, რომელმაც აღმოაჩინა წმინდანის წამება წმ. აღდგომის ბიბლიოთეკაში (Migne, Patrologia Graeca, XC, 1546-1560), მრავალსიტყვაობით გადმოგვცემს ასისთავის ბედს, რომელმაც დაამწმა ქრისტეს ჯვარცმისას **„ჭეშმარიტად, ეს ღმერთის ძეა“** ის არ დასთანხმდა ჭეშმარიტების დამალვას, მიუხედავად ებრაელთა მცდელობისა, განიცადა დევნა, დატოვა სამხედრო სამსახური და გაემართა კაბადოკიაში ქრისტიანობის საქადაგებლად; მტრებმა ენა მიიტანეს იმპერატორთან, რომ ის არის მოღალატე და იმპერატორის განჩინებით მას თავი მოკვეთეს და ჩამოიტანეს ის იერუსალიმში, **„ცხოვრება“** მთავრდება ბრმა მოხუცებული ქალის სასწაულით, რომელიც ჩამოვიდა კაბადოკიიდან ბიჭთან ერთად წმინდა ქალაქში და რომელმაც ჩაიტანა წამებულის თავი მის მშობლიურ სოფელ სანდრალში (Sandrales). მეორე **„ცხოვრება“** ბერძნულ ენაზე (ატროლოგია რაეცა, ჩXV, 31-44), წარმოადგენს არსებითად იმასვე, რასაც პირველი, მხოლოდ შედარებით შემოკლებული რედაქციით.

მნიშვნელოვნად განსხვავდება დასახელებულთაგან შინაარსით **„ცხოვრება გინკიანოსისა ანუ ლონგინისა“,** რომელიც სომხურ ენაზეა (ვენეცია 1874, I, 715-721) დაბეჭდილი. ამ **„ცხოვრებით“** ასისთავი გინკიანოსი, ე.ი. ლინკიანი, წარმოშობით სირიელი, ესწრებოდა უფლის ჯვარცმას; მან გაუხვრიტა შუბით ბარძაყი იესოს და როგორც მოწმემ სასწაულებისა, რაც თან სდევდა ჯვარცმას, წამოიძახა: **„ჭეშმარიტად, ღმერთის ძე იყო იგი“** (მათე 27.54). შემდგომში გინკიანმა (ლონგინმა) მოციქულთაგან შეითვისა ევანგელური სწავლება და გაემგზავრა კაბადოკიაში, სადაც მან მოაქცია ბევრი ქრისტიანობაში და სადაც მან მიიღო წამებულის გვირგვინი, დაკითხვისა და წამების შემდეგ.

სირიელთა შორის არსებობდა კიდევ მეორე ვერსია გადმოცემისა ლონგინის შესახებ: **„სტრატიოტს [ჯარისკაცი – ნ.კ.], რომელმაც გაუხვრიტა ბარძაყი იესოს, მიაფურთხა მას სახეში და დაარტყა მას ლოყაში, სახელად ერქვა ლონგინი, ეს სწორედ ისაა, რომელიც იწვა საწოლში ავადმყოფი ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში და შემდგომ უფალმა ჩვენმა ის განკურნა და უთხრა მას** (იოანე 5.14): **„აჰა, განიკურნე, ნუღარა სცოდავ, რათა უარესი არ დაგემართოს“.**

კვართი არ მოიხსენიება ლონგინის ჩამოთვლილ ბიოგრაფიულ მონაცემებში, მაგრამ ეს მონაცემებიც სრულიად საკმარისია, რომ დავაკავშიროთ ასისთავის ბედი კვართის ბედთან, რადგანაც უფლის სამოსელის განაწილება მოხდა მცველთა შორის, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ ჯვარცმულთან და რომელთა შორისაც იყო ხსენებული გადმოცემებით ლონგინიც. და აი, ლონგინი ღებულობს თავისწილ ქრისტეს სამოსელს: ასეთი გადმოცემა ლონგინის შესახებ, რომელიც ჯერ სრულიად არაა გადაქცეული ქართველ ებრაელად, ტრიალებდა სირიელთა შორის. ამ გადმოცემას ჩვენ ვხვდებით მიქაელ სირიელის ისტორიის სომხურ თარგმანში (ხელნ. აზ. მუზეუმისა, №11, ფ. 23ბ. = ხელნ. პარიზის ნაციონ. ბიბლ. ანც. ფონდს ო.90, ფფ. 38ა – 38ბ):

უფლის უკერავ კვართზე წმინდა ეფრემი ამბობს, **რომ „წილი ყარეს ჯარისკაცებმა, რათა არ დაეგლიჯათ ის, და კვართი წილისყრით შეხვდა ერთ ჯარისკაცს, ლონგინის (გინკიანის) ხელქვეითს. აიღო ის ასისთავმა ლონგინმა და მიიტანა გალატეაში, თავის ქალაქ მაქსონში, სადაც პატივს სცემენ მას (კვართს) დღევანდლამდე.**

მეორე ასისთავმა, ლაზმა ტანსაცმლის თავისი წილი მიიტანა თავის ქალაქ ფოთში (პუდში), სამეგრელოს დედაქალაქში (ეგერთა ქვეყანაში); (სამოსელის ეს ნაწილი) ჩადეს შუშის ჭურჭელში და ჩამოკიდებულია ეკლესიაში, ყველასათვის მიუწვდომელი და ყველასათვის ხილული. ეს უკერავი კვართი მოქსოვა აბგარის დამ და ჩვენს უფალს გაუგზავნა ანანია შიკრიკის ხელით“.

„რომელი სამოსი შეხვდა ლაზს – წერს ნ. მარრი – არც ისე გასაგებია: ალბათ იგივე კვართი, რადგანაც უშუალოდ ლაზის შესახებ მონათხრობის შემდეგ ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ „ეს უკერავი კვართი“ და ა.შ. აღნიშნულ მონაკვეთში თითქოს შეერთდა ორი გადმოცემა კვართის შესახებ, ერთი გალატიურზე, მეორე ლაზურზე, მაგრამ ხომ არაა ჩამატებული შემდგომში მონაკვეთი ლაზ ასისთავზე? და ხომ არ ჩაამატა ის სომეხმა მთაგმნელმა სირიელი ისტორიკოსისა?

ასეა თუ ისე, ლეგენდის კვადაკვალ, რომელიც მოკლედაა გამოყენებული მიქაელის ისტორიაში სირიულ ენაზე, სრულიად შესაძლებელია, რომ არსებობდა მეორეც, უფრო ახლო ქართულთან. მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ჩვენ ის არ შეგვიჯერებია უფრო ძველ ქართულ რედაქციასთან, რომლის ქონის შემთხვევაში ადვილად შეიძლებოდა თვალი გვედევნებია თუ თანდათანობით როგორ ავითარებდნენ და ასადაგებდნენ გარედან მიღებულ ლეგენდარულ სიუჟეტს აღმოსავლეთ საქართველოსთან, კერძოდ კი მცხეთასთან, აიგივებდნენ რა ამ ქალაქს მაკსონთან თუ მოკსონთან, სრულიად უგულებელჰყოფდნენ ხსოვნას ფოთზე და „გალატეველი“ ლონგინი და ანონიმური ლაზი წარმოაჩინეს ქართველ ებრაელებად – ლონგინოზად (ლონგინი) და ელიოზად“ – ასკვნის ნ. მარრი.

ჩვენთვის საინტერესოა, რატომ იწვევს ავტორში (ნ. მარრი) ეჭვს მონაკვეთი ლაზი ასისთავის შესახებ. რა მოტივით უნდა ჩაემატებინა სომეხ მთარგმნელს ეს მონაკვეთი თავის თარგმანში? ნიკო მარრი ამავე სტატიაში მწუხარებას გამოთქვამს იმის გამო, რომ სირიული ტექსტი მიქაელ სირიელის **„ისტორია“** აქამომდეც არ გამოქვეყნებულა. მართლაც სირიული ტექსტის არსებობის შემთხვევაში ყველა კითხვას პასუხი გაეცემოდა.

ნ. მარრი ამბობს: **„მაგრამ შესაძლებელია ისიც, რომ ჩვენ ის არ შეგვიჯერებია უფრო ძველ ქართულ რედაქციასთან“... ეს, ის რედაქცია ხომ არ არის, რომელიც ცნობილია, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს სახელით, რომლის შესახებ მიხეილ თამარაშვილი (1995, 146-147) წერს: „ნაშრომი სათაურით „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ახლახან აღმოჩენილი პატარა ქრონიკაა (1889). მასში ფაქტების თხრობა ალექსანდრე დიდიდან იწყება და IX ს-მდე აღწევს, დადასტურებულია, რომ ეს ხელნაწერი დაიწერა და გადაიწერა IX-X სს-ში, ხოლო ნაშრომის I ნაწილი VII ს.-შია შედგენილი (639-663).**

ნაშრომს სწორედ ის ფურცელი აკლია, სადაც წმინდა კვართის და ქართველების მოქცევის დაწვრილებითი ისტორიაა გადმოცემული“.

ამ ფურცელზე სწორედ ისეთი ინფორმაცია ხომ არ იყო მოცემული კვართის შესახებ, რომელზედაც ნ. მარრი ამბობს: **„ჩვენ ის არ შეგვიჯერებია უფრო ძველ ქართულ რედაქციასთან“,** რომლის ქონის შემთხვევაში შეიძლებოდა ისეთი დასკვნის გაკეთება როგორსაც აკეთებს ნ. მარრი [ზემოთ მოყვანილი ხაზგასმული მონაკვეთი – ნ.კ.].

ბატონი მ. თამარაშვილი თავის, ზემოთ დასახელებული ნაშრომის IV თავში განიხილავს უფლის კვართთან დაკავშირებულ ევროპულ დოკუმენტებს (მათ შორის ცნობილ ტრირის კვართთან და ასევე არუანტოის რელიქვიასთან, რომელსაც ზოგიერთი ისტორიკოსი ასევე ჩვენი მაცხოვრის, იესო ქრისტეს უკერავ კვართად მიიჩნევს) და მრავალ ადგილას აღნიშნავს აღრეულ საუკუნეებში მის აღმოსავლეთში არსებობას, მათ შორის გალატიაშიც. მ. თამარაშვილი (1995, 151) აღნიშნავს, რომ: **„არაბები 642 წლიდან დაეუფლნენ საქართველოს და ძირფესვიანად გაძარცვეს. ოთხი საუკუნის მანძილზე მძლავრობდნენ არაბები აქ... აი, სწორედ მაშინ უნდა მოეტაცებინათ წმინდა კვართი ბევრ სხვა რელიქვიასთან ერთად. მათ მმუსრავ ხელთაგან უნდა გადასულიყო წმ. კვართი მოგვიანებით ტრირის ეკლესიაში, თუ ტრირის ეკლესიას ნამდვილად ჰქონდა იგი“.**

საბოლოოდ მ. თამარაშვილი (1995, 153) ასკვნის: **„...იმის სასარგებლოდ, რომ საქართველო დასაბამიდან წმ. კვართის მფლობელი იყო, მეტყველებს ყველა მწერლის** [იგულისხმება ევროპელი მწერლები – ნ.კ.] **საერთო დუმილი I საუკუნიდან X საუკუნემდე...**

ამ დუმილს ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიც უფლის წმინდა კვართია, ჩვენთვის პოზიტიური დოკუმენტის მნიშვნელობა აქვს.

დაბოლოს, რჩება ქართველთა გადმოცემა. თუმცა გადმოცემას ლეგენდის კვალი ატყვია, კავკასიელი ხალხის ღვთისმოსაობისათვის მაინც ძალზე ძვირფასია. ამასთანავე, სიძველითაც გამოირჩევა, რადგან დღემდე მოპოვებული საბუთები VII საუკუნეს აღწევს. გადმოცემამ განსაკუთრებით წარუშლელი კვალი დასტოვა როგორც მღვდელმსახურებაში, ასევე ხალხის ადათ-ჩვეულებში. ამის უარყოფა კი მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, პოზიტიური და ეჭვმიუტანელი დოკუმენტები რომ არსებობდეს“.

ახლა კი ისევ მივუბრუნდეთ ზემოთ უკვე ნახსენებ ირაკლი გუნიას (2010, 126-127) წიგნს, სადაც ვკითხულობთ: **„რუსი ბერი** [იგულისხმება ბერი არსენ სუხანოვი – ნ.კ.] **აგრეთვე მოგვითხრობს მცხეთაში კვართის მოსვენების მცირედ სახშეცვლილ გადმოცემას. ტრადიციული ვერსიისაგან განსხვავებით მასთან მთავარი მოქმედი პირი არა ელიოზი, არამედ მისი თანამგზავრი ლონგინოზია** (წყაროში ლოგინი). **არსენ სუხანოვმა ქართველი ებრაელი ლონგინოზ კარსნელი შეცდომით გააიგივა სახარებისეულ ასისთავ ლონგინთან, რომელსაც, ცხადია, არავითარი კავშირი არა აქვს ქართულ ტრადიციასთან, სავარაუდოდ, პიროვნებათა აღრევის მიზეზი სახელების თანხვედრის გარდა ისიც გახდებოდა, რომ წმინდა წერილში მაცხოვრის სამოსელს ჯარისკაცები ინაწილებენ. გვიანდელ სომხურ წყაროში, XII საუკუნის ისტორიკოსის მიქაელ სირიელის „ქრონიკის“ XVIII საუკუნის თარგმანში ცრუ [?! – ნ.კ.] ინტერპრეტაციის გამოძახილს წავაწყდებით“.**

ამის შემდეგ ი. გუნიას მოჰყავს ნაწყვეტი გალატეველ ასისთავ ლონგინზე და ანონიმ ლაზზე, რომელსაც ჩვენ უკვე ზემოთ გავეცანით და საბოლოოდ ასკვნის: **„მოტანილ მონაკვეთში კვართის დანაწილება სახარების ჩვენებას ეწინააღმდგება და იგი ერთბაშად რამდენიმე საეკლესიო გადმოცემის უხეშ სინთეზს წარმოადგენს“.**

ბატონ ი. გუნიას არ მოჰყავს ამ ნაწყვეტის გაგრძელება ნ. მარრის სტატიიდან: **„...თუ თანდათანობით როგორ ავითარებდნენ და ასადაგებდნენ გარედან მიღებულ ლეგენდარულ სიუჟეტს აღმოსავლეთ საქართველოსთან...“** [იხ. ხაზგასმა – ნ.კ., რომლიდანაც გამოსჭვივის ავტორის ხედვა ქრისტეს კვართის ბედთან დაკავშირებით.

აქვე მოვიტან ამონარიდს მარი ბროსსეს (1895, 36) წიგნიდან: **„ელიოზ მცხეთელი, ელიაზარის გვარის, დედის მხრით დიდებულ მღვდელ-მთავრის ელიასი ჩამომავალი, წავიდა იერუსალიმს თანხლებით ლონგინოზ კარსნელისა ანუ სხვა მოწმობით ვინმე მეგრელისა ქუთაისიდამ“.**

საბოლოოდ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ ციტატებს თუ გავითვალისწინებთ, სავსებით შესაძლებელია, რომ იერუსალიმში გამგზავრების და იქიდან კვართის მოსვენების მთავარი პირი არის არა ელიოზ მცხეთელი და არც ლონგინოზ კარსნელი, არამედ ვიღაც მეგრელი ქუთაისიდან (სხვათა შორის, როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, წყაროებში მოცემული ურთიერთგანსხვავებული მონაცემების მიუხედავად, ელიოზ მცხეთელი, ანონიმი ლაზი ასისთავი და ვინმე მეგრელი ქუთაისიდან ჩვენ ერთი და იგივე პიროვნებად მიგვაჩნია) და ასე, რომ, კვართის განაწილება მოხდა სირიელ ლონგინსა და ლაზ ასისთავს (იგივე ელიოზს, იგივე ქუთაისელ მეგრელს) შორის.

კიდევ მეტი, სრულიად შესაძლებელია კავშირი დამყარდეს ქალაქ მაქსონსა (მოქსონსა) და მცხეთას შორის. ნიკო მარრი ტოპონიმ **„მცხეთა“**-ს შემდეგნაირად შლიდა: მესხ-ეთ-ა მსხ-ეთ-ა მცხ-ეთ-ა. სუფიქსი **„-ეთ-“** ტოპონიმის მაწარმოებელია (ფენრიხი, სარჯველაძე 2000, 186). ვფიქრობ, რომ მესხ-ეთ-ა და მაქსონ-ი სიტყვების ფუძეები მესხ- და მაქს-ლინგვისტურად შესატყვისები არიან. თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ კოლხებს ხშირად სირიელებსაც უწოდებდნენ და ამ ორი ეთნონიმით ხშირათ ერთი და იგივე ხალხი მოიაზრებოდა, სრულიად შესაძლებელია, რომ ლაზ ასისთავსა და მაქსონელ ლონგინოზს უკან ერთი და იგივე პიროვნება იდგეს.

ამ მოსაზრებას ირიბად ადასტურებს ივ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული ვარაუდები ელიოზ მცხეთელისა და ლონგინოზ კარსნელის შესახებ, რომელთაც აქვე მოვიყვანთ (ენციკლოპედიური ლექსიკონი 2002, 292): **„ჯავახიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმ ანაქრონიზმზე, რომელსაც ადგილი აქვს „წმ. ნინოს ცხოვრებაში“ არსებულ ცნობაში ელიოზთან დაკავშირებით. კერძოდ „ცხოვრებაში ნათქვამია, რომ წმინდა ნინოს (IV ს.) თანამედროვე მღვდლის, აბიათარის ასული სიდონია ელიოზის შთამომავალია, კერძოდ ელიოზი სიდონიას მიერ დასახელებულია, როგორც მისი მამის დედის ძმა. ჯავახიშვილს ეჭვი შეაქვს თხზულების ამ ადგილის სისწორეში, რადგან მისი თქმით, შეუძლებელია, რომ სიდონიას (IV ს.) ბებიის ძმა დასწრებოდა იესო ქრისტეს ჯვარცმას. ჯავახიშვილის დასკვნით, ელიოზს შეეძლო მხოლოდ II ს. გასულს ან III ს. დამდეგს ეცხოვრა და თუ ელიოზი სიდონიას ბებიის ძმაა, იგი ჯვარცმას ვერ დაესწრებოდა და ვერც კვართს ჩამოტანდა. ჯავახიშვილს საეჭვოდ მიაჩნია ის ფაქტიც, რომ ელიოზმა სამ დღეში მოახერხა იერუსალიმიდან წერილის მიღებაც და იქ ჩასვლაც. მისი აზრით, ელიოზის სწრაფი მიმოსვლა ზღაპრული გმირის მოგზაურობის მსგავსია. თხზულების ერთი ადგილის მიხედვით ჯავახიშვილი ასკვნის, რომ თხრობა კვართის შესახებ წიგნიდან ამოკრეფილისა და ამონაკითხისაგან არის შედგენილი“.**

რაც შეეხება ლონგინოზ კარსნელს, მის შესახებ შემდეგს ვკითხულობთ ამავე ლექსიკონიდან (2002, 420): **„მცხეთელი ებრაელი, ქართული საისტორიო წყაროების მიხედვით, იგი ელიოზ მცხეთელთან ერთად ესწრებოდა იესო ქრისტეს ჯვარცმას იერუსალიმში, სწორედ მათ ერგოთ წილად ჯვარცმული იესო ქრისტეს კვართი, რომელიც მცხეთაში ჩამოაბრძანეს. ჯავახიშვილი ნაშრომში „ანდრია მოციქულის და წმინდა ნინოს მოღვაწეობა საქართველოში“ აღნიშნავს, რომ ქართულ საისტორიო მწერლობაში სამი სხვადასხვაგვარი თხრობაა კვართის მოტანის შესახებ, ერთი შეტანილია „ქართლის ცხოვრებაში“, მეორე-მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერის „ნინოს ცხოვრებაში“, მესამე კი – შატბერდისეული „წმ. ნინოს ცხოვრებაში“. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ პირველ თხრობაში კვართის მომტანებად ელიოზ მცხეთელი და ლონგინოზ კარსნელი არიან დასახელებულნი, მაგრამ, გამომდინარე იქიდან, რომ ლონგინოზი უცებ ჩნდება ამ თხრობაში და არც მისი ნათესაობისა და არც ჩამომავლობის შესახებ არაფერია ნათქვამი, ხოლო კვართის მოტანის შემდეგ იგი უცებ ქრება და მთელ მოთხრობაში მასზე აღარაფერია ნათქვამი, მეცნიერი აკეთებს დასკვნას, რომ ლონგინოზ კარსნელის პიროვნება საგანგებოდ არის დამატებული ამ თხრობაში შემთხზველის მიერ, თქმულების სიმართლის დამტკიცების მიზნით. ჯავახიშვილის დაკვირვებით, არც მეორე და არც მესამე თხრობაში ავტორები ლონგინოზს არ ასახელებენ ელიოზის თანამოაზრედ ამ და სხვა არგუმენტებზე დაყრდნობით ჯავახიშვილი ასკვნის, რომ თხრობა კვართის შესახებ წიგნებიდან ამოწერილი და ამონაკითხისაგან არის შედგენილი“.**

(გაგრძელება მე-7 გვერდზე)

კოლხეთი — კაცობრიობის ცივილიზაციის სათავე

დასაწყისი "ილორი" №171, 172, 173, 174, 175, 176, 177, 178, 179

გარდა ამისა, უძველეს დროში კოლხმეგრელებს ტყეში **„ჰყავდათ" „ტყაში მაფა" – „ტყის მაფა"** – მეფე (ქალი) და **„ოჩო კოჩი". „ოჩო კოჩი"** ითვლება უძლიერეს, უძლეველ ძალად, რომელიც უწესრიგობას ებრძოდა, არა მარტო ტყეში, არამედ ყველგან და მისი მომრევი არავინ იყო. როცა კოლხები ტყეში დიდ ხმაურს, დიდ ხმას გაიგებდნენ, იტყოდნენ **„ოჩო კოჩი"** ყვირის, წესრიგს ამყარებსო.

ჟურნალისტი ილია ჩაჩიბაია წერს: ტყაშმაფა (მეგრული – ტყის მბრძანებელი) მითოლოგიაში ტყის მეფე ქალია. ტყაში მაფა ოქროს თმიანი (ზოგჯერ შავთმიანი) მშვენიერი ქალია.

პოპულარული აღწერით, ტყაშმაფას გრძელი თეთრი თმები აქვს, რომელიც შიშველ ტანს უფარავს და კოჭებამდე წვდება, ხშირად უჩინარია. როცა ტყაშფამა იცინის რძესავით თეთრი კბილები უჩანს. მითის თანახმად, ტყაშფამა მუდმივად ტყეში ცხოვრობს. (**ილია ჩაჩიბაია,** გაზ. **„ასავალ-დასავალი"**, 2009, 14-20 სექტემბერი, №37, გვ.29.)

მექსიკაში აღმოაჩინეს 3 ათასი წლის წინანდელი 12 კილოგრამი წონის და ნეუთბუკის ზომის ქვის ფილა, რომელზეც ამოტვიფრულია 62 იეროგლიფი, რაც იმის მაჩვენებელია, რომ ოლმეკებს ერთ-ერთი უძველესი ცივილიზაციის დამწერლობა ჰქონიათ. მეცნიერებმა ჯერჯერობით ტექსტი ვერ გაშიფრეს, მაგრამ ფიქრობენ, მალე დაადგენენ, რა უნდოდა სამყაროსათვის ეთქვა უცნობ ოლმეკელ პოეტს – ვარაუდობენ, იეროგლიფი ლექსი უნდა იყოს, შესაძლებელია რელიგიური ან ლირიკული ხასიათის.

ამაზონის ჯუნგლებში ბრაზილიისა და ბოლივიის საზღვართან მიაგნეს ათასწლობით დაფარულ უცნაურ **„ნახატებს".** გამოსახულებანი ე.წ. გეოგლიფები ჩანს კოსმოსიდან გადაღებულ ფოტოებზეც; ფიგურები ესაა ხაზები – კვადრატები, ბევრი კუთხოვანები, კონცენტრირებული წრეები. ისინი თითქმის ჩაჭედილი არიან ნიადაგში: ნაპოვნია 260 გამოსახულება. მეცნიერთა აზრით, პირველი ნახატები უნდა შექმნილიყო 2 ათასი წლის წინათ, ხოლო ბოლო, ჩვენი წელთაღრიცხვის XIII საუკუნეში. ფიქრობენ, რომ ისინი შექმნეს აქ მცხოვრები უცხო ცივილიზაციის წარმომადგენლებმა. (საიდან მოვიდა ამდენი ახალი ცივილიზაცია? ნუთუ მაღალ მთაზე გავლებული ხაზები და კვადრატები ახალი ცივილიზაციაა?).

არის ჰიპოთეზა, რომ მათ რაღაცა სახით იყენებდნენ ასტრონომიული დაკვირვებისათვის ან აზომვისათვის.

ახლადაღმოჩენილი **„ნახატები"** თითქმის 200 კილომეტრზეა ინკების ძველი ცივილიზაციის ობიექტებიდან, მაგრამ მათ შორის რაიმე საერთო არ აღმოჩენილა.

თუ როგორ შეიქმნა ინკების ცივილიზაცია, ცნობილია და ამაზე აქ არ შეეჩერდებით.

ჩვენი სამყაროს არსებობისათვის – ასაკისათვის განსხვავებული მოსაზრებები არსებობს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ დედამიწა 4.550 მილიონი წლის წინათ წარმოიქმნა. ეს იმდენად დიდი დრო, რომ მისი წარმოდგენა ძნელია... დედამიწა ვეებერთელა სამყაროს ერთი პატარა პლანეტაა. სამყარო მილიარდობით ვარსკვლავის, პლანეტისა და გაზის უშველებელი ღრუბლებისაგან შედგება, რომლებსაც ერთმანეთისაგან ცარიელი დიდი სივრცეები ჰყოფს. მეცნიერები აგრეთვე, ვარაუდობენ, რომ სამყარო 15 მილიარდი წლის წინათ გაჩნდა წარმოუდგენლად ძლიერი აფეთქების შედეგად. (მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბ., 2006, გვ. 13,20.)

2009 წლის მაისში მეცნიერებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ სიცოცხლე დედამიწაზე 500 მილიონი წლით უფრო ადრე ჩაისახა, ვიდრე ეს თანამედროვე მეცნიერებას მიაჩნია.

ზოგიერთი მკვლევარი ამბობს: ადამიანის ევოლუცია 17 მილიონი წელი გრძელდებოდა. ამ პერიოდიდან ადამიანმა განვლო გზა შიმპანზედან გამოქვაბულის ადამიანამდე, ჰომოერექტუსიდან ჰომოსაპიენსამდე.

ისიც **„დადგინდა"**, რომ ადამიანმა, პირველად 72 ათასი წლის წინათ ჩაიცვა ტანისამოსი. მეცნიერებმა იცოდნენ, რომ ტანსაცმლის ყველაზე ძველი ნიმუში ეგვიპტეში იყო აღმოჩენილი, რომელიც მეხუთე ათასწლეულით თარიღდებოდა, მაგრამ მისი **„ზუსტი"** თარიღი აქამდე არ იყო დადგენილი. ამ საკითხებზე მეცნიერებაში ურთიერთ საწინააღმდეგო (ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავი) მოსაზრებები არსებობს, რა თქმა უნდა, ზუსტი თარიღების დადგენაც, ალბათ, შეუძლებელია.

ასევე ნიუ იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეობოტანიკოსებმა დედამიწაზე გაჩენილი პირველი ხის სურათი აღადგინეს. **„პირველი ხეები გაჩნდნენ დაახლოებით 140 მილიონი წლის წინათ, დინოზავრების გაჩენამდე და ეს პირველი „რევოლუცია" იყო ჩვენს პლანეტაზე. ხეებმა შექმნეს გარემო სხვა ცნობილი არსებებისათვის. ამ ხეების დამსახურებაა, რომ დედამიწაზე ტემპერატურამ დაიწია და სიცოცხლის თანამედროვე ფორმების გაჩენას დაუდო სათავე.**

უკანასკნელ პერიოდში (2008 წ.) მეცნიერებმა დედამიწაზე მცენარეების წარმოშობის მიზეზი-პირობები დაადგინეს.

ნიუ ჯერსის შტატის რუტგერსის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფმა დაადგინა, რომ სიცოცხლის რთული ფორმები დედამიწაზე: მცენარეები, ცხოველები და ადამიანები 1.9 მილიარდი წლის წინ მომხდარი ერთი მოვლენის შედეგად განვითარდნენ და, რომ მათ განვითარებას ბიძგი მიეცა, – რომლის დროსაც ამების მსგავსმა ორგანიზმმა ფოტოსინთეზის, მზის ენერგიის ხარჯზე, წყლის დაშლისა და ჟანგბადის გამოთავისუფლების მქონე ბაქტერია „გადაყლაპა", რომლებიც უცხო ორგანიზმისა და დედამიწაზე ყველა მცენარის შემადგენელ ნაწილად იქცა. ეს აღმოჩენა შეაფასეს ბრიტანელმა მეცნიერებმა, რომელთა თქმით, ეს შემთხვევა ორიდან ერთ-ერთი „წარმოუდგენელი შემთხვევითობაა", რომელიც პლანეტა დედამიწაზე სიცოცხლის არსებობის 3-5 მილიარდი წლის ისტორიის განმავლობაში მოხდა". (მეცნიერებმა დედამიწაზე მცენარეთა წარმოშობის მიზეზები დაადგინეს, გაზ. **„ახალი თაობა"**, 2008, 11 ნოემბერი, №312, გვ. 10.)

დედამიწისთვის უახლოესი ვარსკვლავია მზე, რომელიც დაშორებულია 150 მილიონი კმ-ით, ხოლო მზიდან უახლოესი ვარსკვლავი დაშორებულია 4 სინათლის წლით.

მზე ჯუჯა ვარსკვლავია, თუმცა იგი 1,1 მილიონჯერ მეტია დედამიწაზე.

ჩვენს პლანეტაზე მთელი ისტორიის მანძილზე დაბადებულია 106 მილიარდი ადამიანი. 1950 წელს ჩვენს პლანეტაზე ცხოვრობდა 2.6 მილიარდი ადამიანი. 1970 წელს 3.7; 1990 წელს 5.3; 2006 წელს მსოფლიოს მოსახლეობამ მიაღწია 6.5 მილიარდს. ვარაუდობენ, რომ 2010 წელს ავალთ 6.8 მილიარდამდე. 2030 წელს – 8.2; 2050 წელს კი – 9.3 მილიარდზე მეტს მიაღწევს. მატების ყველაზე მეტი შანსი აქვს ჩინეთსა და ინდოეთს; სამწუხაროდ, სადღეისოდ საქართველო შეყვანილია მსოფლიოს 50 მომაკვდავ სახელმწიფოთა სიაში. (გაზ. **„საქართველოს რესპუბლიკა"**, 2006, 8 ივნისი, №131.)

მსოფლიოში დაახლოებით 207 სახელმწიფოა: აფრიკაში – 55, ამერიკაში – 51, აზიაში – 40, ევროპაში – 37, ავსტრალიასა და ოკეანეაში – 24.

ნუთუ 3 ათასი წლის წინ მექსიკაში (ჯერ კიდევ გაუშიფრავი) დამწერლობა არსებობდა?! ჩვენი პლანეტის უძველეს შუამდინარეთში შუმერების მოსვლამდე მცხოვრები ხალხები, როგორც წყაროებით დასტურდება, ქართველი (კოლხი) ტომები იყვნენ. ამას ისიც ადასტურებს, რომ, ჩვენს ერამდე 3100 წელს (5 ათასზე მეტი წლის წინ) ამ ტერიტორიაზე არსებობდა ქალაქი კულხა (კოლხა) (შემდგომში ნიმროდი). ქალაქი, უთუოდ, მრავალი წელი შენდებოდა – კოლხა 3100 წელს (ძვ. წ.) უკვე დაფუძნებული იყო.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, სიტყვა **„კულხა"** წერილობით წყაროებში პირველად დადასტურებულია ჩვენს ერამდე 3100 წელზე ადრე სოლური დამწერლობით, და ითვლება ქალაქ ნიმროდის ადრინდელ, ძველ სახელწოდებად; ქალაქი კოლხა (კულხა) დაუარსებია ერთიანი ქართული სამყაროს მეფე ანმარეს (3185-3120), რომელსაც ზეცის კაცი დაარქვეს. ანმარეს შესახებ მასალები ცნობილია მისივე დროის საბუთებში. ათასწლეულების შემდეგაც ქალაქი კოლხა ქვეყნის დედაქალაქი იყო. შემდგომ ქალაქს სახელი გადაარქვეს და **„ნიმროდი"** უწოდეს.

აღნიშნულ ტერიტორიებს და ხალხებს მეცნიერებმა **„პროტოევფრატელები"** უწოდეს. ტოპონიმიკა ადგილისა და მდინარეების და სხვათა სახელწოდებანი (როგორც ითქვა, არაა შუმერული. მაგალითად, ტიგროსის ძველი სახელწოდება **„იდიგნა"**, ევფრატის – **„ბურანუნი"** არ არიან შუმერული სახელწოდებანი) შუმერული არ არის. **„მათი"** ქალაქებიდან უძველესი ქალაქი ერიდუს სახელწოდებაც, როგორც ჩანს და როგორც მეცნიერული კვლევები ადასტურებს, **„პროტოევფრატელები"** – შუმერების მოსვლამდე იქ მეგრულ-ლაზურ ენაზე მოლაპარაკე ქართველები (კოლხები) ცხოვრობდნენ.

ბადა (ნეგუსი) სოფია წერს: **„სანამ ე. წ. შუმერები ე. ი. შავთავიანები მოვიდოდნენ შუამდინარეთის სამხრეთში, მანამ ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ნამდვილი შუმერები, იგივე ლაზ-მეგრელები, რომლებსაც ჰქონდათ თავიანთი კულტურა, ჰყავდათ თავიანთი ღმერთები თავიანთი ტაძრებით. ასეთ დროს შუამდინარეთის სამხრეთი დაიმორჩილა დამპყრობმა ხალხმა, რომლებიც იყვნენ ე. წ. შუმერები ანუ შავთავიანები და რომლებიც, შეცდომით იწოდებიან შუმერებად"** (ბადა (ნეგუსი) სოფია. **ლაზ-მეგრელთა ჩვენს წელთაღრიცხვამდელი ისტორია, თბ., 2006, გვ. 73.).**

როგორც ბადა სოფია აღნიშნავს და, როგორც ცნობილია, მრავალი შუმერული სიტყვა, ასევე ტერმინი – ღმერთების, ტაძრების, ქალაქების, მთების, მდინარეების, ლიტერატურული გმირების, არქიტექტურული ძეგლების სახელები შუმერეთში ეკუთვნით მეგრულ ენაზე მოლაპარაკე ხალხებს, ე. ი. იხსნება მეგრულ ენაზე. მაგალითად, შუმერის უდიდესი ღმერთების – ანის, ენლილის, ენქის, ნანას, მარდუკის, ასევე ტაძრების – ეანნას, ექურის, ენგურის, ეშარას და სხვათა სახელები იხსნება მეგრულ ენაზე".

ქალაქი კულხა (ნიმროდი) მდებარეობს მდინარე ევფრატის (ბურანუნის) ქვემო წელში, რის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ისტორიული კოლხეთია არა მხოლოდ კოლხეთის ანუ შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპირო, არამედ მდინარე ევფრატის ზემო წელიც – ისტორიული ქარდუეთი. როგორც ვხედავთ, ქალაქ კულხას (**„კოლხეთის"**) (**ნათელა ფოფხაძე**, პრეისტორიული კოლხეთი, გაზ. **„დიოსკურია"**, 2004. სექტემბერი, №15.) სახელწოდება შემდგომში, მხარის სახელწოდება გახდა.

დღევანდელი ერაყის ტერიტორიაზე **„კოლხას", „კულხას", „კოლხის"** არსებობის შესახებ გარკვევით მოთხრობილია **„ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიაში" (სახელმძღვანელოში), რომელსაც რუკაც აქვს დართული. იქ ნათქვამია: „თავისი მეფობის მეთერთმეტე წელს თუქულთინინურტა შეიჭრა ბაბილონში, აიღო ქალაქი ბაბილონი, გაძარცვა იგი, დაანგრია მისი სიმაგრეები, მეფე კასტილიაში IV ტყვედ წამოიყვანა, გაძარცვა ღმერთ მარდუკის ტაძარი, ხოლო თვით ღმერთის ქანდაკება „ტყვექმნილი" წამოიღო ასურეთში. კასიტების დიდი რაოდენობა ასურეთში იქნა გადმოყვანილი და კალხუსთან დასახლებული"** (ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორია, რედაქტორი **გ. მელიქიშვილი**, თბ., 1971, გვ. 382.).

ჩრდილოეთ შუამდინარეთში (ჩრდ. მესოპოტამიაში) და მის მიმდებარე ვრცელ ტერიტორიებზე კოლხი ხალხის განათლების, მეცნიერების კერები იყო, რომელი ადგილებიც კაცობრიობის ცივილიზაციის აკვანი გახდა. ასევე, ევფრატის ქვემო წელის ტერიტორიები და ქ. კულხა (კოლხა) კოლხი ხალხის საცხოვრებელი იყო. ჩრდილოეთ შუამდინარეთი იესო ქრისტეს წინაპართა სამშობლოს და ბიბლიურ სამოთხეს წარმოადგენდა, იქ იყო **„ედემის ბაღი"**. უფალმა შექმნა პირველი ადამიანი (ადამი) და დაასახლა **„სამოთხეში"** – წალკოტ-ბაღში.

უფრო გვიანდელ პერიოდზე, პროფ. ვახტანგ გოილაძე წერს, რომ ქართლის პირველმა ქრისტიანმა მეფემ მირიანმა მამის სიკვდილის შემდეგ თითქოს მემკვიდრეობით მიიღო ირანის შაჰისაგან აღმოსავლეთ ამიერკავკასიასთან ერთად მთელი შუამდინარეთი და სირიის ნახევარი (**ვახტანგ გოილაძე,** ასურულ მამათა სამშობლო და საქართველო, თბ., 2002, გვ. 8-9, 21.). ჯუანშერის მიხედვით შუამდინარეთის (ჯაზირეთის) ნახევარი ქართველთა კუთვნილება ან ქართველთა მონათესავე ხალხის საცხოვრებელი ადგილი იყო.

მკვლევარი ედემ იზორია სამართლიანად წერს, რომ შუმერული ცივილიზაციის თავწყარო კოლხეთია.

ისტორიულად ცნობილია, რომ ბაბილონი დააარსეს შუმერებმა III ათასწლეულის შუახანებში, რომელიც ძვ. წ. XIX საუკუნეში აიღო ამორეველების ბელადმა სემუაუმამ, რომელიც იყო ბაბილონის პირველი მეფე და პირველი დინასტიის (ძვ. წ. 1894-1595) დამაარსებელი. მეფობის პირველსავე წელს მან ააგო ქალაქის კედლები (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 2, გვ. 120.). ქ. ბაბილონისა და ბაბილონის (შუმერული) სახელმწიფოს შექმნამდე საუკუნეების წინ, როგორც ითქვა, იქ იყო დაარსებული ქ. კულხა (ქ. ბაბილონზე ქვემოთაც გვექნება საუბარი).

ქართველი მეცნიერებისათვის კარგადაა ცნობილი, რომ ქალაქები ედესა – ანტიოქია, ბაღდადი ქართველთა საცხოვრისი იყო (ერაყის ყოფილი პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის სასახლე ბაღდადში, ქართველთა ნასოფლარზე დგას).

ვახტანგ გოილაძე ლაპარაკობს ჩრდილოეთ შუამდინარეთის მხარეების – ხუმუშქიას (კარდუხთა ქვეყანა) და შუბრიას (მუშქთა ქვეყანა), მათი მოსახლეობის ქართველურ (კოლხურ) წარმომავლობაზე, მიუთითებს ტოპონიმიკაზე: კარდუხეთში მდ. კენტრიტისა (კენტრიში – კინტირის, ე. ი. კიტრის კუთვნილება) სახელთა მსგავსებაზე; მსგავსებაა მუშქთა ქვეყანასა და ქალაქებს შორის – მაზარა და კაპადოკის დედაქალაქი მაზაკა (დავამატებთ: წალენჯიხის რაიონში არის სოფელი (უბანი) მაზანდარა, ასეთი სახელწოდება აქვს მთას ირანში – კ. შ.), იქ, როგორც აღნიშნავს ვ. გოილაძე, არის მთა ბელქანია, სოფელი ულა (მეგრულად **„წასვლა", „სიარული"**); კარდუხები მდ. კენტრიტის სამხრეთით ძველთაგანვე მცხოვრები **„კარდუ"**-ს, **„ქართუ"**-ს ხალხთან ძვ. წ. XII ს-ში ჯერ კიდევ ლაზურენოვანი მუშქების შერევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ, ამას მოწმობს მათ ქვეყანაში არსებული სახელები, ტოპონიმები... რაც შეეხება ალზის და შუბრიას, მათთან ძვ. წ. VII ს. მუშქთა ჩასახლების შემდეგ, მოსახლეობის ლაზურენოვანებაა სავარაუდებელი, რასაც მოწმობს ქალაქისა და მთის სახელი **„ბელქანია"**; ძვ. წ. VII ს-ში სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში შემოსულმა მესხებმა ხომ არაერთი ლაზურ-ჭანური ტოპონიმი შექმნეს.

როგორც ითქვა, ს. გიორგაძის აზრით, სახელი **„კარდუქ", „ქორთუ"** ძველი ქართული ტომებია, რომლის საზღვარი მდ. ტიგროსამდე აღწევდა. კარდუხები, როცა მაკედონელმა დაიპყრო, (333) საქართველოს დასაპყრობად გამოგზავნა თავისი სარდალი და გამოაყოლა კარდუხების მეფე-მამასახლისი, და ამიტომ ჩვენი პირველი მეფეები წარმოშობით კარდუხები იყვნენ – წერს ს. გორგაძე. კარდუხეთი კი კოლხთა ქვეყანა იყო.

პროფ. მიხეილ ქურდიანი ხუმუშქიას ზანურენოვან ხალხად მიიჩნევს და ვარაუდობს, რომ ხუბუშქია (ხუმუშქია) და მუშქთა ქვეყანა სამხრეთისაკენ გასული ქართველური ტომების მიერ იყო შექმნილი.

შუამდინარეთში, ზემოთ ნახსენები სახელების მსგავსება გარკვევით ჩანს ლაზ-მეგრულ (ჭანურ) სახელებთან. ანდა ავიღოთ სიტყვები გილგამეში, მანა და მადონა მეგრული წარმომავლობის უნდა იყოს. ისიც, რომ მდინარეების იდიგნას და ბურანუნის სათავეები ტერიტორიულად შედიოდა მანას სამეფოს შემადგენლობაში. სწორედ ამიტომაა ასეთი სახელწოდებანი: **„იდი", „ბ", „ნა"** ცალკე მარცვლებია და ყველა სიტყვად იდო – წადი, – მიწა, ნა – დედა, ე.ი. მოიარე დედამიწა. მაშასადამე, მდინარე, წარმოჩენილია როგორც დედა მდინარე, მაშინ არის მამა მდინარეც, ე. ი. ერთს ქვია დიდა (დედა) მდინარე, მეორეს – მუმა (მამა) მდინარე (ბ. სოფია).

კლიმენტი შელია,
პროფესორი,
მეცნიერების დამსახურებული
მოღვაწე.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲙᲕᲐᲠᲗᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

(გაგრძელება მე-5 გვერდიდან)

ამ ციტატებში, რომლებიც ირიბად ადასტურებენ ჩვენ მიერ ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებებს, ივანე ჯავახიშვილს სრულიად ვეთანხმებით, გარდა იმისა, რომ იესო ქრისტეს კვართის ჩამოსვენებას საქართველოში (იბერიაში) სრულ ჭეშმარიტებად მივიჩნევთ.

გარდა ამისა ქრისტეს პერიოდისათვის საქართველოს მთელი მოსახლეობა ერთ ენაზე, კოლხურ-იბერიულ ენაზე მეტყველებდა და პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა კვართი აღმოსავლეთ საქართველოში დაივანებდა თუ დასავლეთში, თუმცა სავსებით სავარაუდებელია, რომ ის ზღვით, კერძოდ კი ფოთით (ფაზისით) შემოვიდა მაშინდელ იბერიაში, რადგანაც იმ პერიოდში ზღვით გადაადგილება უფრო ადვილი იყო, ვიდრე ხმელეთით. რაც შეეხება მცხეთაზე და აღმოსავლეთ საქართველოზე აქცენტის გაკეთებას, ეს უნდა მომხდარიყო მოგვიანოთ.

კოლხები (იბერები), რომ ერთ-ერთი პირველი ქრისტიანები იყვნენ, ეს ჩანს მ. ჯანაშვილის (1906, 149) შემდეგ ციტატიდან: **„მეგრელებმა პირველ საუკუნეშივე მიიღეს ქრისტიანობა“.**

მოვიტანოთ ამონარიდი დენიზა სუმბაძის (2011, 4) სტატიიდან, საიდანაც კიდევ უფრო რეალური ხდება ის მოსაზრებები, რომლებიც ზემოთ იყო წარმოდგენილი:

„ქართველი ერის ამ ყველაზე დიდი სიწმინდის (ქრისტეს კვართის) მფლობელობა ქართველი ებრაელების დამსახურებად არის მიჩნეული, რადგან მთელი ოჯახი იერუსალიმიდან ამ კვართის ჩამომტანი ელიოზისა ებრაელებად არის გამოცხადებული.

აქაც დასკვნის ფორმით მოგახსენებთ მხოლოდ. სწორედ მეცნიერული არგუმენტაციითა და კვლევით აღმოჩნდა, რომ მცხეთელი ელიოზის ოჯახი, ისტორიულად დადასტურებული მოგვთა უბნის მკვიდრი მცხეთაში, უნდა წარმოადგენდეს ქართველ მოგვთა იმ ეზოთერული წრის ნაწილს, რომელთაც, მათეს სახარებით, პირველებმა სცეს თაყვანი პირველშობილ უფალს. დაგვჭირდა ორი ათასი წელი ქრისტიანული ისტორიისა, რომ მიმხვდარიყავით მნიშვნელობას „ქართლის ცხოვრებაში“ გადარჩენილი სიტყვებისას, რომ კვართი უფლისა მცხეთელი მოგვების, ანუ მცხეთელი ქალდეველების მიერ იქნა ჩამოტანილი იერუსალიმიდან მცხეთას და არა მცხეთელი ებრაელების მიერ“.

რაც შეეხება თვით ქალდეველებს, როგორც ცნობილია ისინი იყვნენ იბერ-კოლხები. აი, რას წერს ამის შესახებ ისტორიკოსი თედო ჟორდანია (2011, 441): **„...ქართველობას უძველესის დროითგან ახლანდელ სასომხეთში უცხოვრია და როგორც ვანის წარწერათაგან საგულისხმებელია (თუ ჭანურ-მეგრულ ენით წაიკითხვენ ამ წარწერათა), დიდი კულტურული კვალი დაუტოვებიათ იქ ქართველ ხალდებს, მაკრონებს, საღართელებს, ჭანებს და სხვა“.**

ამის დამადასტურებელია ასევე გვარები **„ქალდანი“, „ქარდავა“.** ტოპონიმი **„ხალდე“** (მყინვარი სვანეთში), სოფელი გუდაუთის რაიონში **„კალდახვარა“** (რესპ. კალდახორა), რაც ნიშნავს ქალდების დასახლებას, სამოსახლოს.

აქვე მოვიტანოთ ამონარიდი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის საშობაო ეპისტოლედან (2012, 8): „საყურადღებოა, რომ ქალდი დღესაც ქვია უძველეს ქართულ კუთხეს ტრაპიზონის მთებში, სადაც ოდითგან ცხოვრობდნენ ლაზები.

„ქალდეად“ ლაზურ-ჭანურ სივრცეს მოიაზრებს დიდი მეცნიერი პავლე ინგოროყვა.

...სიტყვა „ქალდიდან“ უნდა იყოს ნაწარმოები ჩვენი ერის ეთნონიმი „ქართიც“, რომელსაც ალბათ უფრო ინფორმაციის უქონლობის გამო მეცნიერთა დიდი ჯგუფი მხოლოდ ჩრდილოეთ-აღმოსავლეთ საქართველოს აღმნიშვნელად მიიჩნევდა.

სინამდვილეში „ქალდი“ საერთოქართული სამყაროს, კოლხეთის ცენტრს, მის გულს ერქვა. გვიანდელ პერიოდში კი, უცხოტომელთა ზეწოლის შედეგად, ამ ცენტრმა ქართული ტომებითვე დასახლებულ ჩრდილო-აღმოსავლეთ რეგიონში, იმავე კულტურის წიაღში გადმოინაცვლა და შეიქმნა ქართლის სამეფო, რომლის სახელწოდებაც, როგორც დიდი ილია ვარაუდობს, სწორედ „ქალდიდან“ მომდინარეობს“.

შემთხვევითი არ არის ისიც, რომ მსოფლიოს ქრისტიანთა შეკრებებს, დაწყებული ნიკეას I მსოფლიო კრებიდან (325 წ.) ყოველთვის ესწრებოდნენ კოლხეთიდან (ბიჭვინთის, ფაზისის, ტრაპიზონის) წარგზავნილი ეპისკოპოსები.

გარდა ქრისტეს კვართისა **„ქრისტიანული ლეგენდის მიხედვით, სწორედ აქაა [საქართველოშია] დამალული აბრაამის კარავი და ქრისტეს აკვანი“** (იხ. ჭანტურია 2010, 34) და სხვა მრავალი სიწმინდეები, რომელთა დამსახურებისამებრ მოპოვებისათვის ჩვენი აზრით ქართველებს (ქალდებს, იგივე იბერებს, იგივე კოლხებს) სხვათა შუამავლობა არ დასჭირდებოდათ, რადგანაც იმ პერიოდისათვის ისინი თვითონვე წარმოადგენდნენ ანგარიშგასაწევ ძალას.

ჩვენი აზრით კვართი უფლისა საქართველოშია მისი აქ ჩამობრძანების დღიდან და არა გვგონია ის აქედან ვინმეს გაეტანოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იბერებს (კოლხებს) ექნებოდათ იმისი ნიჭი და უნარი, რომ კაცობრიობის ეს უდიდესი საგანძური როგორმე გადაერჩინათ (ხომ გადარჩა, მიუხედავად მრავალი თავსდატეხილი უბედურებისა ღვთისმშობლის კვართი) მაცხოვრის მეორედ მოსვლამდე და შემოენახათ თავიანთი შთამომავლობისათვის. ამის თქმის საშუალებას იძლევა ისიც, რომ ღვთისმშობლის კვართზე, რომელიც ინახება ზუგდიდის დადიანების სასახლეში, გამოიხატა მაცხოვრის გამოსახულება, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენს მიერ გამოთქმულ აზრს.

საბოლოოდ, როგორც ეს სტატიის დასაწყისში მოციქულთა მიერ არის დადასტურებული ქრისტეს სამოსელის განაწილების შესახებ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ქრისტეს სამოსელის ერთი ნაწილი (კვართი) იქნა ჩამოტანილი და დავანებული მცხეთაში (იგივე მაქსონში), ხოლო სხვა ნაწილი კი ფოთში (პუდში, ფაზისში), ან კიდევ პირიქით, ქალდეველების, იგივე იბერების, იგივე კოლხების მიერ, რისი თქმის უფლებასაც გვაძლევს ზემოთმოყვანილი წყაროები და არგუმენტები.

ᲜᲣᲒᲖᲐᲠ ᲙᲕᲐᲨᲘᲚᲐᲕᲐ,
ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲮᲣᲪᲔᲡᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐ

“მამული, ენა, სარწმუნოება” – ქართველი ერის სამი საუნჯე. აი, რისი გაფრთხილება დაგვიბარა დიდმა ილიამ. ვუფრთხილდებით კი ჩვენ?

ანტიკური დროიდან დღევანდელი დროის ჩათვლით ომები ძირითადად მიწების გამო ხდებოდა. ზოგიერთი ერი საკუთარი მიწის დაცვას შეეწირა და აღიგავა პირისაგან მიწისა. ისტორიისთვის არცთუ დიდი ხნის წინ ოსმალეთმა გადაყლაპა მთელი სახელმწიფო, მართლადიდებლური სარწმუნოების აკვანი – ბიზანტია, დედაქალაქ კოსტანტინეპოლითურთ. დუმს მართლმადიდებლური სამყარო – მთელი საქრისტიანო.

ქართველმა ერმა მახვილით განდევნა ჩვენს მიწას დახარბებული ურიცხვი მომხვდური, ზოგიერთ მოძალადეს კი **“ბახტრიონი”** მოუწყო.

რა გვჭირს დღეს? **“დემოკრატიისა”** და **“სამართლიანობის”** ეპოქაში როგორ შემოგვაცინცლეს ეს ჩვენი საკრალური მამული? ტაო-კლარჯეთი – ისტორიული ქართული მიწა-წყალი თავისი აბორიგენი მოსახლეობით – ქართველებით დღეს თურქეთია. მოსახლეობა ძალით გათურქებული, გვარგამოცვლილი. ნუთუ არ შეიძლება მათზე ზრუნვა და კვლავ გაქართველება. მათი ოცნებაც ხომ ეს არის?

აფხაზეთზე და სამაჩაბლოზე დღეს არ ვისაუბრებთ, ეს გუშინდელი დღეა და ყველამ ვიცით.

რა მდგომარეობაა საინგილოში – ძველ ჰერეთში? რა პირობებში უხდებათ ცხოვრება აბორიგენ ქართველებს? ჩვენ რა პირობებს ვუქმნით ქვემო ქართლში ჩამოსახლებულ აზერბაიჯანელებს?..

ახლა კი მუმლი დავით გარეჯზეც აპირებს შესევას. ჩვენი ასეთი უმოქმედობით გაგულისებული **“მეგობარი”** მახლობლები კიდევ რას მოიმოქმედებენ?

ხალხნო! ქართველებო! ჩვენს ქვეყანას ჩვენვე უნდა მივხედოთ. ხედავთ, არ გვყავს ეროვნული ხელისუფლება. გმირ მოსეს მოლოდინში ლამის ჩვენც აღვგავონ პირისაგან მიწისა.

დღეს საქართველო დაპყრობილია **“ნაციონალური მოძრაობის”** მიერ ეს ხელისუფლება ჰყიდის და ასხვისებს ქართველების მიერ ხმლითა და მახვილით შენარჩუნებულ მიწა-წყალს.

გაყიდეს-გაასხვისეს ტყეები, სათიბები, მდინარეები, ტბები, წიაღისეული, ზღვის სანაპირო, შენობა-ნაგებობები ჩინელებზე, ინდოელებზე, არაბებზე, ებრაელებზე, თურქებზე, სომხეთის მოქალაქეებზე და ა.შ.

ახლა კი სამხრეთ აფრიკიდან გამოძევებული ჰოლანდიელები ჩამოგვისახლეს და ქართლში და კახეთში დაურიგეს მიწები. ეს მიწა ვისია, იცის ჩვენმა ხელისუფლებამ? ეს ხომ მე-17 საუკუნეში შაჰ-აბასის მიერ გადასახლებული 40.000 ქართველის მიწაა. მათი შთამომავლები დღესაც ფერეიდანში ცხოვრობენ, ჩვენებურად მეტყველებენ, ქართულად მდერიან, სამშობლოსაკენ იყურებიან, ჩვენი იმედი აქვთ... აი, ვის უნდა მივხედოთ, ვინ უნდა დავაბრუნოთ საკუთარ მიწა-წყალზე, ვის უნდა ავუშენოთ ახალი სოფლები და ქალაქები, თუნდაც **“ლაზიკა”**. მაგრამ ამას ეროვნული (და არა – **ერევნული** – რედ.) ხელისუფლება სჭირდება და არა დოლარების შოვნაზე ხელებდაგრძელებული ჩინოვნიკები. ფერეიდანში ქართველების ჩასახლებით შაჰ-აბასს მიზნად ჰქონდა დედაქალაქ ისპაჰანის დაცვა მომთაბარე (ბახთიარები, ლურები, ქურთები და სხვა) თავდასხმებისაგან. მეორე დანიშნულება ქართველებისა იყო მიწაზე მუშაობის, სოფლის მეურნეობის კულტურების მოვლა-პატრონობის შესწავლა.

ჩვენ კი მუშაობა ჰოლანდიელებისაგან უნდა ვისწავლოთ. სასაცილო არ არის?

სამწუხაროდ, ოპოზიციის ნაწილსაც არ სტკივა ეროვნული სატკივარი. აუჩემებიათ პოლისები, პენსიები, დასაქმება. დიდი ილია გვეუბნება, ქართველები არასოდეს არ იყვნენ მდიდრებიო. ქართველმა კაცმა ბოსტნეულით, პურითა და ღვინით გადაირჩინაო თავი, მაგრამ მამულს მუდამ მედგრად იცავდაო.

ამ ბოლო დროს აქტუალური გახდა ჩვენში ჯიქებისა და ჩერქეზების გენოციდზე საუბარი და მათი გამოქომაგებაც კი. კარგია, როცა დაჩაგრულს და შევიწროებულს გამოესარჩლები, მათ გენოციდს დაგმობ. სამწუხარო ის არის, რომ შენს წარსულს ივიწყებ, შენს ერზე ნაკლებად ზრუნავ. დაგვავიწყდა ფერეიდანი, ტაო-კლარჯეთი, საინგილო. აი, ვის უნდა მივხედოთ ჩვენ.

ჩვენი სამშობლო ტრადიციული ქვეყანაა. მას ქართულ-კავკასიურ ტრადიციებზე აღზედილი ქალები და კაცები უნდა მართავდნენ. ქვეყნის პირველი პირი აუცილებლად ქართველი უნდა იყოს და ამას ყველა გაგებით უნდა მოეკიდოს. რამდენი ენაც არ უნდა იცოდეს, ის ოფიციალურ შეხვედრებზე, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც მხოლოდ მშობლიურ ენაზე უნდა საუბრობდეს, ისე, როგორც სხვა ქვეყნების პირველი პირები საუბრობენ. ეს არის საკუთარი ერის, ქვეყნისა და ენის პატივისცემა.

საკუთარ ქვეყანას და მის ხალხს უცხო მხარეში არ უნდა კიცხავდე და ლანძღავდე ნარკომანობის, ქურდობისა და კორუფცია-მექრთამეობის ბრალდებით.

ქვეყნის პირველი პირი უნდა ქართველობდეს თურქებთანაც, აზერბაიჯანელებთანაც, ებრაელებთანაც, სომხებთანაც და ა.შ. ეს უნდა ეამაყებოდეს კიდეც. ვერ ვხვდებით, რატომაა ქსენოფობია, თუ ქურთს ქურთი უწოდე, ინგლისელს ინგლისელი, სომეხს კი სომეხი? მახსოვს, მოსკოვში, როდესაც ქართულ სახელს ძნელად იმახსოვრებდნენ და მეორე ან მესამე ახლადგაცნობილები მოგვესალმებოდნენ **“ზდრავსტვუი გრუზინ”**. ჩემს სიამაყეს საზღვარი არ ჰქონდა და ირგვლივ მყოფთ მედიდურად გადავხედავდი ხოლმე. თბილისში კი, როცა უბანში ან მეგობრებში მოგვესალმებოდნენ **“სვანო, მეგრელო ან იმერელო, გაგიმარჯოსო”**, იგივე გრძნობა გვეუფლება ხოლმე.

თანამემამულენო! დღევანდელი ხელისუფლება მამულის პრობლემებს ვერ მოგვიგვარებს. საბედნიეროდ, დარწმუნებული ვართ, მათი ხელისუფლებაში ყოფნა დასასრულს მიუახლოვდა.

ჩვენი თხოვნაა, ქართველი ერის ის ტკივილი, რაზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი, ეროვნული ხელისუფლების მოსაგვარებელია, რაც, იმედია, მალე გვეღირსება.

ქართველ გლეხს თბილისის შემოგარენის სოფლებში შვილისთვის სამოსახლო ვერ გაუყვია, რადგან ირგვლივ ყვლაფერი უცხოელებს აქვთ ნაყიდი.

გვახსოვს ლოზუნგი: **“პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით”,** მაგრამ **“ყველა უმიწაწყლოებო, საქართველოში მოიყარეთ თავიო”,** რატომღაც არ მახსენდება, რომ ვინმეს ეთქვას. საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა, ბევრი შემოგვაცინცლეს, მეტის დათმობა ერის გადაშენებაა.

ამ ხელისუფლების მიერ გატარებული ყველა ქმედება კანონგარეშედ უნდა გამოცხადდეს. ესენი ხომ ძალით მოვიდნენ ქვეყნის მმართველობაში.

თანამემამულენო! ხმა აღიმაღლეთ! დასძლიეთ შიში! ყველა, როგორც ერთი, დავუდგეთ გვერდში მამულს, ენას, სარწმუნოებას!

ყველამ ერთად უნდა ავიხდინოთ ქართული ოცნება!

ᲠᲔᲖᲝ ᲩᲮᲔᲘᲫᲔ,
საქართველოს უხუცესთა დარბაზის თავმჯდომარე,
ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲜᲘᲨᲐᲠᲐᲫᲔ,
საქართველოს უხუცესთა საბჭოს დარბაზის მდივანი

ᲞᲝᲔᲖᲘᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲔ

ᲖᲐᲣᲠ ᲤᲘᲤᲘᲐ

კოჩი ოკო კოჩი ორდე,
ვაგმოჩანდა ჯიმას,
მითინი ფარსაკი ვამითმენც
ათე, ჩქინი ზიმას!
ბოში, მუსურე უჯინექ,
მუსუ ორწყე თოლეფი,
არძო ართო გაფუჭებე,
მელეთი დო მოლეთი.
ღორონთი, გვალო ვადოჭყუა,
გვალო ვემიოდინუა,
მუთი გიქ დო გიქომინ,
თოლსერ ვამომძირუა!

***

ქი-ან-ა, ღმერთების სამება,
მიწის და ცეცხლის და წყალისა,
ფუძე ყოლისა ირგვლივ და
ფუძე იმედის, ხვალისა.

***

სათხოვარი მაქვს ყველასთან,
ძმაკაცთან, ძმასთან, მამასთან,
რწმენას ნუ მიგმობთ, ძვირფასნი,
თორემ გულს რეჩხი დამარტყამს.
გჯეროდეთ, თქვენი გჯეროდეთ!
მე ჩემის მოთქმა მაცალეთ,
შეჩერდით, მუხლებს მოგიყრით,
მე თქვენსას ნუ დამაძალებთ.
თორემ გასკდება გული და
მერე გვიანდა იქნება,
მოსაგონარში ნათქვამი,
ჩემი ქება და დიდება.

ᲘᲜᲬᲘᲠᲐ

გადაივლი ბარხატებს,
საოცარი ფერებით,
ცაა უკიდეგანო,
ნაზად მოსაფერები.
ხევში ბზების ჯარია,
ჯარში ლურჯი მორევი,
დათაფლული ლაჟვარდი,
დაქარგული გორები,
ირგვლივ სისანდობაა,
ჩანჩქერების ჩქამანი,
მხოლოდ სიყვარულია,
ერთი გამოსავალი.
დავდევ ნაცნობ ბილიკებს,
სული კბილით მიჭირავს,
ჩამიხუტებს უთუოდ,
კლდით მომსკდარი ინწირა.
ო, როგორ მენატრება,
ამდაგვარი მამული,
წარიტანეს ყორნებმა
ჩემი სიასამური.
დაოთხილი რაშები,
ჯირითობენ ნალებით,
ქრიან თავდავიწყებით.
შორეთს მივექანებით.

ᲙᲐᲠᲐᲚᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲗᲐᲜ ᲓᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲗ 5 ᲞᲘᲠᲘ ᲓᲐᲐᲙᲐᲕᲔᲡ

სამართალდამცველებმა გორის რაიონის სოფელ კარალეთში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით 5 პირი დააკავეს. ამასთან დაკავშირებით შსს განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ.

“2012 წლის 11 ივლისს, სოფელ კარალეთში მოხდა ინციდენტი კოალიცია “ქართული ოცნების” მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის. სიტყვიერ შეურაცხყოფას მოყვა ფიზიკური შეხლა-შემოხლა. პოლიციის მიერ ფაქტის ამსახველი ვიდეოჩანაწერის შესწავლის შედეგად იდენტიფიცირებულები და დაკავებულები არიან მომხდარ ფაქტში მონაწილე პირები: შენგელია ცოტნე, გოგიაშვილი კახა, ჯანეზაშვილი ვლადიმერი, გოჩაშვილი გიორგი.

ასევე, დაკავებულია ლევან მაისურაძე, რომელმაც სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა სააგენტო “ინფო 9”-ის ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილს.

გორის რაიონულმა სასამართლომ ხუთივე დაკავებულს მიუსაჯა 15 დღით ადმინისტრაციული პატიმრობა”, – აღნიშნულია განცხადებაში.

მაგრამ უსამართლობა ის არის, რომ ამ ხუთი დაკავებულიდან, სამი – პოლიტიკური კოალიცია **“ქართული ოცნების”** წევრია, რაც იმის მიმანიშნებელია, რომ ნაცი მოძალადების ბარბაროსული თავდასხმისაგან თავის დაცვაც კი ჩვენმა დამფრთხალმა ხელისუფლებამ შეიძლება დანაშაულად ჩაგითვალოს, რაც ჩვენი ქვეყნის **“დემოკრატიულობის”** მთავარი დამღაა.

ზვიად გამსახურდია – “გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი”

1934 წლის 4 ივლისს თბილისში დაიბადა ცნობილი მწერალი გურამ რჩეულიშვილი. 1957 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. იმავე წელს დაიბეჭდა მისი პირველი მოთხრობები.

წერდა ნოველებს, მოთხრობებს, პიესებს, მინიატურებს, ლექსებს. მისმა შესანიშნავმა ნაწარმოებებმა თავიდანვე მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. მისი ნაწარმოებები თარგმნილია გერმანულ, უნგრულ, ბულგარულ, ლიტვურ, ჩეხურ, რუსულ ენებზე.

ძალიან საინტერესო იყო როგორც პიროვნება, ადამიანი, ვაჟკაცი, თავდადებული ახალგაზრდა, რომელიც თავსაც ცდის და სხვებისთვისაც არ ზოგავს. ზოგიერთ მის ნაწარმოებში, ერთგვარად, მის ბედზე წინასწარმეტყველებასაც შენიშნავს მკითხველი.

გურამ რჩეულიშვილი გარდაიცვალა 1960 წლის 23 აგვისტოს, 26 წლისა, როდესაც სხვისი სიცოცხლის გადარჩენას ცდილობდა, თავისი სიცოცხლის არაფრად ჩამგდები...

მკითხველს ვთავაზობთ ზვიად გამსახურდიას ბრწყინვალე წერილს, „გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი“, რომელიც ქართული ხასიათის თავისებურებას ეხება, წარმოჩინებულს გურამ რჩეულიშვილის თავგანწირული პიროვნების მიხედვით, ისევე, როგორც დიდი ქართველი მამულიშვილების ბიოგრაფიით. ეს გახლავთ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ანალიზი, რაც ოდესმე ქართული ხასიათის, ქართული ფსიქიკის შესახებ შექმნილა.

ბ. მამალაძე

გურამ რჩეულიშვილის მოსაგონარი

გურამ რჩეულიშვილზე ფიქრისას უფრო და უფრო მკვიდრდება ჩემში ერთი აზრი, რომელიც შეეხება ქართულ ხასიათს, ჩვენი ეროვნული ფსიქიკის ერთ თავისებურებას.

ხშირად დასმულა კითხვა: რა არის ქართველი კაცისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისება, რა არის ეს ძირითადი თავისებურება, რომელიც ისტორიულად მოსდგამს ჩვენს ერს და განსაზღვრავს მის ინდივიდუალურ პროფილს? პასუხს იძლევა დაკვირვება რჩეული ქართველი ადამიანების ბიოგრაფიისა, მათი ბედისა, მათი აღსასრულისა. ზოგან აშკარად, ზოგან კი უაღრესად ფარულად ჩანს, რომ ეს თვისებაა მოყვასისათვის თავგანწირვა, მსხვერპლი, საკუთარი სიცოცხლის არად ჩაგდება მოყვასის საკეთილდღეოდ. ჩვენი ისტორიის დიდი გმირები: ვახტანგ გორგასლანი, დავით და კონსტანტინე არგვეთის ერისთავები, დავით აღმაშენებელი, თამარი, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე დადიანი, იოთამ ზედგინიძე, ცხრა ძმა ხერხეულიძეები, თევდორე მღვდელი, ლუარსაბ მეფე, სვიმონ მეფე, ქეთევან წამებული, სამასი არაგველი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი მრავალნი დიდმოწამენი და წმინდანნი გვიდასტურებენ ამას საოცარი სიცხადით. განსაცვიფრებელია, რომ ამ გალერეას ზედ ერთვიან უცხოელნიც, რომლებშიც საქართველომ აღზარდა ეს გრძნობა. ესენი არიან: წმ. შუშანიკი, წმ. რაჟდენი, ევსტათე მცხეთელი, აბო ტფილელი...*

ქართულ ენაში არის ერთი გასაოცარი სიტყვა, რომელიც ნათელყოფს, თუ რამდენად ორგანულია ეს შტრიხი ქართველი ერისათვის. ეს არის სიტყვა “გენაცვალე”. აგრეთვე გამოთქმა “შენი ჭირიმე”, რომელ ენას გააჩნია მსგავსი სიტყვები? არც ერთს (აქვე დასვძენ, რომ მზადა ვარ აზრი შევიცვალო, თუ რაიმე კორექტივს მომაწოდებენ ლინგვისტები).

მოყვასისათვის თავგანწირვაშია ქართული ისტორიის პათოსი და როდესაც დაუფიქრდები: რამ მოიყვანა ქართველი ერი დღემდის, რამ გადაარჩინა ისტორიის შემზარავ ქარტეხილებს, რწმუნდები, რომ მხოლოდ და მხოლოდ ამ თავისებურებამ. ეს თვისება სისხლში ჰქონდა გამჯდარი ერს. ეს თითქოსდა თანდაყოლილი, შესისხლხორცებული რამ იყო, და არა გარეგანი, ეთიკური აღზრდის მიღწევა. ამიტომაც აისახა იგი ასეთი შეუდარებელი ძალით ქართულ ლიტერატურაში. განა ამას არ გვიმოწმებს **“ვეფხისტყაოსანი”**? სად არსებობს უფრო გრანდიოზული აპოლოგია მოყვასისათვის თავგანწირვისა? განა ამასვე არ გვიმოწმებს დანარჩენი ქართული ლიტერატურა? გავიხსენოთ ჩვენი კლასიკოსების გმირები, რა თვისება აერთიანებთ მათ ყველაზე მეტად?

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ნაციონალური ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი აძლევს ტონს ლიტერატურასაც. ასე, რომ მხოლოდ ამ გზით შეიძლება გავარჩიოთ **“ნამდვილი”** და **“არანამდვილი”** ლიტერატურა. ნამდვილი ლიტერატურა ნაციონალური ხასიათიდან გამომდინარე ღრმავდება და იზრდება ზოგადკაცობრიულისაკენ. ყალბი ლიტერატურა კი ფსევდოზოგადკაცობრიულიდან გზას ვეღარ იკვლევს ვეღარც ნაციონალური ნიადაგისაკენ და ამდენად, უნიადაგო და უსუსური რჩება ყველა სფეროში. ნამდვილი ქართული ლიტერატურა ცურტაველიდან დღემდის ჩვენი ეროვნული ხასიათის ზემოხსენებული ასპექტით დანახვაა, ამიტომაც ეგზომ შინაგანად ორგანული იყო ქრისტიანობა ქართველი ერისთვის. ქართველი ადამიანი დოგმების სისტემატური ჩიჩინის გარეშე ორგანულად, თანდაყოლილად შეიგრძნობდა ევანგელური მოძღვრების სისწორეს და ცხოვრებისეულად ახორციელებდა მას, მისთვის უცხო იყო რაიმე უკიდურესობების გამოვლინება, ფანატიზმი, ან წმინდანობის ნიღაბი, რომლებიც მხოლოდ იქ იჩენს თავს, სადაც რწმენის ნაკლებობაა, ან ქვეცნობიერი დაეჭვება. ნიღაბი იქ ხდება საჭირო, სადაც სახე არ არის. ამიტომაც არა გვაქვს ქართულ ენაში სიტყვა „**Hypocrite**“, **„ხანჟა“.** სიტყვა **“მოწმინდანო”** ხელოვნურადაა შექმნილი. **„ხანჟობა”** როგორც ასეთი უცხო იყო იმ ერისთვის, რომელიც მთლიანად, როგორც ერთი კაცი, ეწამა ქრისტიანული რწმენისათვის, რომელმაც წარმოშვა ათი ათასობით მოწამეები, რომელმაც თავის ისტორიულ ამოცანად დაისახა ქრისტიანული იდეალის განხორციელება ცხოვრებაში, აზროვნებასა და ხელოვნებაში.

ამ ფაქტის ვერგაგებას ემყარება რუსთაველის ქრისტიანობის უარყოფაც. ქრისტიანული ლიტერატურის უცილობელ ატრიბუტად ზოგიერთს მიაჩნია დიდაქტიური ქადაგება დოგმებისა. რუსთაველის პოემაში ქრისტიანობა შინაგანი, ცხოვრებისეული მამოძრავებელი ძალაა. იგი იმდენად ორგანულია ავტორისათვისაც და მისი გმირებისთვისაც, რომ არ საჭიროებს მათის მხრივ დოგმების შესახებ თეორეტიზებას. იგი მათ სისხლშია, მათ ძარღვებში, მათ სუნთქვაში. გალაქტიონმა თქვა: **„წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქართული“**. რუსთაველი კი უთუოდ დასძენდა **„წვეთი სისხლი არ არის ჩემში არაქრისტიანული.”**

სიტყვა **„ხანჟა“**-ს უქონლობა კიდევ ერთი ფაქტორით არის განპირობებული. **“ხანჟობა”** იქ იჩენს თავს, სადაც თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა არ არის. ქრისტიანული იდეალი კი მხოლოდ იქ ხორციელდება მთელი სისრულით, სადაც პიროვნების სრული თავისუფალებაა, სადაც ადამიანი თავისუფალი ნებით ეუბნება **“ჰოს”** სულიერ სამყაროს, სადაც იდიალის სამსახური იძულებით თავზე მოხვეული უღელი როდია, არამედ პიროვნების ორგანული მოთხოვნილება, მისი ერთადერთი გზა (აქ გავიხსენოთ დოსტოევსკის **„დიდი ინკვიზიტორი“**). ევანგელური დევიზი: **„ჭეშმარიტებამან განგათავისუფლნეს თქვენ“** უნდა გადაიქცეს არა მარტო ცხოვრებისეულ კრედოდ, არამედ თავად ცხოვრებად.

რა შობს მოყვასისათვის თავგანწირვას? სიყვარული, ყოვლისმომცველი, უსაზღვრო სიყვარული ადამიანისადმი. რა შობს თავისუფლებას? იგივე სიყვარული, ოღონდ სიყვარული უზენაესი ჭეშმარიტებისადმი. სად არიან ჩვენში მოწმენი უზენაესი ჭეშმარიტების სიყვარულისა? ესენი არიან გელათის აკადემიის აწ დახავსებული კედლები, ეს გახლავთ იყალთოს კიპარისების მისტიური სიჩუმე. სად არიან მოწმენი მოყვასისათვის თავგანწირვისა? ესენი გახლავთ ველები ანისისა, დიდგორისა, ბასიანისა, მანციკერტისა, მარაბდისა, კრწანისისა.

ახლა კი პირველთქმულს მივუბრუნდეთ. გურამ რჩეულიშვილის ტრაგიკულმა აღსასრულმა აღმიძრა ამგვარი ფიქრები ქართველი ადამიანის ხასიათთან დაკავშირებით. იგი დაუფიქრებლად გადაეშვა აბობოქრებულ ზღვაში რუსი ჭაბუკის გადასარჩენად. ის ჭაბუკი შემდეგ ვერტფრენმა ამოიყვანა, გურამი კი დაიხრჩო...

უნებლიედ გვახსენდებიან სხვა ახლახან დაღუპული ქართველი ალპინისტები, განა მათი დაღუპვის მიზეზი მათი მდარე ოსტატობა იყო? არა, ეს გახლდათ სიმამაცე მოყვასისათვის თავგანწირვაში. ასეთები იყვნენ თემურ კუხიანიძე, ჯუმბერ მეძმარიაშვილი, მიხეილ ხერგიანი... მათი სახელის ხსენებისას უთუოდ გაგახსენდებათ დიდი რუსთაველი:

„მე იგი ვარ, ვინ საწუთროს არ ამოვკრებ კიტრად ბერად,

ვის სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და მიჩანს მღერად“.

ეს სიტყვები უთუოდ ეპიტაფიად გამოადგებოდა გურამ რჩეულიშვილს!

გურამ რჩეულიშვილის მთელს არსებაში ხშირად მოვარდნილი სტიქიის მსგავსად ვლინდებოდა ის პრომეთესეული ცეცხლი, რომელსაც განათლებული ევროპელები ერთხმად უწოდებენ კოლხური, ქართული ხასიათის ძირეულ მახასიათებელს. რა არის პრომეთესეული ცეცხლი, თუ არა ცეცხლი სიყვარულისა, თავგანწირვისა? განა რად მიაჯაჭვეს პრომეთე – ამირანი კავკასიის ქედზე? იქნებ მივიღოთ მითიური ტიტანი ერის სულის პერსონიფიკაციად?

ჩვენი დროის ნაკლი ის გახლავთ, რომ მითოლოგიას ორგანულად აღარ განვიცდით.

მითის სამყარო მრავალთათვის ხელოვნური, ცხოვრებისეულ რეალობას მოწყვეტილი სამყაროა, სინამდვილეში კი მითის ცოცხალი განცდის დაკარგვა უკიდურესი გაფილისტერებაა ადამიანისა, ესაა თანამედროვე ინტელექტუალური ცხოვრების კრიზისისა და გაბერწების უმთავრესი მიზეზი. მითოლოგიაში მოცემულია კოსმიური და ადამიანური ყოფის არქეტიპული მოდელები. სწორად გაშიფრული მითი ადამიანური ცხოვრების მრავალ საიდუმლოს ხდის ფარდას.

კიდევ ერთი სისუსტე გვჩვევია ადამიანებს: როდესაც ჩვენს გვერდით უჩვეულო ადამიანი დადის, ჩვენ მუდამ მისი **„ჩვეულებრივი”** შტრიხების ძებნითა ვართ გართული, ხოლო ყოველივე ის, რაც გვეუცხოება მასში, გვსურს **„უცნაურობის,” „ორიგინალობის თამაშს”** ან **“პოზას”** მივაწეროთ. თუმც ერთი რამ გვათავისუფლებს ხოლმე ამგვარი ფილისტერული ახლომხედველობისაგან: ეს არის სიკვდილი ამ ადამიანისა. პირუკუ, სიკვდილი ხშირად მეორე უკიდურესობაშიც კი გვაგდებს ხოლმე.

ზვიად გამსახურდია

P.S. *ამას წინათ „ვეფხისტყაოსნის“ მონღოლი მთარგმნელი დაიღუპა ავტოკატასტროფაში. მან ბავშვი გადაარჩინა და თავად დაიღუპა. რაოდენ სიმბოლურია ეს ამბავი, განა არ ადასტურებს ეს ჩვენი დებულების სისწორეს საოცარი სიცხადით.*

რატომ ითხოვენ “საქართველოს ისტორიის” ოთხტომეულის მეხუთე ტომის გამოცემას?!

საქართველოს ისტორიის ოთხტომეულს, რომელიც **“პალიტრა L”**-მა გამოსცა და საზოგადოებაში დიდი პოპულარობით სარგებლობს, კრიტიკოსები გამოუჩნდნენ.

მათემატიკოსი გია კვაშილავა და მეტალურგი რაულ გვეტაძე ჩვენი დროის უდიდესი ისტორიკოსების ნაშრომში **“ზოგიერთ აქტუალურ საკითხს”** ვერ პოულობენ.

ამიტომ, სარედაქციო კოლეგიაში შემავალ აკადემიკოსებს – დავით მუსხელიშვილს, მარიკა ლორთქიფანიძეს, როინ მეტრეველს, ალეკო დაუშვილს და სხვებს ურჩევენ, **“დანაკლისი”** მეხუთე ტომის დამატებით შეავსონ.

კვაშილავას მტკიცებით, ქართული ენა, ცივილიზაცია და სახელმწიფოებრიობა ოთხი ათას წელს ითვლის და ამას მრავალი მონოგრაფია თუ პუბლიკაცია ადასტურებს.

“სამწუხაროდ, აღნიშნული ფაქტი საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში ასახული არ არის. მცხეთაში, ნეკრესსა და რუსთავში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების შედეგად, აღმოჩენილია იბერიული ცივილიზაციის წარმართული ხანის 15 ძეგლი. აუცილებელი იყო, ეს საკითხები გაშუქებული და ილუსტრირებული ყოფილიყო საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში”, – ამბობს კვაშილავა.

ავტორების აზრით, მათემატიკოსის პრეტენზიები საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის შინაარსთან კავშირში არ არის.

დავით მუსხელიშვილი **“ამბიციური ავტორების შეხედულებას, რომელთაც ჰგონიათ, რომ რაღაც აღმოჩენა გააკეთეს”,** სერიოზულად ვერ აღიქვამს.

მეტალურგი რაულ გვეტაძე კი აკადემიკოსებს **“ქართველთა უწიგნურებად წარმოჩენის მცდელობას”** საყვედურობს.

გვეტაძე ირწმუნება, რომ მისი აღმოჩენით, წინაქრისტიანულ ეპოქაში არა მხოლოდ ქართული დამწერლობა არსებობდა, ქართულ ეროვნულ წელთაღრიცხვასაც იყენებდნენ. **“საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში არც ეს აღმოჩენები აისახა. არსებობს ინფორმაცია, რომ ოთხტომეული ინგლისურ ენაზე უნდა ითარგმნოს. თუ ეს ოთხტომეული ინგლისურად ამ სახით ითარგმნა, გამოვა, რომ ქართველები მეხუთე საუკუნემდე წერა-კითხვის უცოდინრები ვყოფილვართ, რაც სიმართლე არ არის”,**– ირწმუნება გვეტაძე.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, გვეტაძე და კვაშილავა მიიჩნევენ, რომ საქართველოს ისტორიის ოთხტომეული დროულად და **“ახალგაზრდა ავტორთა მოსაზრებების გათვალისწინებით”** უნდა შეივსოს.

ამგვარი მოთხოვნა აკადემიკოს დავით მუსხელიშვილს პრეტენზიის ავტორების არაპროფესიონალიზმში არწმუნებს, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ კრიტიკოსების პროფესიას ისტორიასთან არაფერი აკავშირებს.

“გვეტაძეს და კვაშილავას დამწერლობასთან დაკავშირებით თავიანთი შეხედულებები აქვთ, თუმცა, მოთხოვნა ცალკეული მოსაზრებების საქართველოს ისტორიის ოთხტომეულში ასახვის შესახებ, არაპროფესიონალიზმის მაჩვენებელია. წიგნი, რომელიც ოთხ ტომად გამოიცა, საქართველოს და ქართული საზოგადოების განვითარების ისტორიას წარმოადგენს. საკითხი კი, რომელზეც დღეს იყო საუბარი, ამბიციური ავტორების შეხედულებაა. ჰგონიათ, რომ რაღაც აღმოჩენა გააკეთეს და მიიჩნევენ, რომ ის აუცილებლად უნდა შესულიყო ოთხტომეულში. ის, რაც მათ დაწერეს, პრინციპში, ენათმეცნიერების საქმეა. არც ერთი ენათმეცნიერი მათ მოსაზრებას არ იზიარებს და როგორ უნდა შეგვეტანა ოთხტომეულში, მეცნიერებისგან გაუზიარებული, არაპროფესიონალების – მეტალურგისა და მათემატიკოსის დაწერილი კრიტიკა. დემაგოგიური განცხადებებით გამოდიან – ჩვენ ქართველები ვართო. ვისზე ნაკლები ქართველია ამ ოთხტომეულის რომელიმე ავტორი?!”, – აღნიშნა დავით მუსხელიშვილმა.

საქართველოს ისტორიის ოთხტომეული სპეციალური სასაჩუქრე შეფუთვით გაყიდვაში თებერვლიდან ჩაეშვა. გამოცემა მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ დროისთვის უკვე გაყიდულია სასაჩუქრე შეფუთვის მრავალი ათასი ეგზემპლარი. მეტი კომფორტისთვის კი მომხმარებელს გამომცემლობა **“პალიტრა L”**-მა ოთხტომეულზე სპეციალური აქციაც შესთავაზა. საქართველოს ისტორიის ოთხტომეულის თითო ტომის შეძენა მოქალაქეებს თვეში ერთხელ, გაზეთ **“კვირის პალიტრასთან”** ერთადაც შეუძლიათ.

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲘᲚᲘᲠᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲠᲝᲚᲐᲜᲓ ᲯᲐᲚᲐᲦᲐᲜᲘᲐᲡ ᲦᲘᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲘ „РИА Новости“-ᲨᲘ ᲩᲐᲢᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ „ᲛᲔᲒᲠᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲘᲓᲘᲡ“ ᲗᲐᲝᲑᲐᲖᲔ

ღრმად პატივცემულო მკითხველებო! ოდესმე თუ დაფიქრებულხართ, **„РИА Новости“**-ს თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში, სადაც, ჩვეულებრივ, „მრგვალი მაგიდები“ ტარდება, რატომაა მაგიდა არა მრგვალი, არამედ რუსული **„П“**-სებური? ადრე ამაზე მეც არ მიფიქრია, მხოლოდ ბოლო ხანებში, ამ „მრგვალი მაგიდების“ თემატიკამ და მონაწილეთა უმრავლესობამ დამიბადა აზრი, რომ **„П“**-ს ფორმის მაგიდა შემთხვევითობა არ არის, ის შესაძლოა, ნიშნავდეს **„პროფანს“,„პროვოკატორს“** და სხვა სიტყვებს ასო **„პ“**-ზე, რომელთა მეგრული ანალოგი არის სიტყვა **„მეგიოხვენჯე“**... ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი, როდესაც ერთ-ერთი ბოლო **„მრგვალი მაგიდის“** ვიდეოჩანაწერს ვუყურე თემაზე **„ვის აძლევს ხელს სეპარატიზმი სამეგრელოში?“**.

როგორც მეგრელმა, ყურმოკვრით როდი ვიცი, რომ ეს თემა აბსოლუტურად ხელოვნურია (თუმცა ეს ამ რეგიონის ყველა მცხოვრებმა იცის!), ასეთივე წარმატებით შეიძლება მსჯელობა თემაზე **„ვის აძლევს ხელს მეგრული სეპარატიზმი მარსზე?“**. მაგრამ, მიუხედავად ამისა, არარსებული თემა წამოიწია, თანაც სად?! – **„რია ნოვოსტის“** თბილისის საერთაშორისო პრესცენტრში, და ორ საათზე მეტი ხნის განმავლობაში მას მუსირებდნენ არა ვირტუალური მარსელები, არამედ სავსებით რეალური პროფანები და პროვოკატორები, რომლებისთვისაც, მთელი მათი **„მარსული“** შესახედაობისმიუხედავად, თავად თემის აბსურდულობა არანაკლებ აშკარა იყო, ვიდრე ჩემთვის – დედამიწელისთვის...

მაშ რაშია საქმე?! მართლაც, ვის აძლევს ხელს საქართველოში მეგრული სეპარატიზმის თემის გაჩენა, ქართული და რუსული მედიასაშუალებებისთვის მისი შეგდება მისი განხილვით ისეთ უმსხვილეს რუსულ საინფორმაციო სააგენტოში, როგორიც **„რია ნოვოსტია“**?

თითქოს, იმ **„П“**-სებური მაგიდის შუბლისძარღვგაწყვეტილ მონაწილეებზე საუბარი მეტად დამამცირებელია. **„ვირისგან წიხლი არ უნდა გეწყინოსო“** – გვასწავლის ქართული ანდაზა, მაგრამ იმ სამარცხვინო **„მრგვალი მაგიდის“** მასალების გაცნობის შემდეგ ჩვენი მკითხველების, ქართველი საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლების თბილისსა და სამეგრელოში, უკიდურესმა აღშფოთებამ წამაქეზა, პატივცემული მკითხველისთვის მოკლედ გამეზიარებინა ჩემი მოსაზრებები, რომლებიც მხოლოდ რეალურ ფაქტებსა და საღ აზრს ეფუძნება.

დასაწყისშივე დავაზუსტებ: ნებისმიერ ადამიანს, სპეცსამსახურის მოხალისე თანამშრომელსაც კი (თუმცა, უცნობია, ვისი სპეცსამსახურის, მაგრამ ამაზე – მოგვიანებით), როგორიცაა, მისივე მრავალგზის საჯარო აღიარებით, **„ექსპერტთა კლუბის“** წევრი, ინტერნეტპორტალ **”Грузия on-line”**-ის რედაქტორი გოჩა გვარამია, საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება აქვს, ჟურნალისტებზე რომ არაფერი ვთქვათ. ცოდვა გამხელილი ჯობს და მე, ჟურნალისტმა და რედაქტორმა, ჩინებულად ვიცი, როგორ უყვართ სენსაციებსგამოდევნებულ ჟურნალისტებს მეტი სკანდალურობისათვის სხვადასხვა ფაქტის საკუთარ ყაიდაზე ინტერპრეტირება! თუმცა როცა საქმე ჩემი სამშობლოს სახელმწიფო ინტერესებს და საქართველოში სამოქალაქო მშვიდობას ეხება, ნებისმიერი ჯიშის ვირების იმპროვიზაციები აბსოლუტურად დაუშვებელი და უაღრესად სახიფათოა! თანაც იყო კი ის წარმოუდგენელი სისულელე, რომელსაც **„მრგვალი მაგიდის“** მონაწილეები ჩმახავდნენ, მხოლოდ არაკომპეტენტური პოზიორებისა და გაიძვერების იმპროვიზაცია? მოდი, ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ერთად ვცადოთ. მაშ ასე:

„სეპარატიზმი სამეგრელოში ხელს აძლევს რუსეთს, რომელიც აღვივებს მეგრულ სეპარატიზმს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მაგალითით საქართველოსგან სამეგრელოს შემდგომი მოწყვეტის მიზნით!“ – **„მრგვალი მაგიდის“** მთავარ და ერთადერთ კითხვაზე პასუხი დასაწყისშივე გასცა მისმა ერთ-ერთმა მონაწილემ, რომელიც, სიტუაციიდან გამომდინარე, ხან პოლიტოლოგად წარმოგვიდგება, ხან პუბლიცისტად, ხან ანალიტიკოსად, ხან კონფლიქტოლოგად და ხანაც – „ცოცხალი ჟურნალის“ ბლოგერად – გელა ვასაძემ, **„რია ნოვოსტის“** პროექტ **„Новости – Грузия“**-ს არაოფიციალურმა კურატორმა.

აი ასე, **„მრგვალი მაგიდის“** დასაწყისშივე გამოცხადდა მთავარი თეზისი (**„ნაცმოძრაობის“** – მესიჯი-დირექტივა), რომელიც რევიზიას არ ექვემდებარება, და დანარჩენი მონაწილეები თავთავის ყაიდაზე, მაგრამ იმავე ტონალობაში მის იმპროვიზებას შეუდგნენ (გულმოდგინედ ცდილობდნენ რა საქართველოს ხელისუფლების ყურადღება მისდამი მათ მხურვალე სიყვარულზე, ერთგულებასა და **„პატრიოტიზმზე“** მიეპყროთ...).

განსაკუთრებით გამოიჩინა თავი **„П”**-ს ფორმის მაგიდასთან გამართული სამარცხვინო დადგმის მთავარმა **„გმირმა“** – გოჩა გვარამიამ, რომელმაც მეგრული სეპარატიზმის გაღვივებასა და რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაში სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ლიდერი, პატივცემული ალექსანდრე ჭაჭია დაადანაშაულა – ქართველი პოლიტიკოსი და პოლიტოლოგი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე და მეცნიერი, რომლის მთელი მოღვაწეობა გამსჭვალულია სამეგრელოს გამაერთიანებელი როლის და თავად მეგრული სეპარატიზმის ფენომენის არარსებობის ლაიტმოტივით! (სხვათა შორის, საქართველოში **„რია ნოვოსტის“** საინფორმაციო პროექტმა **“Новости – Грузия”**-მ გვარამიას გამოსვლის ეს ნაწილი ტექსტურ ანგარიშში წინდახედულად **„გამოტოვა“** და მხოლოდ შემოკლებულ, დამონტაჟებულ ვიდეოფორმატში დატოვა)

თავისი ტყუილის „მტკიცებულებად“ გვარამიამ, რომელსაც სამეგრელოსა და მეგრელებთან გვარის მეტი არაფერი აკავშირებს, მართლაც რომ **„მარსული“** არგუმენტები მოიყვანა, აი, თავად დარწმუნდით:

„ზოგი მონაცემით, ალექსანდრე ჭაჭია საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტია. სად არის საქართველოში ასეთი აკადემია?! მე არ ვიცი დაიბადა ოჩამჩირეში ის არის აგრეთვე რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ფილოსოფიის მეცნიერებათაკანდიდატი დაიბადა ოჩამჩირეში“ – მოსაჩვენებელი გაკვირვებით, აზრობრივი პაუზებითა და გამეორებებით კითხულობს გვარამია ღმერთმა უწყის, საიდან აღებულ (ალბათ, თავისი სპეცსამსახურიდან) ა. ჭაჭიას ბექგრაუნდს, და საგანგებოდ უსვამს ხაზს ჩამოთვლილი მეცნიერული რეგალიების შეუთავსებლობას ჭაჭიას წარმოშობასთან –აქაოდა, განა შეიძლება ოჩამჩირეში დაბადებულმა ასეთ სიმაღლეებს მიაღწიოს – გახდეს აკადემიკოსი, დოქტორი, პროფესორი?! და კომიკურად გადახედავს რა დანარჩენ მონაწილეებს, განაგრძობს: **„აგრეთვე ის** (ჭაჭია), **თურმე, გლობალიზაციის პრობლემათა კვლევის ცენტრის ხელმძღვანელია...“**

არა, ამაში აღარაფერი საგანგაშო არ არის. რომ ერთი უვიცი და უწიგნური **„მეხუთე ელემენტი“** თავისი **„პაგონიანი“** უფროსობის დავალებების გარდა, საერთოდ არაფერი იცის და არავის იცნობს – გოჩა გვარამიასაც საქართველოში არავინ იცნობს, ერთი სპეცსამსახურის დეპარტამენტის გარდა... ამიტომაც არ უნდა გაგვიკვირდეს – პირიქით, უნდა გვეცოდებოდეს ეს უბედური პრიმიტივი, როცა რამეზე ამბობს – არ ვიციო... რა თქმა უნდა, არ ეცოდინებოდა არაფერი საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიაზეც, რომლის დაარსებისას პრეზიდენტი იყო აწ გარდაცვლილი გრიგოლ ჟვანია, ვიცე-პრეზიდენტები კი როინ მეტრეველი, ალექსანდრე ჭაჭია და სხვები.

„2009 წელს პოლიტოლოგმა იგორ მურადიანმა თავის სტატიაში მოიტანა მეგრული წარმოშობის ქართველი პოლიტოლოგის ალექსანდრე ჭაჭიას სიტყვები, რომელსაც მიაჩნია, რომ ვიდრე საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული რიგი პოლიტიკური იდეები დამუშავდება და მეგრულ გარემოში დაინერგება, მანამდე უნდა შეიქმნას მეგრელი ერი, რომელმაც საბჭოთა პერიოდში ბევრი ეთნიკური ნიშანი დაკარგა“ – უტიფრად ტყუის გვარამია და **„მრგვალი მაგიდის“** მონაწილის – სამეცნიერო აკადემია **„ფაზისის“** აკადემიკოს ანზორ შონიას – აღშფოთებულ რეპლიკაზე – **„ეს შეუძლებელია!“** – ცინიკურად დასძენს: **“ეს მე არ დამიწერია, ინტერნეტში არის, შეგიძლიათ წაიკითხოთ – 2009 წელი, იგორ მურადიანი, ინტერვიუ ალექსანდრე ჭაჭიასთან!“**. და დამამტკიცებელ საბუთად რაღაც ნაჯღაბნ ქაღალდს იქნევს, რომლის კუთხეში აშკარად მოჩანს გრიფი...

ძვირფასო მკითხველო! თუ გნებავთ, მთელი ინტერნეტი გადააბრუნეთ და თავად დარწმუნდებით, რომ იქ მსგავსი არაფერია! პოლიტოლოგ იგორ მურადიანს არასოდეს აუღია ინტერვიუ ალექსანდრე ჭაჭიასგან! და, საერთოდ, როდის აქვთია, პოლიტოლოგები ინტერვიუს იღებენ და არა – იძლევიან?!

შემდგომ სტარტადებული გვარამია არავის აძლევს აზრის გამოთქმის საშუალებას, საბაბით – მერე ამომივარდებაო (საინტერესოა, საიდან? ნუთუ თავიდან?!), და მორიგი **„მარგალიტით“** გვაჯილდოვებს: **„თუ ვინმეს გაინტერესებთ და წაგიკითხავთ ლიტერატურა სპეცსამსახურების შესახებ, გაგიადვილდებათ ამ ადამიანის შეფასება – თუ რას წარმოადგენს იგი. ამდენი მეცნიერული რეგალია არავის აქვს! ენციკლოპედიაშიც ვერ იპოვით მსგავსს!“** ვინ ჰყავდა მხედველობაში ამ გარმიანელს, რომელიც, უდავოა, მხოლოდ მარსის ინტერნეტს და ენციკლოპედიას კითხულობს?! როგორც ჩანს, თავისი უნიჭო უბადრუკი თანამშრომლები მიწიერი სპეცსამსახურებიდან, რომლებსაც, ცხადია, ამგვარი რეგალიები არ გააჩნიათ და ვერც ექნებათ...

ამის შემდეგ გვარამია კიდევ ერთხელ არეულ-დარეულად და წინასწარ მომზადებული **„შპარგალკიდან“** კითხულობს ა.ჭაჭიას ყველა მეცნიერულ რეგალიას და ბიოგრაფიის ძირითად ეტაპებს და ჩაკის პათეტიკით შესძახებს: **„რა სახელწოდებებია!.. წაკითხული მაქვს და, პრაქტიკულად, ზეპირად ვიცი სუვოროვის წიგნი „აკვარიუმი“. ასეთ სახელებს სპეცსამსახურების სახურავქვეშ მომუშავე ორგანიზაციებს არქმევენ!.. და აქ რატომღაც არ არის ნათქვამი, რომ სადოქტორო დისერტაცია მან (ჭაჭიამ) პატრის ლუმუმბას ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტში დაიცვა! ეს ინსტიტუტი კი ჯერ კიდევ საბჭოთა დროში მეგობრულ საბჭოთა ქვეყნებში შესაგზავნი აგენტურის სამზედლო გახლდათ“.**

და გვარამიას ჰგონია, რომ ამის მერე მას სამეგრელოში ჩაესვლება?! კარგი, დავანებოთ თავი – რა ჰგონია მას და რა არა, გონება და თავი გოჩასგან ცოტა შორს უნდა ვიკითხოთ და გასაკვირი არ არის, რომ შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობებისა და ინტელექტის მქონე ტიპს უკვირს, წარმოშობით ოჩამჩირელმა როგორ მოასწრო ცხოვრებაში ამდენი რამის გაკეთება და ამდენი მეცნიერული რეგალიის მოპოვება. გასაკვირია ზომბის ფსიქიკის თავისებურებები და ელემენტარული ლოგიკის უქონლობა და აქ ისმის ერთი ლოგიკური კითხვა: საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემია, ისევე, როგორც გლობალიზაციის პრობლემათა კვლევის ცენტრი, ქართული, ანუ საქართველოში შექმნილი ორგანიზაციებია, მაშ, რა შუაშია რუსეთის სპეცსამსახურები და პ. ლუმუმბას სახელობის ხალხთა მეგობრობის ინსტიტუტი, სადაც ალექსანდრე ჭაჭიას არავითარი დისერტაცია არ დაუცავს?! ნუთუ გვარამიას უფროსები ისეთი იდიოტები არიან, რომ თავი არ შეიწუხეს, 100% ტყუილში 1% სიმართლე მაინც გაერიათ მეტი დამაჯერებლობისათვის?! ნუთუ ყველაფერ დანარჩენთან ერთად უკვე ტყუილის თქმაც აღარ შეგიძლიათ?!

ჯერ სადა ხართ, **„მხიარულება“** ახლა იწყება: „ზუგდიდში არ გამოვიდა, და აი, სადღაც ფოთის გარეუბანში ჭაჭიამ როგორღაც მოახერხა, შეექმნა რაღაც საკვირაო სკოლების მსგავსი, მეგრული საკვირაო სკოლები მეგრულ ენაზე სწავლებით... ისე, ჩუმად, ამაზე არავინ ყბედობდა... ორი, მეტი არა“, – ავბედითად განაგრძობს **„განქიქებას“** პოპულარული დეტექტივების მოყვარე გვარამია. და ისევ, სამეცნიერო აკადემია **„ფაზისის“** აკადემიკოს ანზორ შონიას აღშფოთებულ რეპლიკაზე – **„არ არსებობს! ამის შესახებ არასოდეს არაფერი გამიგია!“** – დასძენს: **„სამაგიეროდ, მე გამიგია!“**.

ამას მალე მოჰყვა ისტერიკული ბოდვა – რომ მზადდება ნიადაგი არა მარტო სკოლებში სასწავლო პროცესის მეგრულ ენაზე გადაყვანის, არამედ ბიბლიის მეგრულად თარგმნისთვისაც, ამ პროცესში სვანების ჩათრევაზე და მსგავსი აბდაუბდა, რის შემდეგაც თავი ვეღარ შეიკავე – ალექსანდრე ჭაჭიას დავურეკე და ამ უმსგავსობის კომენტარი ვთხოვე.

ჭაჭიამ დიდხანს გულიანად იცინა... მაგრამ კომენტარზე უარი თქვა: **„ამ ყველაფერზე კომენტარს არ გავაკეთებ, როგორ შეიძლება მსგავსი სისულელის კომენტირება?! ეს ხომ სიცრუეა – თავიდან ბოლომდე! ვის აძლევს ის ხელს – თავად განსაჯეთ: მათ, ვისაც უნდა, არჩევნების წინ მოქალაქეთა ყურადღება არარსებულ პრობლემებზე გადაიტანოს, დროებით დაავიწყოს ქართველ ხალხს ის გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიც დღეს აღმოჩნდა ხელისუფლებაში მყოფი ბეცი პოლიტიკოსებისა და მათი ლაქიების წყალობით! როგორც ჩანს, ეს უკანასკნელნი, იმისათვის, რომ მათ შესაძლებლობებზე თანდათან გულაყრილ ხელისუფლებას საკუთარი საჭიროობა დაუმტკიცონ, სხვადასხვა პროვოკაციულ თემას იგონებენ, რათა იმ მატერიალური სიკეთეების გარეშე არ დარჩნენ, ამ წლების განმავლობაში რომ გაუტკბათ...“**.

მაგრამ, რა უცნაურიც უნდა იყოს, ჩემს შეკითხვაზე ყველაზე უკეთ უპასუხა არა ჭაჭიამ, არამედ იმ მრგვალი თუ მართკუთხედი მაგიდის მონაწილემ – გელა ვასაძემ: **„ნუ თვლით ჭაჭიას იდიოტად, ვითომ ის სეპარატიზმს სამეგრელოში შესაძლებლად მიიჩნევს. ის შესანიშნავად ხედავს რეალობას! მიზანია არა მეგრული სეპარატიზმის გააქტიურება, არამედ საინფორმაციო ველზე იმისი ჩვენება, რომ ასეთი სეპარატიზმი არსებობს! ეს დღეს მთავარი მიზანია! გააქტიურება – მათ მშვენივრად იციან, რომ ეს არ გამოუვათ, მაგრამ თუ რუსეთის საინფორმაციო ველზე, რუსულზე, იმავე რუნეტზე ეს აღნიშნული იქნება, შემდგომში ამის გამოყენებას ძალების შეყვანის გასამართლებლად შეძლებენ... დიახ, მთელი ეს სამუშაო სპეცსამსახურებს უკავშირდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში უსაფუძვლოდ არ უნდა ვილაპარაკოთ, რომ ის მეგრული სეპარატიზმის გაღვიძებაზეა მიმართული! არა, ის მიმართულია ინფორმაციული ფონის, მეგრული სეპარატიზმის შესახებ ლეგენდის შექმნაზე!“** – უაპელაციოდ დაასკვნა ვასაძემ.

ბრავო, გელა! როგორც იქნა! თუ შენს ლოგიკას გავყვებით (რომელიც, **„პაგონებიანი გარმიანელის“** – ქოსატყუილა გვარამიასგან განსხვავებით, ნამდვილად გაქვს), გამოდის, რომ **„მრგვალი მაგიდის“** ორგანიზატორები და მონაწილეები რუსეთის სპეცსამსახურებზე მუშაობენ, ვინაიდან მეგრული სეპარატიზმის თემა **„ინფორმაციული ფონი – ლეგენდის შექმნის მიზნით“** მათ **„რუსულ საინფორმაციო ველზე“** რუსეთის უმსხვილესი სახელმწიფო საინფორმაციო სააგენტო **„რია ნოვოსტის“** საშუალებით გამოიტანეს, თანაც – რუსულ ენაზე!

(გაგრძელება მე-10 გვერდზე)

თამაზ ფიფია – 70

ამას წინათ, წალენჯიხელმა მეგობარმა ელდარ ჭითანავამ გაზეთ **“ნოჯიხურის”** ბოლო ნომერი გამომიგზავნა. აი, ამ გაზეთიდან, ჩემდა სამწუხაროდ, პოსტ-ფაქტუმ შევიტყვე, რომ ა.წ. 8 ივლისს, ჩემს უფროს მეგობარს, ეროვნული მოძრაობის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ცნობილ საზოგადო მოღვაწეს, ჭეშმარიტ ჟურნალისტ-მემატიანეს, შესანიშნავ მოქალაქესა და პოეტს ბატონ თამაზ ფიფიას, თურმე, 70 წელი შესრულებია. მსურს პატიება ვთხოვო მას და, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ მაინც გულითადად მივულოცო მეტად მნიშვნელოვანი საიუბილეო თარიღი.

ჩემო ძმაო, თამაზ! 70 წელი სოლიდური ასაკია, მაგრამ არც ისე ბევრია! მამულის გულმუცელს კი, შენც ხედავ, მომაკვდინებლად ძიძგნიან ჯგროდ შესეული ყვავ-ყორნები.

საქართველოს გადასარჩენად სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა კვლავაც გრძელდება, ჩემო თამაზ და მწამს რა, შენებური შემართებისა და უზადო მამულიშვილობის, დარწმუნებული ვარ არც არასოდეს იფიქრებ მახვილის ქარქაშში ჩაგებასა და მხართეძოზე წამოწოლაზე.

მკითხველი საზოგადოება კარგად იცნობს შენს შესანიშნავ შემოქმედებას. შენ ხომ არც აკვნის ენას ივიწყებ და წერ მეგრულადაც. შენი სურვილია ძველმეგრული, ლაკადური სიტყვები არ დაივიწყოს მომავალმა თაობამ და ამით არ გაღარიბდეს ზოგადქართული სიტყვათა მარაგი.

შენი ყოველი ახალი ნაწარმოები ძალზე საინტერესოა მკითხველი საზოგადოებისათვის.

ხანგრძლივ სიცოცხლეს, ბედნიერებას და მრავალ შემოქმედებით წარმატებებს გისურვებ, ძმაო თამაზ!

სიყვარულითა და მეგობრული სურვილებით,

ზურაბ კვარაცხელია.

გაზეთ “ილორის” რედაქციისაგან – ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომერში გამოვაქვეყნებთ ბატონ თამაზ ფიფიას ვრცელ წერილს “ცოდვის კალო სამეგრელოში”, სადაც ავტორი დაწვრილებით აღწერს ოცი წლის წინ წალენჯიხაში დატრიალებულ სისხლიან ტრაგედიას, რომლის შემოქმედიც გახლდნენ პირსისხლიანი ედუარდ შევარდნაძე და მის მიერ დაგეშილი, სამთავრობო ჯარებად წოდებული კაციჭამია არამზადები. ფაქტიურად ეს გახლდათ შევარდნაძისაგან გაცემული პასუხი, მის მიმართა წალენჯიხელთა მიერ გამოხატული უნდობლობისა და სიძულვილისადმი.

“ჰერალდ ტრიბუნი” – მარტოოდენ კაშკაშა მინის შენობებით დემოკრატიას ვერ დაამყარებ

რუსთავში, მტვრიან სამრეწველო ქალაქში, რომელიც დედაქალაქთან ახლოს მდებარეობს, იუსტიციის სახლის ახალ შენობაში შევიარე – მაინტერესებდა მართლა იყო თუ არა საჯარო მომსახურების ეს ე.წ. სუპერმარკეტი, კომფორტისა და ეფექტურობის ისეთი გამაოგნებელი სივრცე, როგორადაც ის იყო ჩაფიქრებული. აღმოჩნდა, რომ მართლაც იყო.

ახალი, თეთრი ქვით ნაგები ეზოს ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, მომდიმარი, პოლიგლოტი, მოყვითალო-მომწვანო უნიფორმაში ჩაცმული ახალგაზრდა ქალი შემომეგება, კონდიცირებულ მოსაცდელ სივრცეზე მიმითითა, სადაც მისი უნიფორმის შესაფერისი, მოყვითალო-მომწვანო ფერის ავეჯი, ბრტყელმონიტორიანი კომპიუტერები, საბავშვო სათამაშოები და უფასო, უკაბელო ინტერნეტი დამხვდა. მან მაცნობა, რომ მოლოდინის დრო საშუალოდ 40 წამია.

დაპირებისამებრ, სულ რამდენიმე წამში, (რაც სულ არ გაგდა რიგითი სატრანსპორტო დეპარტამენტის, დაბინდულ, ჭრიალა ფანჯრებს ამერიკაში), მე, ათიოდე, კარგად განათებული სამუშაო მაგიდიდან, ერთერთთან გამომიძახეს, სადაც საჯარო მოხელემ მკითხა, თუ რით შეუძლია დამეხმაროს. აქ სულ ორი წუთის წინ შემოვაბიჯე, მაგრამ ჩემი ეშმაკობა უკვე გამოაშკარავდა.

რუსთავის იუსტიციის სახლში (ასეთი ცენტრი, ამ პატარა ქვეყანაში, რომლის მოსახლეობაც სულ 4.6 მილიონს შეადგენს, ექვსია) იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ან პასპორტი განმეახლებინა, ან ქონება დამერეგისტრირებინა. მე იმისთვის მოვედი, რომ საკუთარი თვალით დამენახა, როგორ მუშაობენ ეს ახალი, ცნობილი, მრავალფუნქციური ადმინისტრაციული სამსახურები, რომლებიც საიკაშვილის მმართველობისას საქართველოს დრამატული და ასიმეტრიული განვითარების იდეალურ სიმბოლოს ქმნიან.

მას შემდეგ, რაც **“ვარდების რევოლუციით”** საიკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, ქვეყნის მომავლის მისეული ხედვა გრანდიოზული, მართვის სტილი სულსწრაფი იყო. თითქმის ყველა მის მიერ წამოწყებული კამპანია, სწრაფ ქმედებას, ხისტ მეთოდებსა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას ეფუძნებოდა.

სწორედ მისი მმართველობის დროს შემოიღეს ბიომეტრიული პასპორტები, ხოლო პოლიციელები სპეციალური iPad-ებით აღიჭურვნენ, ისეთით, რომელიც მათ ეჭვმიტანილ კრიმინალებზე ინფორმაციის მოძიების საშუალებას ადგილზევე აძლევდა; მისი მმართველობის დროს მოხერხდა ის, რომ გადასახადების სისტემა განახლდა არგადამხდელებისადმი სასტიკი პოლიციური ზომების გამოყენებისა და ახალი საგადასახადო აპარატების შემოღების მეშვეობით.

იუსტიციის სახლები განვითარების ამ ტენდენციის შემადგენელი ნაწილია. ეს არის მყვირალა, თუმცა იმედისმომცემი რეაქცია საბაზისო პრობლემებზე – მათ გამო უვლით კმაყოფილების ჟრუოლვა უცხოელ დამკვირვებლებს. გასულ თვეში, სახლმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი გაუჩერებლად ლაპარაკობდა ასეთ შენობებზე და ერთ-ერთ მათგანს ზღვისპირა ბათუმში, **“შთამბეჭდავი”** და **“აღსანიშნავი”** უწოდა, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ საქართველოს **“საჯარო მომსახურების გაუმჯობესებისთვის”** ჯილდო გადასცა. ყირგიზეთის, ყაზახეთის, უკრაინის ოფიციალური წარმომადგენლები ამ ცენტრში, რუსთავში იმისთვის დადიან, რომ ყურად იღონ.

მაგრამ რატომაა, რომ მთავრობა, რომელმაც სხვადასხვა სახის რეფორმებში, საბჭოთა ქვეყნების უმეტესობისათვის, გაუგონარ წარმატებებს მიაღწია ასე უსუსურად დამარცხდა სასამართლო სისტემის რეფორმირების პროცესში? როგორ ხდება, რომ საქართველოს, რომელმაც მოახერხა ათწლეულობით დაცული საარქივო მასალის ცენტრალური ბაზის შექმნა, მთლიანად შეცვალა საჯარო მომსახურება და იუსტიციის სახლების ისეთი ფლოტი ააშენა, სადაც თანამშრომლების უნიფორმა და ავეჯი ერთ ფერშია გადაწყვეტილი, ამავე დროს ისეთი სასამართლო სისტემა აქვს, რომელსაც ბრალდებულთა 98 პროცენტისათვის გამამტყუნებელი განაჩენი გამოაქვს?

საქართველოს იუსტიციის სახლები მარგალიტია მის გვირგვინში, მაგრამ მარტოოდენ კაშკაშა მინის შენობებით, კრიალა მომწვანო-მოყვითალო მოსაცდელებით და სენსორული კომპიუტერებით დემოკრატიას ვერ დაამყარებ.

ჰეილი სვითლენდ ედვარდსი

დენის დვორნიკოვი: „რუსეთი და საქართველო, რა იქნება შემდეგ?“

რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრ დენის დვორნიკოვის განცხადებით, დღეს რუსეთის სამხრეთელი მეზობელი საქართველო, ფაქტობრივად, ამოვარდა მისი საგარეოპოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობიდან. საქართველოსთან დაკავშირებულ სიტუაციას, მისი თქმით, ემატება მძლავრი შიდაპოლიტიკური ფაქტორი.

დვორნიკოვის თქმით, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მოქმედ ხელისუფლებასთან მოლაპარაკებების გზები პრაქტიკულად მოჭრილია, გასაგებია, რომ დიპლომატებს ამ ათსგვარი ინტერესების ხლართებში გაბმა არ სურთ, მიუხედავად ამისა, **„თავს უფლებას მივცემ, ვამტკიცო, რომ თუ პოლიტიკოსების ახლანდელი თაობა ხელიდან გაუშვებს საქართველოსთან ურთიერთობების დარეგულირების შანსს, ორივე ქვეყნის მოქალაქეთა შემდეგი თაობები ამას არ გვაპატიებენ. უფრო მეტიც, მომმე ხალხებს შორის კავშირის გაწყვეტა იყო სწორედ ის მთავარი მიზანი, რომლის მისაღწევადაც კონფლიქტი ორივე მხარეს სისხლამდე იქნა მიჯვანილი. გამოდის, რომ რთული, მაგრამ აუცილებელი სამუშაოსთვის თავის არიდებით ჩვენ ამ შავბნელი ჩანაფიქრის ბოლომდე განხორციელებას ვუწყობთ ხელს“,** – განაცხადა მან და დასძინა, რომ რუსეთს აქვს გამოცდილება აბსოლუტურად მიუღებელ ხალხებთან და ლიდერებთან მეგობრობის საქმეში, დიპლომატია კი სხვა არაფერია, თუ არა ამბიციების, პირველ რიგში კი, საკუთარი ამბიციების მართვა.

დენის დვორნიკოვი,
რუსეთის ფედერაციის საზოგადოებრივი პალატის წევრი
საინფორმაციო სააგენტო „REGNUM“

გაზეთ „ილორის“ რედაქტორის წერილი „РИА Новости“-ში ჩატარებული „მეგრული მაგიდის“ თაობაზე

(გაგრძელება მე-9 გვერდიდან)

ამიტომ თუ **„ძალების შეყვანა“** (ანუ რუსული არმიის), რომელზეც ვასაძემ ილაპარაკა, მართლა შედგება, ის სწორედ გვარამიას, ვასაძის, პაპასკირის და **„მრგვალი მაგიდის“** სხვა მონაწილეთა მიერ იქნება პროვოცირებული, მათი, ვინც 2012 წლის 5 ივლისს **„РИА Новости“**-ს თბილისის საერთაშორისო ცენტრში **„მეგრული სეპარატიზმის“** არარსებული თემა წამოწია და დააფიქსირა!

დაბოლოს, მინდა, აქ მოვიყვანო მხოლოდ ერთი ფრაგმენტი 2001 წლის 12 ოქტომბერს სახალხო მოძრაობა **„სამეგრელოს“** ყრილობაზე ალექსანდრე ჭაჭიას მიერ წარმოთქმული სიტყვიდან:

„ჩვენ ნათლად უნდა გავაცნობიეროთ, რომ დღევანდელ დაშლილ, დანგრეულ, დაქუცმაცებულ, ეკონომიკურად და ზნეობრივად დაცემულ, შეურაცხყოფილ საქართველოში ჩვენ ისევ და ისევ, როგორც ეს არაერთხელ ყოფილა ისტორიაში, გამაერთიანებელი როლი უნდა შევასრულოთ. მეგრელებისთვის, ისევე, როგორც სხვა ქართველებისთვის, ცხოვრების არეალს მთელი საქართველო წარმოადგენს. თუ ახლანდელმა ხელისუფლებამ საქართველოს ერთი კუთხე – აფხაზეთი მეგრელებისგან გაათავისუფლა, ნუ ექნება იმის იმედი, რომ სხვა კუთხეებიდანაც გაგვდევნის და რომელიღაც გამოყოფილ „სამეგრელოს რესპუბლიკაში“ ერთად მოგვიყრის თავს.

იმისათვის, რომ ერს მომავალი ჰქონდეს, პირველ რიგში, აუცილებელია ქართველთა ერთობა – ან ჩვენ გავერთიანდებით და ერთად დავდგებით იმ კატასტროფული საფრთხის წინაშე, რომელიც ჩვენს არსებობას ემუქრება, ანდა ფიზიკურად გადარჩენილი ჩვენი შვილები და შვილიშვილები მათხოვართა, მაწანწალათა ბრბოდ გადაიქცევიან და ხანდახან გაიხსენებენ, რომ ოდესღაც ღირსეულ ერს წარმოადგენდნენ და საკუთარ მიწაზეც ცხოვრობდნენ.

ჩვენ, როგორც იცით, დაგვაბრალეს „სეპარატიზმი“, ქვეყნის გახლეჩის სურვილი, ქართველი ერის, როგორც ერთიანი ორგანიზმის, უარყოფა და ბევრი სხვა სისულელე. დაგვაბრალეს სწორედ იმ ძალებმა, იმ პიროვნებებმა, იმ ხელისუფლების წარმომადგენლებმა, იმ ე.წ. ოპოზიციის თავკაცებმა, ვინც თითქმის ათი წლის განმავლობაში მიზანმიმართულად ანგრევენ ჩვენს სამშობლოს, შლიან ქვეყანას, ყიდიან ისტორიულ ტერიტორიებს, მათხოვართა ბრბოდ აქცევენ ქართველ ხალხს, კლასიკური ფორმის გენოციდს უწყობენ საკუთარ მოსახლეობას...

ამ უვიც, გაუნათლებელ, ანტიეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკანებსა თუ ფსევდოინტელიგენტებს შევახსენებ, რომ სამეგრელოს მთელი ისტორიის განმავლობაში საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ გამაერთიანებელი ფუნქციის შესრულება ეკისრა. მეტიც, ისტორიაში ჩახედულმა ადამიანმა იცის, რომ საქართველოს დაქუცმაცების პერიოდში (არადა, ეს პერიოდი თითქმის მთელ ისტორიას მოიცავს, 200-250 წლის გამოკლებით) არსებობდა კახეთის, ქართლის, იმერეთის სამეფოები, მაგრამ, სრული პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიუხედავად, დადიანებს არასოდეს უცდიათ სამეგრელოს სამეფოდ გამოცხადება. იმდენად ძლიერი იყო ყოველთვის მეგრულ საზოგადოებაში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრიობისკენ ლტოლვა!“

ამრიგად, გონა გვარამიამ, თავისი არაკორექტული გამოხტომით შეურაცხყოფა არა მხოლოდ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას, არამედ ჩვენს გაზეთს, სახალხო მოძრაობა **“სამეგრელოს”** აქტივისტებს და წევრებს, სამეგრელოს მოსახლეობის იმ დიდ ნაწილს, რომელიც სრულიად იზიარებს ჩვენი ორგანიზაციის სულისკვეთებას.

ჩვენ ადრე, შევარდნაძის დროსაც გვაბრალებდნენ სეპარატიზმს, მაგრამ ამას ყოველთვის აკეთებდნენ ის ადამიანები, რომლებიც თავად აღვივებდნენ სეპარატიზმს სამეგრელოში. ახლაც ასეა, გვარამია და მისთანები რუსეთის საინფორმაციო სააგენტოების მეშვეობით აჟღერებენ **“მეგრული სეპარატიზმის”** თემას, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას და ჩვენ კი რუსეთის აგენტებს გვიწოდებენ.

სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს!

მე პირადად არ ვიცნობ ამ ვიღაც გოჩა გვარამიას, მაგრამ ვფიქრობ, რომ, მისი **“შემოქმედებიდან”** გამომდინარე, დაახლოებით მაინც შევძელი ამ ზნედაცემული პიროვნების (ცილისმწამებელსა და ავყია ადამიანს სხვა სახელს ვერ ვუწოდებ – **რ.ჯ.**) ფსიქოპორტრეტის დახატვა. ჩვენ არ ვიცით, მოითხოვს თუ არა ბატონი ალექსანდრე გოჩა გვარამიასაგან ბოდიშის მოხდას, მაგრამ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ამ არსებამ შეურაცხყოფისათვის ბოდიში მოუხადოს სრულიად სამეგრელოს საზოგადოებას. წინაადმდეგ შემთხვევაში, მე დამატებით ინფორმაციას შევაგროვებ ამ არარაობაზე და **“ილორისა”** თუ სხვა გაზეთების გვერდებზე ისეთ **“მხიარულ ესსეებს”** მივუძღვნი მას, რომ მთელ საქართველოს ვახარხარებ ამ მორალურ და ზნეობრივ კასტრატზე.

როლანდ ჯალაღანია,
მწერალი, პუბლიცისტი, „ფაზისისა“ და „აიას“ აკადემიების ნამდვილი წევრი, გაზეთ „ილორის“ მთავარი რედაქტორი

“როუფ ჯამფინგის” დროს ორი ახალგაზრდა დაიღუპა

უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან, ხიდიდან ხტომის, **“როუფ ჯამფინგის”** დროს, გუშინ ორი ახალგაზრდა დაიღუპა. არსებული ინფორმაციით, შემთხვევა თოკის გაწყვეტამ გამოიწვია. უბედური შემთხვევის ზუსტი მიზეზების დადგენის მიზნით ხიდზე სამართალდამცველები მუშაობდნენ. დაღუპულები არიან 23 წლის მარიამ ყანდაშვილი და 25 წლის გოგა გოლეთიანი.

უნივერსიტეტის მაღლივი ხიდიდან **“ჯამფერების”** ხტომა დედაქალაქში საკმაოდ გავრცელებული ექსტრემალური სპორტია. ხიდის სიმაღე 50 მეტრია, საფრენი მანძილი კი 35 მეტრი. **“ჯამფერს”** სპეციალური სამაგრები უმაგრდება წელსა და ფეხებზე და სიმაღლიდან ხტება.

გუშინდელ დღესთან დაკავშირებით სპეციალური ფასდაკლება იყო შეთავაზებული ვებგვერდ http://www.swoop.ge, Extreme Team სგან. **“თოკი, რომლითაც საქართველოში ხტებიან, ზუსტად ისეთივეა, როგორიც სხვა ქვეყნებში. ყველა დეტალი და მოწყობილობა შეძენილია ოფიციალური დილერებისგან, რომელთაც 10-წლიანი გამოცდილება აქვთ ამ დარგში. გადმოხტომა შეუძლია ნებისმიერ სრულწლოვან, ჯანმრთელ ადამიანს (არასრულწლოვანს უნდა ახლდეს სრულწლოვანი პასუხისმგებელი პირი). ვარდნა უსაფრთხოა, უსაფრთხოების ნორმების 100 %–ით უზრუნველყოფაზე ზრუნავენ პროფესიონალი ალპინისტები”,** – აღნიშნულია ზემოხსენებულ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ ინფორმაციაში.

გადმოხტომა 2 ადამიანზე 100 ლარი ღირს, გუშინდელი დღისთვის კი ფასდაკლება 50 ლარამდე.

სამწუხაროა, როცა საქართველოს ისედაც მისუსტებულ გენოფონდს ასეთი ახალგაზრდები აკლდებიან, მაგრამ ბევრად უფრო სამწუხარო ისაა, რომ ვიღაცის უპასუხისმგებლობის თუ არაპროფესიონალიზმის გამო ადამიანებს საკუთარი სიკვდილისათვის სოლიდურ თანხებს იხდიან.

მერაბ კოსტავას პოეზია



მომდევნო მისი ლექსი კი ავტოპორტრეტივითაა, რომელიც კარგად უსვამს ხაზს მერაბის რაინდულ ბუნებას:

„თურმანო, მინდვრის კანჯარო,
მტერთა დამვსებო თვალისა,
კარზე მომდგარი დუშმანის
არ შემრჩენელო ვალისა.
ტოლებში გამორჩეულო,
რკინით გამკვეთო ძვალისა,
ვერაფერს გაკლებს სამსალა
გველის და ღრიანკალისა“.

გთავაზობთ ფრაგმენტს ლექსიდან, რომელიც მ. კოსტავას ცხოვრება-მოღვაწეობის წამიერ პოეტურ გაელვებას და ნათელხილვას ჩამოჰგავს:

„გიორგობას, ზღვის ნაპირას,
მოაგელვა მოყმემ რაში.
ჰორიზონტზე თავდაყირა
ცას ეკიდა გარიჟრაჟი.
ერთობ მძიმე შესაზარი
ერგო მხედარს განაჩენი.
მისი ჭმუნვის შემხედვარე
გაშტერებით იდგნენ კლდენი.
.....
ბორგავს ზღვა და ხარობს რაში
ნეტარებით საკვირველით.
და როდესაც დასალიერს
თეთრი ნისლი გადექარგა,
მოყმე გასცდა თვალსაწიერს,
სამუდამოდ გადიკარგა“.

როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტისათვის მერაბ კოსტავასთვისაც არ არის უცხო სევდა და კაეშანი. თუმცაღა, ვინც მას იცნობდა, მსგავსი რამ იშვიათად თუ შეუნიშნავს მისთვის. დაგუბებულმა სამსალამ გამოსავალი მაინც ჰპოვა. მის ხმაში სევდაც კი პოეტური მუსიკალობით ჟღერს:

„ქარვა გაუხუნდათ ალვებს
წვეროთგამძარცველი ქარით,
წყეულს წავუღივარ ჭავლებს,
დავალ ზეზეურად მკვდარი.
ფეხით მითელავენ ამაგს,
სიკეთეს არვისგან ველი,
შვილივით სუყველგან დამყავს
უბეში ჩაკრული გველი“.

მაგრამ მისი მბორგავი სული ვერ ეგუება ამგვარ მელანქოლიას წამიერს და ბოლოს პოეტის ხმა მაინც ოპტიმისტური ტონალობით იფერება და იქვე აგრძელებს:

„სასოწარკვეთილი დავალ
მხრებზე ფრთაასხმული ცეცხლით,
ლაგამს ამოვუყრი ლავას,
ზაფხულს მოვაცურებ მერცხლით“.

უდიდესი ტრაგიზმითაა აღსავსე მერაბის პირადი ცხოვრება. უვადო შიმშილობისას აცნობეს მისი უსაყვარლესი ვაჟის, ირაკლის დაღუპვის ამბავი. მგლოვარე მამამ დიდი სულიერი ტკივილებით აღსავსე ლექსი უძღვნა:

„ო, როგორ ვდარდობ, როგორ ვინაღვლი,
აწ მომხდარს რომ ვერ გადავეღობე,
კიდევ კარგი რომ ჩემთვის, ირაკლი,
გარდაცვლილები არ არსებობენ.
და არც კვდებიან, და არც ჰქრებიან,
გარდიქმნებიან ღმრთივ საოცრებად,
რადგან ისინი მუდამ რჩებიან
ჩემთვის ცოცხლებზე უფრო ცოცხლებად“.

ამ გულში დაუტეველ ტრაგედიას ძალზე იშვიათად თუ შეხებია ხოლმე შემდგომ. ამისთანა დიდ ვარამს უმეტეს უტყვად დაატარებდა გულით. დარდადქცეული მამა ლექსის ბოლოს ასე ესიტყვება თავის საფიცარ ძეს:

„მაშინ გაუვა ყავლი წამებას,
შეხვედრის წამი როს არ აგვცდება,
როს ჩვენს წიაღში ესე სამება
მძლე სიყვარულით გაერთარსდება.
და როცა ზღუდეს გავუმკლავდებით,
როგორც ანქიზე და ენეოსი,
მიწას მოვწყვიტოთ მძლავრი მკლავებით,
ცაში დავახრჩოთ ჩვენ ანთეოსი“.

მერაბ კოსტავას სახით თავად უდიდესი სიყვარული დაიარებოდა მიწაზე. ყველა დიდი სიყვარულით უყვარდა, ამადაც მისი პოეტური შთაგონება არ ჰგავდა ჩვეულებრივ მოკვდავთა ფანტაზიას. ერთხელ მას დედამისისთვის უთქვამს, რასაც ქალბატონი ილდა ხშირად იმეორებდა: **„არ გეწყინოს დედა, ამ ქვეყნად ჯერ ღმერთი მიყვარს, მერე – ზვიადი და შემდეგ კი – შენ“.** არადა, უსათუოესი დამოკიდებულება ჰქონდა დედის მიმართ. ციხეში ყოფნის დროსაც კი აქეთ ამხნევებდა, ხშირად ეხმიანებოდა, სწერდა უთბილეს ბარათებს.

რუსეთის ციხის ცენზურა პატიმარ მერაბს ახლობლებთან ქართულ ენაზე მიმოწერის უფლებას არ აძლევდა. ალბათ, ეს ცენზურა გახდა წინაპირობა იმისა, რომ მერაბმა რუსულ ენაზეც შექმნა რამდენიმე ლექსი. მათგან გამოვარჩევდით პოეტურ შედევრს **«Родная Речь»,** რომელიც დედას უძღვნა და ბარათით გამოუგზავნა. ბარათი კი ასე იწყება:

«Здраствуй Мама! Поздравляю тебя с днем рождения, желаю всего наилучшего и посвящаю тебе этот стих:

«Хвала тебе, божественная речь,
В горах ты Грузии под звездами родилась;
Я жизнею призван клад отцов стеречь,
Не дам в обиду, чтобы не случилось.
Умру, но честь твою смогу я уберечь,
Чтоб слава о тебе во-веки длилась».

მოგეხსენებათ, რა იშვიათობას წარმოადგენს, საერთოდ, უცხო ენაზე შექმნილი შედევრები. მერაბს კი თქვენ თვით ხედავთ რაოდენ ხელეწიფება, როგორ ეფერება დედის ენას, დედაენას:

«О, радость наша, детище иверов,
Поэтов речь, мечтателей химера.
Неиссякаемая, жгучая затея,
Небесный дар, огонь ты Прометея».

შემოგთავაზებთ რუსულ ენაზე შექმნილი კიდევ ერთი, უსათაურო, ლექსის ფრაგმენტს:

«Раз жизнь борьба, так вечно я борюсь,
В борении горе в счастье превратилось!
Я жизнь люблю, но смерти не боюсь,
чтобы бессмертие и после смерти длилось».

ასეთი სულისკვეთებით იცხოვრა მ. კოსტავამ და ამიტომაც აუხდა სურვილი უკვდავების ბინადრობისა.

ჭეშმარიტად ღირსეული პიროვნებების დიდი დამფასებელი და პატივისმცემელი იყო მერაბ კოსტავა, ამიტომაც თავის პოეზიაში მიძღვნას საკმაოდ დიდ ადგილს უთმობს. ზემოთ განხილული გახლდათ რამდენიმე მათგანი. ახლა კი თქვენი ყურადღება გვინდა მივაპყროთ ქართველ წმინდანთა გალერეაში მყოფ მეფეთ-მეფე დავით აღმაშენებელს, რომელსაც **„დიდგორი“**-თ შეეხმიანა:

„დუშმანს გაეგება დავით თოროსანი
მესსიის ელვა და ედემის სოსანი,
და ბოცო-მკალივით მომდგარი საჰარა
მკლავზე დაიგრიხა, მშვილდივით წახარა“.

ხოლო ქართველთა წამებულ დედოფალს უძღვნა **„ივერიის მნათობის ქეთევან წამებულისადმი“,** სადაც უდიდესი სიყვარულით და ხოტბით მიმართავს დედოფალს:

„იბერთა სასწაულქმედებავ
წმინდაო მნათობო ქეთევან,
ნეტართა პარნასში რჩეულო,
ანგელოსთ იერით მღიმარევ,
სიწმინდევ შენ მინანქრეულო,
შენ ჩვენთან ცრემლების მდინარევ“.

ყველასათვის ცნობილია, და ზემოთაც არაერთგზის აღვნიშნეთ, მერაბ კოსტავას წიგნიერება და განსწავლულობა, მხოლოდ ის გვინდა დავამატოთ, რომ უბრალოდ, ერთი თვალის გადავლებით, არაფერს წაიკითხავდა, სიღრმისეულად რომ არ შეეცნო და არ განეცადა, გარკვეულწილად კი დიდი პოეტური აღმაფრენითაც, რომელიც შემდეგ მის შემოქმედებაში ჰპოვებდა გამოძახილს. ასეთი აღმაფრენის ნაყოფია XIX ს-ის გერმანელი თვითნასწავლი არქეოლოგის ჰაინრიხ შლიმანისადმი მიძღვნილი ლექსი. მოგეხსენებათ, შლიმანი ძველბერძნული ცივილიზაციის თვითნასწავლი ერთ-ერთი მკვლევარი გახლდათ, რომლის არქეოლოგიური კვლევის ზეშთაგონების წყაროდ ჰომეროსის გმირები იქცნენ. და რომელმაც აწარმოა ტროას, მიკენის და ტირინთოს გათხრები.

შლიმანის შემტევი და შეუპოვარი ბუნება მოეწონა უთუოდ მერაბს, როდესაც ჰაინრიხ შლიმანს შეუძახა:

„ემპირიკოსთა უტევონ დროა,
აგარის ძეთა ჩვევები მონის,
გწადდა და მკვდრეთით კვლავ აღდგა ტროა,
ტროა დიდება აგამემნონის“.

მ. კოსტავა საზოგადოდ ცნობილია, როგორც თავდადებული ერისკაცი, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ იგი, ამავდროულად, უდიდესი მსოფლიო ადამიანია. კარგად ჰქონდა რა გაცნობიერებული მიწიერი სოფლის ამაოება, ჩვენთვისაც თვალის ახელას ცდილობდა, რათა მარადიულ ღირებულებებზე გვეფიქრა.

„ასეა, ასეა სიყალბის გუდაა კაცთა ისტორია
ქაღალდზე ნაჯღაბნით სიმართლის ძალუმ ხმას ძნელად თუ გაიღებ.
სიცრუის ხნარცვში და ჭორების მორევში თუ რამ სიმართლეა,
ალბათ ის, რასაც წვითა და დაგვით იმ სოფლად წაიღებ“.

ზემოთ აღნიშნულ მარადსაკაცობრიო ღირებულებებზე ფიქრმა, ბუნებრივია, მერაბის მთელ ცხოვრებასა და პოეზიასაც დააჩნია თავისი კვალი. ადამიანის მოვალეობას და საზოგადოდ მის დანიშნულებას იგი ასე მიიჩნევს:

„ფათერაკს მკერდით გადაუდექი,
მოძმეთ იმედი არ წარუხოცო,
ადამიანო, იყავ უდრეკი,
იყავ უშიში ვითა უხორცო“.

პოეტი მოგვიწოდებს, რაც შეიძლება მაღალი სულის ადამიანად ჩამოვყალიბდეთ, სრულვქმნათ საკუთარი თავი, მივაღწიოთ სრულყოფილების იმ ზღვარს, როგორადაც სასურველი ვართ თვით შემოქმედისათვის, თანაც გვაფრთხილებს:

„ნაჭუჭის კაცად ნუ გადიქცევი,
თორემ დინება წაგლეკს, გაგრიყავს,
სტიქიის რისხვას თუ გაექცევი,
რაღას დააკლებ ცხოვრების გრიგალს“.

ჯერ კიდევ დასაწყისში მოგახსენებდით, როგორ არ უფრთხოდა მ. კოსტავა სიკვდილს. დიახ, იგი ჭეშმარიტად იყო **„უშიში ვითარცა უხორცო“.** ახლა კი პლატონს მოვუსმინოთ, **„ფედონში“** იგი სოკრატეს ათქმევინებს: **„ჭეშმარიტნი ფილოსოფოსნი სიკვდილისთვის ზრუნავენ მხოლოდ და კაცთა შორის ყველაზე ნაკლებად სწორედ ისინი უფრთხიან მას“.**

პლატონის ამ ციტირებას მერაბის აზრითვე განვამტკიცებთ: **„საკუთარი თავის უფლად, ანუ ღმერთად რომ იქცე, უნდა გახდე უშიშარი ვითარცა უხორცო, ვითარცა ღმერთი. ამისათვის სულის უკვდავება იმდენად უნდა იწამო, რომ შენი მოქმედების ამოსავალ წერტილად აქციო იგი. უშიშარნი კი, როგორც არაერთგზის გვითქვამს, მხოლოდ სიკვდილის შიშის დაძლევის გზაზე ხდებიან. და რომ ეს, ამავე დროს, მორალური განვითარების გზაც არის“.**

მერაბ კოსტავა, არა მარტო თავისი პოეზიით, გენიოსობას და ფილოსოფოსობას მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით გვიდასტურებს.

მერაბისთვის სამშობლოს თავისუფლების იდეა იყო უპირველესი და მისთვის თავგანწირვა მიაჩნდა სულის ზეობად.

„დამავალთა ზეობაა
მდაბლის მაღლით მზეობა,
უქცეველი ზნეობაა
უტეხელი მეობა.
იდეალთა იდილია,
თავგანწირვის სიშიშვლე,
სამსხვერპლოზე სიკვდილია
ღვთაებრივი სიგიჟე“.

სამშობლოს სიყვარულის ღადარში იწვოდა და აკი კიდევაც დაიფერფლა მისი სიცოცხლის შუადღეზე. დიახ, ასეთი გახლდათ მერაბ კოსტავა – ჭეშმარიტი ფილოსოფოსი, რაინდი, გმირი, კაცი-ლეგენდა.

შემდგომშიც მრავალგზის აღინიშნება, რომ სამშობლოს თავისუფლების იდეა იყო მერაბ კოსტავას ცხოვრების კრედო. პირადულ ცხოვრებაში უსაზღვროდ დამთმობი, მხოლოდ სამშობლოსთან მიმართებაში თუ უსაყვედურებდა ვინმეს. მამულის ბედის გამო იყო მართოდენ ვინმეს მიმართ უკომპრომისო. ამიტომ გაისმის საყვედურის კილო მის ხმაში მეფოლადის მიმართ ლექსში **„რუსთაველ“:**

„თავადვე მიხვდი
ყოველი წლის დიად ხუთშაბათს,
თუ შენი მოდგმა გრდემლზე ურის ძალუმი დაკვრით
რატომ ამრთელებს ყურშაისგან ამოღრღნილ ფოლადს“.

და მოუწოდებს: სიყვარული შეუკეთეო მარტენის ხახას,

„ხოლო ამირანს,
რკინის მკვნეტელად ვინც დაჰბადა
იგი აუშვებს“.

როგორც ვოლტერი ბრძანებდა: **„პოეზია მუსიკაა სულისა“.** ამადაა, სწორედაც, რომ მერაბის ლექსები მათი სულივით სისპეტაკედ იღვრებიან ეთერში. აი, ამ მიზეზის გამოც მოვახდინეთ მისი პოეზიის უხვად ციტირება. ვეცადეთ რა, ჩვენი სუბიექტური აზრებით არ დაგვერღვია პოეტის ის ზეაწეული მუსიკალური ტონალობა და ღვთივბოძებული სიბრძნე, რაც მის რითმებში და ზოგადად მის მუზათა სამყაროში იგრძნობა და შეიმეცნება.

ამ მოკრძალებული ნაშრომით, იმედია ცოტათი მაინც წარმოვაჩინეთ, თუ როგორი სულიერი სიძლიერის იყო მერაბ კოსტავა, მისი მიზანი, მისი ცხოვრების კრედო, ზოგადსაკაცობრიო და ყოვლისმომცველი სათნო ბუნება. მაგრამ აქამომდეც და შემდგომშიც ვინ შეიმეცნებდა და შეიმეცნებს და ვინ განიხილავს მერაბის პოეზიას ისე სიღრმისეულად და ამავდროულად ლაკონიურად, როგორც საქართველოს განმათავისუფლებელი პირველი პრეზიდენტი, უაღრესად განათლებული და განსწავლული, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, რედაქტორი მერაბ კოსტავას ლექსების იმ ერთადერთი კრებულისა, რომელიც გამოიცა 1990 წელს, ბატონი ზვიად გამსახურდია.

ბოლოს, ბატონ ზვიადს მოვუსმინოთ: **„ლექსი მისი საქართველოს გოლიათი ციხეების დუღაბით ნაგებს ჰგავს, ენა ძარღვიანი, ძველ ქართულს ნაზიარები, პოეტური ნეოლოგიზმები თამამი, რითმათა სამყარო უჩვეულო, რიტმი ძლიერი და დაძაბული, როგორც მისი სახის კუნთები.**

...და მისი პოეზიაც ხომ ზეცის, მიწის და საქართველოს მარადიული დიდებაა“.

რუსუდან თორღვაშვილი,
მერაბ კოსტავას მემორიალური სახლ-მუზეუმის მეცნ. თანამშრომელი

სპორტული კუთხე მიჰყავს ჟურნალისტ გიორგი ჯალაღანიას

“ბორჯღალოსნები” რუსებთან მატჩს 23 თებერვალს გამართავენ

საქართველოს ნაკრები 2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის გათამაშების შესარჩევ ტურნირში 2013 წლის 2 თებერვლიდან ჩაერთვება.

FIRA AER-მა გამოაქვეყნა ევროპის ერთა თასის გათამაშების კალენდარი, რომელიც, იმავდროულად, მსოფლიოს თასის შესარჩევი ტურნირის პირველი წრეა.

“ბორჯღალოსნების” პირველი მეტოქე გასვლით შეხვედრაში ბელგიის ეროვნული გუნდი იქნება, რომელიც ერთა თასის გათამაშების დებიუტანტია. ბელგიელებმა რანგით დაბალ დივიზიონში გაიმარჯვეს და ჩვენთან ხელმოცარული უკრაინა ჩაანაცვლეს.

ფლამანდრების გუნდი, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ფრანგი მორაგბითაა გაძლიერებული, ფავორიტად, ცხადია, არ მიიჩნევა და ძნელი სავარაუდოა, მსოფლიოს თასზე ასპარეზობის პრეტენზია ჰქონდეს.

სამაგიეროდ, მუდმივად ამბიციურია პორტუგალიის ნაკრები, რომელსაც თბილისში 9 თებერვალს დავუპირისპირდებით.

“ბორჯღალოსნები” 2013 წლის ერთა თასზე შინ სულ ორ შეხვედრას გამართავენ. პორტუგალიის გარდა, ისინი 9 მარტს ბოლო ხანს მოღონიერებულ ესპანეთს დაუპირისპირდებიან, რომელთანაც წლეულს განცდილი მარცხის გამო რევანში აუცილებლად უნდა ავიღოთ.

ტრადიციულ, პრინციპულ მეტოქეს, რუსეთის ეროვნულ გუნდს წითელი არმიის დაბადების დღეს, 23 თებერვალს სტუმრად ვეთამაშებით. მატჩი, სავარაუდოდ, სოჭში გაიმართება.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი ნაკრების შეხვედრების განრიგი IRB-ის ოფიციალურ ფანჯარას ემთხვევა. ზუსტად ამ დღეებში გაიმართება ექვსი ერის გათამაშების მატჩებიც.

თუმცა 9 და 23 თებერვალს, ასევე, 9 მარტს, როცა **“ბორჯღალოსნები”** შესაბამისად პორტუგალიის, რუსეთისა და ესპანეთის ნაკრებებს ეთამაშებიან, საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტურ პირველ და მეორე დივიზიონებში კალენდარული მატჩებია დანიშნული, რაც გვაფიქრებინებს, რომ საქართველოს ნაკრების მოთამაშეების გარკვეულ ნაწილს ეროვნულ გუნდში სათამაშოდ კლუბებისგან პრობლემები შეექმნებათ. არადა, **“ბორჯღალოსანთა”** აბსოლუტური უმრავლესობა სწორედ ამ დივიზიონებში ირჯება.

შეგახსენებთ, რომ შეჯიბრება, ისევე, როგორც შარშან, სამხრეთული სისტემით გაიმართება. გამარჯვებული 4 ქულას მიიღებს, ხოლო თუ მეტოქეს ოთხ და მეტ ლელოს გაუტანს, ერთ პრემიალურ ქულასაც დაიმსახურებს.

ხეირი წაგებულსაც შეიძლება ჰქონდეს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მატჩს შვიდი და ნაკლები ქულის სხვაობით დათმობს. ფრეზე გუნდები ორ-ორ ქულას მიიღებენ.

2015 წელს ინგლისში გასამართი მსოფლიოს თასის საგზურს ორი საუკეთესო გუნდი ავტომატურად მიიღებს.

მესამეადგილოსანს კი რეპეშაჟში მოუწევს ჩართვა. ანუ ჯერ აფრიკის კონტინენტზე მეორე ადგილზე გასული ქვეყნის ნაკრები უნდა დაამარცხოს, ხოლო შემდეგ სამხრეთ ამერიკის პრეტენდენტს, ურუგვაის ან ჩილეს უნდა დაუპირისპირდეს და სწორედ ამ ბარიერების დაძლევის შემდეგ შეძლებს ინგლისში გამგზავრებას.

ერთი სიტყვით, საქართველოს ნაკრებისთვის ამ გათამაშებაში ახალი არაფერია. მეტოქეები, დებიუტანტი ბელგიის გარდა, ყველა ძველი და კარგად ნაცნობია. საგულისხმოა, რომ პორტუგალიის ნაკრების გარდა, ყველა მოწინააღმდეგის რიგებში წარმოშობით ქართველი მორაგბეები თამაშობენ.

სავარაუდოდ, ამ და სხვა ობიექტურმა თუ სუბიექტურმა მიზეზებმა ჩვენს გუნდს მსოფლიოს თასის საგზურის მოპოვებაში ხელი ვერ უნდა შეუშალოს.

ვფიქრობთ, მთავარი ისაა, წილისყრა ინგლისში მეტოქედ რომელ გუნდებს გვარგუნებს. და კიდევ, რამდენად დროულად შეძლებენ ახალზელანდიელი მწვრთნელები ნაკრებში ახალი სტილის დანერგვას და ხარისხობრივად ბევრად უკეთეს თამაშს.

შეგახსენებთ, რომ 2015 წლის მსოფლიოს თასის გათამაშების ოთხ ჯგუფში ის 12 გუნდი, რომლებმაც ასპარეზობის უფლება ახალ ზელანდიაში შარშან გამართულ მსოფლიოს თასზე მოიპოვეს, წლეულს დეკემბრის დასაწყისში განაწილდება.

ერთა თასი 2013

2 თებერვალი

ბელგია-საქართველო, პორტუგალია-რუმინეთი, რუსეთი-ესპანეთი

9 თებერვალი

საქართველო-პორტუგალია, რუმინეთი-რუსეთი, ბელგია-ესპანეთი

23 თებერვალი

რუსეთი-საქართველო, ესპანეთი-რუმინეთი, პორტუგალია-ბელგია

9 მარტი

საქართველო-ესპანეთი, პორტუგალია-რუსეთი, ბელგია-რუმინეთი

16 მარტი

რუმინეთი-საქართველო, ესპანეთი-პორტუგალია, რუსეთი-ბელგია.

ილორი

– რა ღირს თქვენი ძაღლი? – ეკითხებიან გურულს ზოობაზარში.
– სამასი ლარი!
– ერთგულია?
– ძალიან. უკვე მეხუთედ ვყიდი...

* * *

არაფუნქციონალური მენტალიტეტი – მაღალ თანამდებობაზე მყოფი ულამაზო ქალი ნიშნავს, რომ იგი ჭკვიანი და ნაკითხია, მაღალ თანამდებობაზე მყოფი ლამაზი უჭკუო ქალი სულ სხვა რამეს ნიშნავს...

* * *

– პიჯაკი რატომ არ გამიუთოვე! – ტუქსავს მეგრელი ცოლს.
– გაგიუთოვე! – პასუხობს ცოლი.
– ნუ ტყუი. ჯიბეში ოცლარიანი მქონდა და ისევ აქ არის!

* * *

სვანს ჰკითხეს:
– რა გქვია?
– ემზარი, მაგრამ ცხვირს რომ ვაცემინებ, “სიცოცხლეს” მეძახიან.

* * *

– ცირკის აკრობატი მოკვდა.
– რამ მოკლა?
– კოღომ უკბინა.
– კოღოს ნაკბენით რომ არ კვდებიან?
– მაგ დროს 30 მეტრის სიმაღლეზე ეკიდა თავდაყირა...

* * *

ინგლისის ერთ-ერთ ლუდის ბარში:
– ოფიციანტ, თქვენ რომ ლუდი მომიტანეთ, შიგ ტარაკანა ცურავს!
– ნუ დაწვრილმანდებით, სერ, რამდენი ლუდი უნდა დაგილიოთ მაგ ერთმა ტარაკანამ?

წერილებს არავინ პასუხობს

აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა ფონდთან არსებულმა ქართველ უხუცესთა საბჭომ 2012 წლის თებერვალში ღია წერილით მიმართა საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, რომელიც გამოქვეყნდა რიგ გაზეთებში და გადაიცა რადიო “თავისუფლების” მიერ.

ღია წერილში ვთხოვდით პრეზიდენტს, რომ ზემოქმედება მოეხდინა ზოგიერთ სამინისტროს ხელმძღვანელობაზე და ორი წლის თავზე მაინც პასუხი გაეცა ჩვენს წერილზე, რომელმაც 12-ს გადააჭარბა. საქმე ეხება 12-წინადადებიან პროექტს, რომელთა განხორციელება დიდ ბიძგს მისცემდა აფხაზებთან ნდობის აღდგენის საქმეს. მიუხედავად ამისა, რომ ამ წერილის დაწერის შემდეგ გავიდა რამდენიმე თვე, მაგრამ პასუხი არავისგან მიგვიღია (როგორც შემდეგ გავარკვიეთ, ასევე ექცევიან სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებსაც, რომლებიც მუშაობენ აფხაზეთის პრობლემებზე).

ყველა დუმს – ამ დროს გაზეთებსა და ტელეარხებში ტრიალებს აზრი, რომ ხელისუფლება ბევრს აკეთებს აფხაზებთან ნდობის აღდგენის საქმეში, რაც მტკნარი სიცრუეა.

ახლახან გამოგვეხმაურა აფხაზეთის უმაღლესი საბჭო, რომლებმაც გვთხოვეს მივსულიყავით მათთან ჩვენი ღია წერილის განსახილველად. ბატონმა გია გვაზავამ (უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე) დაგვაიმედა, რომ შეხვდებოდა საჭირო პირებს მთავრობიდან – შეიძლება პრეზიდენტსაც და შევეცდები ერთი ან ორი თქვენი წინადადება-პროექტი განხორციელდესო. როგორც ვიცოდით, ამას შედეგი არ მოჰყოლია – სამთავრობო ორგანიზაციებმა ბატონი გია გამოისტუმრეს დაპირებებით და მოიმიზეზეს, რომ ახლა ამისთვის არ გვცალია, დრო არა გვაქვსო.

ჩვენ მიერ შემოთავაზებული 12-წინადადებიანი პროექტიდან მხოლოდ ერთი რომ შეესრულებინათ და ლილოს ბაზრობის ტიპის ბაზრობა რომ გაეკეთებინათ ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის პატარა მოედანზე, რომელიც ენგურის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარეობს, დიდ ეფექტს გამოიღებდა ქართველებსა და აფხაზებს შორის ნდობის აღდგენის საქმეში. რამდენადაც ამ ბაზრობაზე საშუალება მიეცემოდა ხალხს ჩამოსულიყო აფხაზეთის ყველა რაიონიდან და გაჩაღდებოდა ურთიერთობა მათსა და ქართველებს შორის.

არაერთგზის აღგვინიშნავთ და ახლაც ვაცხადებთ, რომ ყოვლად უმსგავსოდ მიგვაჩნია სახელმწიფოს მიერ ჩვენს მიმართვაზე პასუხის გაცემის ორი წლით გაჭიანურება.

აფხაზეთის საკითხი ვითომ არ არსებობს, ვითომ ყველაფერი წესრიგშია, ამ მხრივ!

ამ დროს კი ტაშ-ფანდურით ერთობიან, სახელმწიფოს ჯიბეში მსხდარი, ვითომ კომერციული ტელეარხები – უაზრო გადაცემებით გარყვნილების პროპაგანდის ბუდედ რომ არიან ქცეული...

დროა გონს მოვეგოთ – დავიწყებას არ მივცეთ აფხაზეთის საკითხი, თორემ ლტოლვილთა არმია, რომელიც დღეს გაუსაძლის მდგომარეობაშია, თავის ომახიან სიტყვას იტყვის – ალბათ მაშინ გამოფხიზლდებიან უსაქმური და გულგაყინული ჩინოვნიკები, მაგრამ, ვშიშობ, გვიან იქნება.

არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომლებიც აფხაზეთის საკითხზე, ასე თუ ისე, რაღაც დოზით მაინც ახერხებენ აფხაზებთან ნდობის საკითხის წინა პლანზე წამოწევას, ხელისუფლების მხრიდან სათანადო ყურადღება არ ექცევათ, ამიტომ, ჩვენ უნდა გავერთიანდეთ და ერთიანი ძალით შევუტიოთ უკანონობას, უსამართლობას, რაც მომავალი წარმატების საწინდარი იქნება.

ო. ჯოლია,
აფხაზეთში დაბრუნების მსურველთა
ფონდის თავმჯდომარე

ISSN 1987-8966 “ილორი”
9 771987 896009
ავტორებს ეკისრებათ პასუხისმგებლობა ფაქტებისა და მონაცემების სიზუსტეზე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №6 მე-4 სართული სარეგ. №01018002930 234-32-95

მთავარი რედაქტორი: როლანდ ჯალაღანია
სარედაქციო საბჭო: თემურ ქორიძე, ზურაბ ჯამბურია, თენგიზ კუბლაშვილი, კლიმენტი შელია, გივი სომხიშვილი, ანზორ შონია, გიორგი სიჭინავა, ნუგზარ სალაყაია (გალი)
ტექნიკური რედაქტორი: მიხეილ ჩოდრიშვილი
გაზეთის მენეჯერი: ზურაბ ქობალია 599-34-37-27

გაზეთ “ილორის” გაცნობა შეგიძლიათ “საქინფორმის” ვებგვერდზე WWW.saqinform.ge